ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო მედიის მიერ საქართველოს საარჩევნო პროცესებზე უცხოური გავლენის აღქმა

სატელევიზიო მედიის თემატური მონიტორინგის საბოლოო ანგარიში

16 ივლისი - 21 ნოემბერი, 2020

CRRC GEORGIA
CAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

შესავალი ... 3

მეთოდოლოგია ... 5

ახალი ამბების მონიტორინგი: რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტები ... 5

პოლიტიკური თოქშოუების მონიტორინგი ... 6

ძირითადი მიგნებები ... 7

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ... 9

თოქშოუ „თავისუფალი ხედვა“ ... 14

აჭარის ტელევიზია ... 15

თოქშოუ „არჩევნები 2020“ ... 18

რუსთავი 2 ... 19

თოქშოუ „ღამის კურიერი“ ... 24

იმედი ... 25

თოქშოუ „ღია ეთერი“ ... 31

მთავარი არხი ... 32

თოქშოუ „მთავარი აქცენტები“ ... 36

ტვ პირველი ... 37

თოქშოუ „საჯარო პოლიტიკა“ ... 43

ფორმულა ... 44

თოქშოუ „პოლიტმეტრი“ ... 48

პალიტრა ნიუსი ... 48

თოქშოუ „360 გრადუსი“ ... 52

მაესტრო ... 53

თოქშოუ „არჩეულთა დრო“ ... 57

კავკასია ... 58

თოქშოუ „ბარიერი“ ... 62

ობიექტივი ... 63

თოქშოუ „ღამის სტუდია“ ... 67

პოს ტვ ... 68

თოქშოუ- „პოლიტიკური ინტერვიუ შალვა რამიშვილთან ერთად“ ... 72

შესავალი

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის საარჩევნო მედია მონიტორინგის პროექტის „საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში, CRRC-საქართველო სატელევიზიო მედიის თემატურ მონიტორინგს ატარებს და იკვლევს სატელევიზიო მედიის მიერ საქართველოს საარჩევნო პროცესებზე უცხოური გავლენის აღქმას. CRRC-საქართველო აკვირდება სატელევიზიო მედიის მიერ საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქებას, კონკრეტულად კი უცხოელი აქტორების საჯარო განცხადებებს, მოწოდებებს, ქმედებებსა და ამის განხილვას. უცხოელ აქტორებში მოიაზრებიან საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო პოლიტიკური ჯგუფები, უცხოელი პოლიტიკოსები და სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლები.

მონიტორინგი იკვლევს, თუ რომელ უცხოელ აქტორებს აშუქებს ქართული სატელევიზიო მედია ყველაზე ხშირად და რა კონტექსტში, საქართველოში საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით მათი რომელი ქმედებები ექცევა სატელევიზიო მედიის ახალი ამბების ყურადღების ქვეშ და როგორ აშუქებს მედია ამ ქმედებებს.

მონიტორინგი მოიცავს საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებსა[1] და პოლიტიკურ თოქშოუებს[2] თორმეტ სატელევიზიო არხზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, იმედი, მთავარი არხი, ტვ პირველი, ფორმულა, პალიტრა ნიუსი, მაესტრო, კავკასია, ობიექტივი და პოს ტვ. მონიტორინგი 2020 წლის 16 ივლისს დაიწყო. მიმდინარე ანგარიში რიგით მოიცავს 16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე[3] პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებისა და პოლიტიკური თოქშოუების მონიტორინგის შედეგებს.[4]

ახალი ამბების მონიტორინგი რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტებისგან შედგება და შეისწავლის როგორც უცხოელი ინდივიდების, ასევე ორგანიზაციების, სახელმწიფო და არასამთავრობო ინსტიტუტების გაშუქებას, მათ წარმოჩენას, მათზე საუბარსა თუ მათ ხსენებას. მონიტორინგის რაოდენობრივი კომპონენტი მონაცემებს აგროვებს მათი გაშუქების სიხშირეზე და ითვლის, გაშუქების რა წილი იყო პირდაპირი საუბარი[5] და როგორი იყო გაშუქების ტონი (გაშუქების რა წილი იყო დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი ტონით წარმოდგენილი). თვისებრივი კომპონენტი აკვირდება, როგორ შუქდება ახალ ამბებში უცხოელი აქტორების მხრიდან რაიმე სახის მხარდაჭერა საარჩევნო

1 საღამოს ერთ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას
2 ერთ პოლიტიკურ თოქშოუს თითო არხზე
3 ხუთ არხზე: ფორმულა, პალიტრა ტვ, კავკასია, მაესტრო, პოს ტვ თვისებრივი მონიტორინგი 1 აგვისტოდან დაიწყო, რაოდენობრივი მონიტორინგი კი 29 აგვისტოდან.
4 თემატური მონიტორინგი ყურადღებას ძირითადად საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგზე ამახვილებდა. თოქშოუების შემთხვევაში მონიტორინგის შედეგები ზოგადი დაკვირვებით შემოიფარგლება.
5 იმის გათვალისწინებით, რომ დაკვირვების ობიექტების უმრავლესობა ქართულ ენაზე არ საუბრობს და მათი პირდაპირი საუბარი ხშირად თარგმანის ფონზე ისმის

სუბიექტების ან საარჩევნო პროცესების მიმართ, მათი კრიტიკა, და როგორ უკავშირდება ეს უცხოური გავლენის აღქმას მედია საშუალებების მიერ. ასევე, რა ხერხებით ხდება ამ აღქმის წარმოჩენა, მაგალითად, სიუჟეტებში ინფორმაციის ბალანსის დარღვევით, ჟურნალისტების დასკვნებითა და ინტერპრეტაციით, მუსიკითა და კადრებით მანიპულირებით. საერთო ჯამში, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კომპონენტი გამოყენებულია იმის შესაფასებლად, თუ როგორ აღიქვამს სატელევიზიო მედია საქართველოს საარჩევნო პროცესებზე უცხოურ გავლენას.

ანგარიში აღწერს სატელევიზიო არხებზე ახალი ამბების მონიტორინგის შედეგებს 2020 წლის 16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე პერიოდისთვის. რაც შეეხება მოვლენებს, რასთან დაკავშირებითაც ტელევიზიებმა უცხოელი აქტორები გააშუქეს, ძირითადად ეს იყო: პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობები, პანდემია და არჩევნები, საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლის საკითხი, მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა, „პატრიოტთა ალიანსის“ რუსული დაფინანსება, პარტიის ბანერი, ევროპარლამენტის ანგარიში და რეზოლუცია, პრემიერმინისტრის ვიზიტი ბრიუსელში, შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან, მისი გამოსვლა გაეროს ასამბლეაზე, საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლა არჩევნებზე, დავით გარეჯის საქმე, კიბერთავდასხმა ლუგარის ლაბორატორიაზე, კიბერუსაფრთხოების ფორუმი, ინციდენტი მარნეულში, უცხოური კვლევითი ორგანიზაციების წინასაარჩევნო კვლევები, საერთაშორისო ორგანიზაციების წინასაარჩევნო შეფასებები, საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებები, ყარაბაღის კონფლიქტი და მისი გავლენა საქართველოზე, ოპოზიციის ბოიკოტი, მაიკ პომპეოს ვიზიტი, მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ელჩების ჩართულობა ამ პროცესში. მონიტორინგის პერიოდში მომხდარი ძირითადი მოვლენები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თემატური მონიტორინგის რაოდენობრივ და თვისებრივ შედეგებს.

ანგარიშში აღწერილია თემატური მონიტორინგის მეთოდოლოგია და წარმოდგენილია როგორც ძირითადი მიგნებები, ისე შედეგების შეჯამება არხების მიხედვით.

მეთოდოლოგია

სატელევიზიო არხების მიერ საქართველოს საარჩევნო პროცესებზე უცხოური გავლენის აღქმის მონიტორინგი მოიცავს საღამოს ერთ მთავარ გამოშვებას და ერთ პოლიტიკურ თოქშოუს თორმეტ არხზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, იმედი, მთავარი არხი, ტვ პირველი, ფორმულა, პალიტრა ნიუსი, მაესტრო, კავკასია, ობიექტივი და პოს ტვ. მონიტორინგი დაიწყო 2020 წლის 16 ივლისს და გაგრძელდა 21 ნოემბრის ჩათვლით.

ეს არის თემატური მონიტორინგი, რომელიც იკვლევს უცხოელი აქტორების გაშუქებას საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. უცხოელი აქტორები წარმოადგენენ მონიტორინგის სუბიექტებს და მოიცავენ საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციების, სხვა ქვეყნების საელჩოების, საგარეო საქმეთა სამინისტროების, ფონდების წარმომადგენლებს და კერძო პირებს, რომლებიც სატელევიზიო ახალ ამბებში გაშუქდებიან საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და წინასაარჩევნო პოლიტიკური პროცესების კონტექსტში.

ახალი ამბების მონიტორინგი: რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტები

ახალი ამბების თემატური მონიტორინგის რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს შემდეგს:

- მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (როცა მონიტორინგის სუბიექტები ჩანან კადრში, საუბრობენ ან მათზე საუბრობენ სხვები);
- დრო, რომლის განმავლობაშიც სუბიექტებს საშუალება ჰქონდათ, თავად ესაუბრათ (ე.წ. პირდაპირი საუბარი, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სუბიექტების უმრავლესობა უცხოელია, ქართულად არ საუბრობს და მათი ხმა გადაფარულია თარგმანით);
- გაშუქების ტონი - დადებითი, ნეიტრალური თუ უარყოფითი (გაშუქების ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა როგორც ინფორმაციის/ტექსტის შინაარსს, ასევე კონტექსტსა და ვიზუალურ მასალას).

ახალი ამბების მონიტორინგის თვისებრივი კომპონენტი მოიცავს შემდეგს:

- ბალანსი - სიუჟეტებში გადმოცემული ინფორმაცია რამდენად დაბალანსებულადაა წარმოდგენილი, ანუ რამდენად აქვთ მაყურებლებს საშუალება, საკითხს სხვადასხვა

კუთხით შეხედოს და საკუთარი აზრი ჩამოაყალიბოს. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა სიუჟეტში გამოყენებულ ინფორმაციის წყაროებს და მათი წარმოდგენის ინტენსივობას;

- სიზუსტე - რამდენად თანმიმდევრულია ჟურნალისტის დასკვნები და სიუჟეტში წარმოდგენილი ინფორმაცია, რამდენად გვხვდება ფაქტობრივი შეცდომები და რამდენად შესაძლებელია ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა ერთმანეთისგან;
- კადრებით ან მუსიკით მანიპულაცია - რამდენად გამოიყენეს კადრები/მუსიკა კონკრეტული (დადებითი ან უარყოფითი) შთაბეჭდილების შესაქმნელად/გასაძლიერებლად;
- ჟურნალისტების ტექსტები მონიტორინგის სუბიექტებზე საუბრისას - შესავალი თუ დასკვნები;
- უცხოელი აქტორების მიერ საქართველოს საარჩევნო პროცესის ან საარჩევნო სუბიექტების მიმართ მხარდაჭერის ან დისკრედიტაციის გაშუქების შემთხვევები.

ანგარიშში წარმოდგენილია მოცემულ პერიოდში თითოეულ არხზე დაკვირვების შედეგი აღნიშნული რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების გამოყენებით და გამოტანილია დასკვნების გაშუქების ტენდენციების შესახებ.

პოლიტიკური თოქშოუების მონიტორინგი

დაკვირვების ქვეშ მყოფ 12 არხზე თითო პოლიტიკური თოქშოუს მონიტორინგი გაკეთდა. ეს თოქშოუებია: „ღია ეთერი“ (იმედი), „ღამის მთავარი“ (მთავარი არხი), „ღამის კურიერი“ (რუსთავი 2), „საჯარო პოლიტიკა“ (ტვ პირველი), „თავისუფალი ხედვა“ (საზ. მაუწყებლის 1-ლი არხი), „არჩევნები 2020“ (აჭარის ტელევიზია), „ღამის სტუდია“ (ობიექტივი), „პოლიტმეტრი“ (ფორმულა), „შალვა რამიშვილის შოუ“ (პოს ტვ), „ბარიერი“ (კავკასია), „არჩეულთა დრო“ (მაესტრო), „360 გრადუსი“ (პალიტრა ნიუსი).[6]

თოქშოუებზე დაკვირვებისას მონიტორინგი პირველ რიგში ყურადღებას აქცევდა იმას, მიეძღვნა თუ არა რომელიმე გადაცემა გარე აქტორების მხრიდან საქართველოს არჩევნებში ჩარევის თემას და საუბრობდნენ თუ არა ამ საკითხზე სტუმრები. თუკი ეს თოქშოუში განიხილებოდა, როგორ იყვნენ გარე აქტორები წარმოჩენილი, როგორც რომელიმე პოლიტიკური ძალის ან ზოგადად საარჩევნო პროცესის მხარდამჭერები თუ როგორც მათი და პროცესის კრიტიკოსები.

6 „ღამის მთავარი“, „არჩევნები 2020“ და „შალვა რამიშვილის შოუ“ ნოემბერში მონიტორინგის პერიოდში აღარ გასულა.

ძირითადი მიგნებები

2020 წლის 16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე პერიოდში დაკვირვების ქვეშ მყოფი თორმეტი სატელევიზიო არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- არჩევნების მოახლოებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ზოგადად არჩევნების თემატიკის განხილვა საინფორმაციო გამოშვებებში, არამედ უცხოელი აქტორების გაშუქება არჩევნებთან და პოლიტიკურ პროცესებთან კავშირში. ეს ტენდენცია არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა, რაც არჩევნების უცხოელი აქტორების მიერ შეფასების მნიშვნელობას, მაიკ პომპეოს ვიზიტსა და ხელისუფლებასა და ოპოზიციის მოლაპარაკებებში აშშ-სა და ევროკავშირის ელჩების ჩართულობას უკავშირდებოდა.

- მონიტორინგის პერიოდში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით, თითქმის ყველა არხზე ყველაზე ხშირად გაშუქებული უცხოელი აქტორი ამერიკის შეერთებული შტატები იყო. ასევე, სხვა უცხოელ აქტორებთან შედარებით დიდი დრო დაეთმო ევროკავშირსა და რუსეთს, ზოგიერთ არხზე უცხოური კვლევითი ორგანიზაციების გაშუქებასაც მოექცა განსაკუთრებულ ფოკუსში, თუმცა, არხები უმეტესად თავისსავე შეკვეთილ კვლევებზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

- მაიკ პომპეოს ვიზიტმა რაოდენობრივი მონაცემებზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. ყველა არხზე დრამატულად გაიზარდა აშშ-ისთვის დათმობილი დრო, რადგან ვიზიტი ხშირად ლაივ გადმოცემის რეჟიმში ხანგრძლივად შუქდებოდა, როგორც ვიზიტამდე სხვადასხვა მხარის მოლოდინები, ასევე ვიზიტის შემდგომი შეფასებები. საინტერესოა, რომ პომპეოს ვიზიტიც განსხვავებული აღქმით გაშუქდა ხელისუფლებისა და ოპოზიციისადმი მეტად ლოიალური არხების მიერ. ხელისუფლების მომხრე არხებზე ვიზიტის მნიშვნელობა უფრო გეოპოლიტიკურ, სამხედრო და სტრატეგიული პარტნიორობის ჭრილში გაჟღერდა, ნაკლებად არჩევნებთან კავშირში. ოპოზიციურად განწყობილმა არხებმა კი პომპეოს ვიზიტი არჩევნების შემდგომ კრიზისს დაუკავშირეს და მოლოდინსაც ქმნიდნენ, რომ პომპეოს ვიზიტი ხელისუფლებისათვის გაფრთხილების ფუნქციას შეასრულებდა და არჩევნებისშემდგომ ვითარებას მათ სასარგებლოდ შემოატრიალებდა. შეფასების კუთხით, ყველა არხზე განსაკუთრებულ მოვლენად და მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად მოიხსენიებოდა.

- მონიტორინგის პერიოდში, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, გააქტიურდა რუსეთის მხრიდან საქართველოს შიდა პროცესებში ჩარევის თემა. თითქმის ყველა არხზე ყურადღება გამახვილდა რუსეთის კიბერთავდასხმაზე ლუგარის ლაბორატორიაზე, რუსეთის მხრიდან დეზინფორმაციის საფრთხეებზე, საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმზე, რუსეთის კავშირებზე „პატრიოტთა ალიანსთან“ და

სხვა ადგილობრივ სუბიექტებთან. ოპოზიციურად განწყობილი არხები სიუჟეტებში რუსეთისა და „ქართული ოცნების“ კავშირებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი არხები კი - რუსეთისა და წინა ხელისუფლების, ნაციონალური მოძრაობის კავშირებზე.

- ამ მხრივ მნიშვნელოვანი თემა იყო დავით გარეჯის საქმე, რომელიც ბევრ არხზე „რუსულ პროექტად“. სატელევიზიო არხები რუსეთს უკავშირებდნენ ამ თემის წამოწევას. თუკი ოპოზიციურად განწყობილი არხები სომხეთ-აზერბაიჯანს შორის დაძაბული ვითარების ფონზე ამ თემის წამოწევას რუსეთის დაკვეთად აღიქვამდნენ, მმართველი გუნდისადმი ლოიალურად განწყობილი არხები ამ საქმის განხილვას წინა ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის იყენებდნენ და მას ასევე რუსეთის ინტერესების გატარებაში ადანაშაულებდნენ.

- მონიტორინგის მთლიანი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა რუსეთთან კავშირებისა და ასოცირების გამოყენება პოლიტიკური ძალების დისკრედიტაციისთვის, რასაც ვხვდებოდით როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციის შემთხვევაში. რუსეთთან კავშირი უარყოფით გავლენას ახდენდა პოლიტიკური სუბიექტების რეპუტაციაზე.

- მეორეს მხრივ, დასავლელი აქტორები - ელჩები, ევროპარლამენტარები, კონგრესმენები წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც ავტორიტეტული და ანგარიშგასაწევი პირები. მათი განცხადებებისა და რეკომენდაციების ინტერპრეტირებისას ზოგი მედია მთავრობის მიმართ მხარდაჭერას უსვამდა ხაზს, ზოგი კი მთავრობის კრიტიკასა და წინასაარჩევნო პროცესში ხარვეზების მითითებაზე ამახვილებდა ყურადღებას.

- საინფორმაციო გამოშვებებში უცხოელ აქტორებს მნიშვნელოვან როლს აკისრებდნენ არჩევნების ლეგიტიმაცია-არალეგიტიმაციის საკითხის გაშუქებისას. მათი განცხადებები ერთგვარ მტკიცებულებებად იყო წარმოჩენილი.

- ოპოზიციის ბოიკოტის გაშუქებისას ბევრ არხზე ავტორიტეტულ პირებად იყვნენ წარმოდგენილნი ევროპარლამენტარები, ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩები და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები, რომელთა განცხადებებზეც ხელისუფლება და ოპოზიცია განსხვავებულ აქცენტებს სვამდა. აგრეთვე, ამ აქტორების გამოყენებით იყო ხაზგასმული კონტრასტი მათ მოწოდებებსა და ოპოზიციის ურჩობას შორის.

- უცხოელი აქტორების გაშუქება არხების სარედაქციო პოლიტიკის პოლიტიკურ პოლარიზებას უკავშირდებოდა.

ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია, უფრო დეტალურად, ქვემოთაა შეჯამებული არხების მიხედვით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში არჩევნების თემის გაშუქებას 49 საათი და 4 წუთი დაეთმო. აქედან უცხოელი აქტორების გაშუქების წილი 11% იყო. სიუჟეტების დაახლოებით მესამედი (96 სიუჟეტი 281-დან), რომელიც უცხოელ აქტორებს ეხებოდა ან მათზე საუბრობდა, გადაცემის პირველ ხუთ სიუჟეტად გავიდა.

ძირითადი თემები, რომლებზე საუბრისასაც უცხოელი აქტორების გაშუქება მოხდა შემდეგი იყო: ზაფხულის პერიოდში - ოპოზიციური პარტიების მემორანდუმი, „ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენა, ცესკოს შეხვედრა აშშ ელჩთან და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან, NDI-ს მიერ წინასაარჩევნო გარემოს შეფასება, გიორგი რურუას შეწყალება, აშშ კონგრესმენების წერილი, აშშ კონგრესში თავდაცვის ავტორიზაციის აქტის განხილვა, სატელეფონო საუბარი პრემიერმინისტრ გახარიასა და აშშ სახელმწიფო მდივან პომპეოს შორის, დოსიე ცენტრის ანგარიში პატრიოტთა ალიანსის დაფინანსების რუსულ წყაროებზე, ლავროვის განცხადება ფრენებისა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე, სააკაშვილის შესაძლო დაბრუნება საქართველოში; წინასაარჩევნოდ (სექტემბერ-ოქტომბერში) - ევროპარლამენტართა გზავნილები და მათზე გამოხმაურება, კენჭისყრა ევროპარლამენტში, ევროპარლამენტის რეგულაცია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების შესახებ, მაიკ პომპეოს გზავნილი არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლის მნიშვნელობის შესახებ, მსოფლიო პანდემია და არჩევნები, საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლა არჩევნებზე, საქართველოს პრემიერმინისტრის ონლაინ მიმართვა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, გიორგი გახარიას სატელეფონო საუბარი აშშ პრეზიდენტის მრჩეველთან, კიბერუსაფრთხოების ფორუმი, პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი, საპარლამენტო არჩევნები 2020, ოპოზიციური პარტიების შეკრება, საქართველოს პრემიერმინისტრის ვიზიტი ბრიუსელში, საარჩევნო გარემოს შეფასება დიპლომატიური კორპუსის მიერ, აშშ ელჩის გზავნილები, ევროკავშირის მონიტორინგის ანგარიში; არჩევნების შემდეგ პერიოდში - არჩევნების შედეგების განხილვა, შეფასებები სააკაშვილის მხრიდან, მაიკ პომპეოს ვიზიტი, ოპოზიციის ბოიკოტი.

საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისა და წინასაარჩევნო პროცესების კონტექსტში, 16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე, პირველ არხზე ყველაზე ხშირად აშშ-თან, ევროკავშირთან და რუსეთთან დაკავშირებული აქტორები გაშუქდნენ. ასევე, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები, რომლებშიც უმეტესად დასავლელ პარტნიორებს, ისევ აშშ და ევროპელ აქტორებს მოიაზრებდნენ, ეუთო/ოდირის წარმომადგენლები და საერთაშორისო დამკვირვებლები და ნატო. დანარჩენ სუბიექტებს მონიტორინგის ოთხი თვის განმავლობაში 10 წუთზე ნაკლები დრო დაეთმოთ. გაშუქების წილი უმეტესად ირიბ საუბარს წარმოადგენდა. თუმცა, აშშ-ს ელჩს, ევროპარლამენტარებს, ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლებს საქართველოში, ეუთო/ოდირის წარმომადგენლებს, საერთაშორისო დამკვირვებლებსა და უცხოელ დიპლომატებს პირდაპირი საუბრის საშუალებაც მიეცათ.

რაც შეეხება უცხოელი აქტორების გაშუქების ტონს, აშშ-ს, ევროკავშირის, უცხოელი დიპლომატების შემთხვევაში გაშუქების მეათედზე მეტი დადებითი იყო, დანარჩენი - ნეიტრალური. (დიაგრამა 1) დადებითი გაშუქების ყველაზე დიდი მაჩვენებელი ნატოს შემთხვევაში გამოვლინდა (44%), რაც ძირითადად პრემიერმინისტრის ბრიუსელში ვიზიტისას ნატოს გენერალური მდივნის საუბარს უკავშირდება. გაშუქების უარყოფითი წილით გამოირჩევა რუსეთი, მასზე საუბრის 66% უარყოფითი ტონით შეფასდა.

დიაგრამა 1: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი
საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე



რუსეთი და მასთან დაკავშირებული აქტორები ძირითადად უარყოფითად შუქდებოდნენ საქართველოსთან მიმართებით. რუსეთის უარყოფითი გაშუქების წილი პატრიოტთა ალიანსის რუსულ დაფინანსებაზე ბრალდებებს უკავშირდება, აგვისტოს ომის თემას, სერგეი ლავროვის განცხადებას. გარდა ამისა, საარჩევნო სუბიექტები ღიად აფიქსირებდნენ ნეგატიურ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ იმისთვის, რომ ხაზი გაესვათ საკუთარი პოლიტიკური პარტიის საგარეო ორიენტაციისათვის. მაგალითად, „ლელო საქართველოსთვის“ წევრი, თამარ ბელქანია წინასაარჩევნო დაპირების სახით საუბრობდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე: „რუსეთი, რომელიც ოკუპანტია, ძალიან ძლიერია საერთაშორისო ორგანიზაციებში და ჩვენ გავააქტიურებთ თემას, რომ საქართველო დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან პირისპირ აფხაზებთან და ჩვენ ღირსეულად დავიბრუნოთ ჩვენი იდენტობის ნაწილი.» (26 სექტემბერი)

პირველ არხზე გაშუქდა კიბერუსაფრთხოების ფორუმი, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილდა ამ თემის წინასაარჩევნო მნიშვნელობასა და რუსეთის მხრიდან კიბერშეტევების საფრთხეებზე. სხვადასხვა სიუჟეტში, საარჩევნო სუბიექტების მხრიდან (როგორც „ქართული ოცნების", ასევე ოპოზიციური პარტიების მხრიდან) საუბარი იყო რუსეთის მხრიდან 2020 საპარლამენტო არჩევნების პროცესში ჩარევისა და კიბერშეტევების განხორციელების მცდელობებზე. მაგალითად, 22 სექტემბრის სიუჟეტში ჟურნალისტი საუბრობდა „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერის, შალვა ნათელაშვილის პოზიციაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „[შალვა ნათელაშვილმა] განაცხადა, რომ მიმართავს აშშ-ის მთავრობასა და ევროკავშირს და სთხოვს, ვლადისლავ სურკოვს ფინანსური და დიპლომატიური სანქციები საქართველოს საარჩევნო პროცესში ჩარევის გამო დააკისროს." 25 სექტემბრის სიუჟეტში კი საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი ხაზს უსვამს კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობას რუსეთის მხრიდან მომავალი საფრთხეების გათვალისწინებით: „კიბერუსაფრთხოება პანდემიის პერიოდში, როცა ვირტუალურ კომუნიკაციებზე დამოკიდებულება გაზრდილია, კიდევ უფრო აუცილებელი გახდა. სამწუხაროდ, ყველა ვხედავთ, რომ რუსეთის ფედერაცია ამ რთულ პერიოდშიც კი პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად აგრძელებს აგრესიულ ქმედებას, დეზინფორმაციის გაზრდით და საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდით."

29 აგვისტოს სიუჟეტში „პატრიოტთა ალიანსის" წინასაარჩევნო ბანერების შესახებ, სადაც ოკუპირებული რეგიონების მსგავსად წითლად იყო გაფერადებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, განხილული საკითხი საქართველოს შიდა პროცესებში რუსეთის ჩარევაზე მიანიშნებდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა მმართველმა პარტიამ და ამ ქმედებას რუსეთის დაკვეთა უწოდა („...ბათუმში ჩვენ მაინცდამაინც ასეთი მესიჯები გავახმოვანოთ, რაც გულწრფელი გამოვლინება კი არ არის რაღაც პოლიტიკური ნების, გულწრფელი მესიჯ-ბოქსი კი არ არის, პირდაპირ რუსული დაკვეთაა", მამუკა მდინარაძე). რუსეთი წარმოჩინდა ნეგატიურად, ვინაიდან ის ცდილობს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარევასა და განხეთქილების გაღვივებას. სიუჟეტში ასევე წარმოდგენილი იყო ირმა ინაშვილი, რომელიც თურქეთს ასახელებდა მთავარ საფრთხედ საქართველოსა და კონკრეტულად აჭარისათვის. შესაბამისად, თურქეთი უარყოფითად წარმოჩინდა, როგორც ეკონომიკური ექსპანსიის განმახორციელებელი („ეს არის აჭარაში თურქული ეკონომიკური და იდეოლოგიური ექსპანსია", ირმა ინაშვილი). რუსეთთან აფილირებით „პატრიოტთა ალიანსის" დისკრედიტაციაც ხდებოდა, რადგანაც მას რუსეთის დაკვეთის შესრულებაში ადანაშაულებენ და მათი წინასაარჩევნო ბანერებიც ჩამოხსნეს, რადგან საზოგადოებისგან მკვეთრად ნეგატიური პასუხი მოჰყვა.

რესპონდენტები ხშირად ახდენდნენ ოპონენტი საარჩევნო სუბიექტების ასოცირებას რუსეთთან მათი დისკრედიტაციის მიზნით. მაგალითად, „ევროპული საქართველოს" წევრის, ოთარ კახაძის კომენტარი: „ქართული ოცნება ატარებს უთავმოყვარეო და უპრინციპო პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში. ჩვენ არ ვართ სანქციების მოთხოვნის ნაწილში უკრაინის მხარდამხარ, საერთაშორისო დღის წესრიგში საქართველოს საკითხი არის უკანა პლანზე გადაწეული, ეს არის უკანგადადგმული ნაბიჯი." (26 სექტემბერი)

უცხოელი აქტორების გამოყენება პოლიტიკური სუბიექტების მიერ არა მხოლოდ დისკრედიტაციისთვის ხდებოდა, არამედ საგარეო ორიენტაციის დასაფიქსირებლად ან საკუთარი იდეის, არგუმენტის გასამყარებლად. აღნიშნული ხშირად გხვდებოდა რუბრიკაში „არჩევნები 2020“, ასევე, პარტიების საარჩევნო პროგრამების პრეზენტაციისას.

რუსეთისაგან განსხვავებით, დასავლელი აქტორები, ევროკავშირის წარმომადგენლები, ასევე აშშ-ს წარმომადგენლები ძირითადად წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც ავტორიტეტები, რომელთა მოსაზრებებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს.

მთელ რიგ სიუჟეტებში აშშ ელჩი კელი დეგნანი წარმოჩენილი იყო დადებითი კუთხით, როგორც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებული პირი. ელჩი მუდმივად ხაზს უსვამდა პარლამენტის უფრო მეტად წარმომადგენლობითობისა და ქართველი ამომრჩევლის ინფორმირებულობის საჭიროებას, ასევე პარტიების ქცევის კოდექსში ასახული პრინციპების შესრულების აუცილებლობას, რაც თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას შეუწყობს ხელს. უშუალოდ არჩევნების წინაც გაშუქდა აშშ ელჩის გზავნილები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე და იმ მეთოდებზე, რისი გამოყენებაც დემოკრატიულ არჩევნებში დაუშვებელია. 28 ოქტომბრის სიუჟეტში, სადაც როგორც აშშ ელჩის გზავნილები, ისე ქართული პოლიტიკური სპექტრის მიერ მისი შეფასებები გაშუქდა, საინტერესო იყო, რომ ოპოზიცია ელჩის განცხადებას ხელისუფლების გაფრთხილებად აღიქვამდა და მისი კრიტიკისთვის იყენებდა, ხელისუფლება კი აქცენტს იმაზე აკეთებდა, რომ ელჩი თავის განცხადებაში ყველა პოლიტიკურ სუბიექტს გულისხმობდა. უცხოელი აქტორების განცხადებების განსხვავებული ინტერპრეტაცია არჩევნების შემდგომ დღეებში, მისი შეფასებისას უფრო ხშირი გახდა.

აშშ ელჩის გარდა, შუქდებოდნენ სხვა უცხოელი დიპლომატები, განსაკუთრებით ხშირად გერმანიის ელჩი და ევროკავშირის ელჩი. ისინიც საუბრობდნენ წინასაარჩევნო გარემოს პოლარიზების პრობლემატიკაზე და ხაზს უსვამდნენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული დარღვევები ნეგატიურად აისახება არჩევნების პროცესზე. არჩევნების წინა დღეებში გაშუქდა დიპლომატიური კორპუსის მიერ საარჩევნო გარემოს შეფასება და მათი განცხადებები, ასევე ევროკავშირის მონიტორინგის ანგარიში და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შეხვედრები ხელისუფლებასა და ოპოზიციასთან. ყველა ეს აქტორი მნიშვნელოვან ფიგურად იყო წარმოჩენილი, რომელთა განცხადებები დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე ყურადსაღები უნდა ყოფილიყო.

უშუალოდ არჩევნების დღეს პირველი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში დიდი დრო დაეთმო გარე აქტორების გაშუქებას. უწყვეტი ეთერის დროს რამდენჯერმე გაგვაცნეს აშშ საელჩოს განცხადება, საერთაშორისო დამკვირვებლების პოზიციები. აღსანიშნავია, რომ გარე აქტორების განცხადებები არ იყო კრიტიკული, ან პოზიტიურად აფასებდა ჩატარებულ არჩევნებს, ან ნეიტრალურად. არჩევნების დღეს ოპოზიციის პროტესტიც შედარებით მოკლედ გაშუქდა.

არჩევნების მეორე დღესაც ფართოდ გაშუქდა აშშ საელჩოს განცხადება და მასზე შეფასებები. განცხადება მოწოდებას შეიცავდა, რომ მიუკერძოებლად გამოძიებულიყო ყველა დასაბუთებული დარღვევა და მომხდარიყო რეაგირება საჩივრებზე. თუმცა, არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხი, განცხადების მიხედვით, ეჭვქვეშ არ იდგა. ამ პერიოდში გასულ სიუჟეტებში ხშირი იყო, როცა მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად იგებდნენ ელჩების შეფასებებს და მათ განცხადებებს თავიანთი პარტიების პოზიტიურად წარმოჩენისთვის იყენებდნენ. თუმცა, ეს დაბალანსებულად იყო წარმოჩენილი.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად გარკვეული წარმოდგენები საგარეო სუბიექტების შესახებ უმეტესად ცალკეული რესპონდენტებსა და მათ კომენტარებზე დაყრდნობით იყო შექმნილი (მაგალითად, ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის ქვეყნები ავტორიტეტებს წარმოადგენს, ხოლო რუსეთთან ასოცირებით საარჩევნო სუბიექტების დისკრედიტაცია ხდება). უშუალოდ საინფორმაციო გამოშვების წამყვანებისა და ჟურნალისტების ტონი საგარეო აქტორების გაშუქებისას ძირითადად ნეიტრალური იყო და რესპონდენტთა განცხადებების პერეფრაზს წარმოადგენდა.

იშვიათად ვხვდებოდით საპირისპირო შემთხვევებს. საინტერესოა, 1 ნოემბრის სიუჟეტი „აშშ-ის საელჩოს განცხადების შეფასება“, რომლის მიზანიც, ერთი შეხედვით, განცხადებაზე ოპოზიციის მოსმენას წარმოადგენდა. თუმცა, თვალში მოსახვედრი იყო ჟურნალისტის მიერ შეფასებითი კომენტარები. ზოგადად, სიუჟეტში ხაზგასმული იყო, რომ ოპოზიცია სტრატეგიული პარტნიორების განცხადებებს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ახლა კი, როცა ამერიკის საელჩო არჩევნებს ლეგიტიმურად ცნობდა, მათთვის სტრატეგიული პარტნიორის შეფასებები მნიშვნელოვანი აღარ იყო. ჟურნალისტი ეკითხება ოპოზიციონერებს, რას ფიქრობენ სტრატეგიული პარტნიორის ამ განცხადებაზე.

> საბა ბუაძე („ლელო საქართველოსთვის“): „გავეცნობი ინგლისურ ენაზე, რადგან ამ განცხადებების ინტერპრეტაცია ხდება ხოლმე სხვადასხვაგვარად. შემდეგ გავაკეთებ კომენტარს.“
>
> ჟურნალისტი: „მე დარწმუნებული ვარ რომ ეს არ არის ინტერპრეტირებული ჩვენს სტილში. მაშინ რას ნიშნავს თქვენთვის, როდესაც სტრატეგიული პარტნიორი, ქვეყნის ელჩი ამბობს ასეთ რამეს?“
>
> საბა ბუაძე: „კიდევ ერთხელ გიხსნით, რომ შეიძლება განცხადებას ჰქონდეს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. დღესაც, ეუთოს დასკვნა იყო საკმაოდ კრიტიკული და მგონი, არჩევნები როგორც ჩატარდა, ნახა ყველა მოქალაქემ.“
>
> ჟურნალისტი: „საელჩოს არ ეყო რესურსი, რომ ის დაენახა, რაც თქვენ დაინახეთ?“
>
> საბა ბუაძე: „მე დარწმუნებული ვარ, რომ საელჩომ ეს დაინახა, ეს ასახულია მათ განცხადებაში.“

არჩევნების შემდეგ უცხოელი აქტორების გაშუქების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი მაიკ პომპეოს ვიზიტის თემა იყო. ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ვიზიტს აფასებდნენ, როგორც საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობის განმტკიცების დასტურს. 16 ნოემბრის სიუჟეტში, სადაც ოპოზიციის მდუმარე აქცია იყო გაშუქებული, აქციის მიმართ კრიტიკა ისმოდა, რომ აშშ-ისთვის ხმის მისაწვდენად ის უადგილო იყო. ზოგადად, პომპეოს ვიზიტის გაშუქებას დიდი დრო დაეთმო. თუმცა, ის ნაკლებად იყო გაშუქებული არჩევნებთან კავშირში. პირიქით, იმის ხაზგასმა ხდებოდა, რომ პომპეო საქართველოში ზოგადი საკითხების გასარკვევად მოდის და არა არჩევნებისთვის.

ნოემბრის თვეში ოპოზიციის ბოიკოტის გაშუქებისას საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე შეინიშნებოდა, რომ საგარეო აქტორების გამოყენებით ოპოზიციის რადიკალურ ძალად წარმოჩენა ხდებოდა. მაგალითად, 19 ნოემბრის გადაცემაში ნათქვამი იყო, რომ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროპარლამენტარები და ეუთო ოპოზიციურ პარტიებს ბოიკოტის შეწყვეტისკენ და პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებდნენ, რომ სიმართლის დასამტკიცებლად ინსტიტუტები გამოეყენებინათ. ოპოზიცია საპასუხოდ აღნიშნავდა, რომ ინსტიტუტები საქართველოში მაღალი სანდოობით არ სარგებლობენ და მათთვის პარლამენტში შესვლისკენ მოწოდება არარელევანტურია. ამას მოჰყვა სიუჟეტი სააკაშვილისა და სხვა ევროპელი აქტორების ურთიერთმიმართების გამორკვევის შესახებ სიუჟეტი. სააკაშვილმა ერთ-ერთი სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ტონი კოქსთან ერთად, რომელიც წინა დღეებში რუსეთის აგენტად მოიხსენია, სხვა ევროპელებიც გალანძღა და თქვა, რომ ზოგიერთი ევროპელი მიჩვეულია სილის გაწვნის შემდეგ მეორე ლოყის მიშვერას. სიუჟეტი ტოვებდა შეგრძნებას, რომ ამ განცხადების გაშუქება ოპოზიციისთვის ჩრდილის მიყენებას ემსახურებოდა. ამ განცხადებას ზოგი ოპოზიციონერი დაეთანხმა, ზოგიც არ დაეთანხმა. მამუკა მდინარაძემ სააკაშვილი ანტიდასავლურ განწყობებში დაადანაშაულა. საერთო ჯამში, უცხოელი აქტორების გამოყენებით ოპოზიციის არაკონსტრუქციულ ძალად წარმოჩინდა.

თოქშოუ „თავისუფალი ხედვა“

საზოგადოებრივ მაუწყებელზე მონიტორინგი აკვირდებოდა პოლიტიკურ თოქშოუს „თავისუფალი ხედვა“, რომელიც კვირაში რამდენჯერმე გადიოდა ეთერში. ზოგადად, ეს თოქშოუ საქართველოში 31 ოქტომბერს გასამართ არჩევნებში გარე აქტორთა ჩარევაზე არ აპელირებდა. პოლიტიკური პარტიები, საკუთარი პროგრამებისა და ხედვების ილუსტრირებისას, გარე აქტორთა ნარატივებს, როგორც „მხარდამჭერ“ არგუმენტებს, ნაკლებად იყენებდნენ.

გამონაკლისად შეიძლება, ჩაითვალოს 28 ივლისის ეთერი, როცა ჟურნალისტი გიორგი გვიმრაძე პირველი არხის ანალიტიკოსთან, ბაქარ ბერიკაშვილთან საუბრისას, ამერიკის სახელმწიფო მდივნისა და პრემიერმინისტრის კომუნიკაციის საკითხს წამოჭრის. გვიმრაძის თქმით, შემთხვევა ქართული ოპოზიციისათვის განსაკუთრებული აღფრთოვანების საგნად

იქცა, რადგან ოპოზიცია მასში ხედავს ამერიკის მოლოდინს, საქართველოში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. საპასუხოდ, ბერეკაშვილი ოპოზიციური პოლიტიკური კლასის კრიტიკას გვთავაზობს და გარე პოლიტიკური ელიტებიდან ლეგიტიმაციის მოძიებას „მავნე ტრადიციას“ უწოდებს. მეტიც, ანალიტიკოსისთვის პოლიტიკური ოპონირების ამგვარი წესი „თავისი შინაარსით ანტიდემოკრატიულია“.

აჭარის ტელევიზია

16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე პერიოდში აჭარის ტელევიზიის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში საარჩევნო თემატიკას 32 საათი და 49 წუთი დაეთმო და მისი 8% მოიცავდა უცხოელი აქტორების გაშუქებას. უცხოელი აქტორების გაშუქება სიუჟეტების უმრავლესობის შემთხვევაში (91 სიუჟეტი 173-დან) გადაცემის დასაწყისში, პირველ ხუთ სიუჟეტში ხდებოდა.

ძირითადი თემები, რომლებთან დაკავშირებითაც უცხოელი აქტორები შუქდებოდნენ, იყო შემდეგი: ზაფხულის პერიოდში - პატრიოტთა ალიანსის რუსული დაფინანსება, აშშ-ის მაღალჩინოსნების განცხადებები საქართველოს დემოკრატიულ განვითარებასა და წინასაარჩევნო გარემოზე, წინასაარჩევნო კვლევების შედეგები; სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში - ევროპარლამენტის რეზოლუცია, ვენეციის კომისიის დასკვნის მიღებამდე კანონპროექტის მიღება, პრემიერმინისტრის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან, პარლამენტის მუშაობის დასასრული, ყარაბაღის კონფლიქტის გავლენა საქართველოზე, საარჩევნო მედიამონიტორინგის შუალედური შედეგები, „პატრიოტთა ალიანსის“ ბანერები, წინასაარჩევნო კვლევები, საარჩევნო მარათონი, პატრიოტთა ალიანსის რუსული დაფინანსება, ინტერვიუ „პატრიოტთა ალიანსის“ ყოფილ წევრ მერაბ ბლადაძესთან, რას ფიქრობს ხალხი რუსულ საფრთხეზე, მთავრობა კიბერუსაფრთხოებას გააძლიერებს, წინასაარჩევნო მემორანდუმი; დავით-გარეჯის საქმე, ყალბი სოციალური ანგარიშები, ელჩების რჩევები, როგორ უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები. არჩევნების შემდგომ პერიოდში - საერთაშორისო ორგანიზაციების/დამკვირვებლების დასკვნები ჩატარებულ არჩევნებზე, ეუთოს დასკვნა, ამერიკის საელჩოს დასკვნა, მაიკ პომპეოს ვიზიტი და ამ ვიზიტის შეფასებები; ფილიპ რიკერის შეხვედრა ოპოზიციასთან; ფასილიტატორი ელჩების მეშვეობით დაწყებული მოლაპარაკებები, გარე აქტორების შეფასებები ოპოზიციის პროტესტთან დაკავშირებით.

გარე აქტორების გაშუქების სიხშირის მიხედვით, ყველაზე მეტი დრო აშშ-ის დაეთმო (49 წთ), რაც მეტწილად პომპეოს ვიზიტმა განაპირობა. დანარჩენი აქტორებიდან, შედარებით მეტი დრო, 10 წუთზე მეტი, დაეთმო ევროკავშირს (17 წთ), რუსეთს (12 წთ), NDI-სა და IRI-ს (12-12 წთ). (დიაგრამა 2) გაშუქების ტონის თვალსაზრისით, სუბიექტთა ნაწილს, მაგალითად,

აშშ-ს (19%), ეუთო/ოდირს (30%), საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებს (37%) დადებითი გაშუქების შედარებით მეტი წილი ჰქონდათ. გარდა ამისა, თვალშისაცემი იყო რუსეთის უარყოფითად გაშუქება (74%). დანარჩენი სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურად შუქდებოდნენ.

დიაგრამა 2: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი აჭარის ტელევიზიაზე



რუსეთი ძირითადად უარყოფითად იყო წარმოჩენილი, რუსეთთან ასოცირება დისკრედიტაციას უდრიდა და ამ აქტორს სწორედ ამისთვის იყენებდნენ სიუჟეტების რესპონდენტები/ჟურნალისტები. მაგალითად, 28 სექტემბრის სიუჟეტში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი თინა ბოკუჩავა ამბობდა: „საგანგაშოა, როდესაც რეგიონში ხდება ამგვარი ესკალაცია ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის. განსაკუთრებით საგანგაშოა ეს, როდესაც ხელისუფლებაში გყავს ისეთი ჯგუფი, რომელიც პირდაპირ პუტინის ინტერესების გამტარად არის აღიარებული მთელი ცივილიზებული სამყაროს მიერ“. 30 სექტემბრის სიუჟეტში ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი რომან გოცირიძის კომენტარი: „მეორე სიმბოლო ამ პარლამენტის არის გავრილოვი. აი, ამ დარბაზიდან შემოვიდა, ამ კარებიდან, და იმ კარებიდან მოხდა მისი გაპანღურება.“

რუსეთთან კავშირები აქტიურად ფიგურირებდა დავით გარეჯის თემაზეც. საქმე ეხებოდა დავით გარეჯის საქმის ერთ-ერთ ფიგურანტებს ბეჟან მაისურაძეს და დავით ხიდაშელს, რომლებიც დისკრედიტირებული სწორედ რუსეთთან აფილირების გამო იყვნენ. მაგალითად, 30 ოქტომბრის სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობდა: „ის ჩვენებაში ბეჟან მაისურაძის სანდო და დადებით პირად წარმოჩენას ცდილობს, არადა სწორედ მაისურაძე

მოიაზრება რუსულ სპეც. სამსახურებთან დაკავშირებულ პირად. ბეჟან მაისურაძე დავით ხიდაშელისა და თავდაცვის სამინისტროს შუამავალი, კრემლის იდეოლოგიის გამტარებლის, იგორ გიორგაძის პარტნიორია."

არჩევნების შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო NDI-ის განცხადება, რომელმაც არჩევნებზე ზემოქმედების მომხდენ ერთ-ერთ აქტორად კრემლი დაასახელა. 4 ნოემბერს გასულ სიუჟეტში ნათქვამია: „საარჩევნო დინამიკასა და პოლიტიკურ გარემოზე გავლენა რამდენიმე ფაქტორმა იქონია, მათ შორის მოხდა კრემლის მხრიდან მუდმივი აგრესია. კოვიდ-19-ის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა კი ხმის მიცემის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი შეზღუდვები შექმნა" (NDI-ის განცხადება).

დასავლელი აქტორები უმეტესად ნეიტრალურ ან დადებით კონტექსტში შუქდებოდნენ. ელჩებისა და საერთაშორისო პარტნიორების ხსენება უფრო ინფორმაციული ხასიათის იყო. ევროპელი აქტორები წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც ავტორიტეტული ფიგურები/ინსტიტუტები, რომელთა მოსაზრებები და განცხადებები ანგარიშგასაწევია. ევროპარლამენტის ანგარიშისა და რეზოლუციის შესახებ სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო როგორც მათი დადებითი შეფასება ქვეყანაში გატარებულ რეფორმებზე, ასევე ხარვეზები, მაგალითად, სასამართლო სისტემაში. იმ შემთხვევაში, როცა ევროპარლამენტარები კრიტიკულ განცხადებებს აკეთებდნენ, მმართველი პარტიის წარმომადგენლები თავის კომენტარებში მათ არაობიექტურობას უსვამდნენ ხაზს და დაახლოებას ოპოზიციასთან.

საერთაშორისო დამკვირვებლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შემთხვევაშიც გაშუქება უმეტესად დადებითი იყო. ისინი წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურები და რომელთა არჩევნებში ჩართულობას პოლიტიკური პარტიები და ცესკო მოითხოვდნენ და საჭიროდ მიიჩნევდნენ.

გარე აქტორების ხსენება, როგორც ავტორიტეტული, მნიშვნელოვანი ფიგურების, განსაკუთრებით აქტუალური გახდა ნოემბრის თვეში, როცა არჩევნების პირველი ტური დასრულდა და ოპოზიციამ საპროტესტო აქციები დაიწყო. თავად საინფორმაციოს წამყვანიც ცდილობდა პირდაპირ ეთერში ჩართული რესპონდენტისთვის საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებზე დაესვა კითხვა.

გარე აქტორებს როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები საკუთარი პოზიციის გასამყარებლად იყენებდნენ. ამის კარგი მაგალითია 16 ნოემბერს გასული სიუჟეტი „IRI-ის რჩევები ხელისუფლებას და ოპოზიციას", სადაც ჩანს, თუ როგორ ცდილობს ორივე მხარე საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასება საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად გამოიყენოს. ოპოზიციამ დასკვნაში მხოლოდ მთავრობის კრიტიკა ამოიკითხა. მათი თქმით, დასკვნა მიუთითებს არჩევნების გაყალბების მცდელობაზე. ქართული ოცნების წევრების თქმით კი საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნები შეაფასეს, როგორც თავისუფალი და კონკურენტული.

რაც შეეხება უშუალოდ მოლაპარაკებების პროცესებს ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის, აქ გარე აქტორები, ამ შემთხვევაში აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი და ევროკავშირის

ელჩი კარლ ჰარცელი, წარმოჩენლი არიან, როგორც ფასილიტატორები, რომლებიც ცდილობენ შუამავლის როლი შეასრულონ დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო მაიკ პომპეოს ვიზიტის შესახებ გასული სიუჟეტები, რადგან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის საქართველოში ჩამოსვლა მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წევრების მხრიდან განსხვავებულად ინტერპრეტირდებოდა. ოპოზიციისთვის ეს იყო შანსი, საერთაშორისო მედიისა და საერთაშორისო პარტნიორებისთვის მიეწვდინათ ხმა, რომ ქართულმა ოცნებამ არჩევნები გააყალბა, მმართველი პარტიისთვის კი ეს იყო კიდევ ერთი დასტური აშშ-ს მხრიდან ისედაც მაღალ ნიშნულზე მყოფი სტრატეგიული პარტნიორობისა და მას კავშირი არ ჰქონდა არჩევნებთან.

საქართველოს შიდა პროცესებში ჩარევის კუთხით „აჭარის ტელევიზიაზე“ გაშუქდა „პატრიოტთა ალიანსის“ ბანერების საკითხი, რომელშიც, ერთის მხრივ, საუბარი იყო თურქეთის მხრიდან ექსპანსიის საფრთხეზე და, მეორეს მხრივ, რუსეთზე, რადგან „პატრიოტთა ალიანსის“ ეს ქმედება რუსეთის ინტერესად იყო წარმოჩენილი. 29 აგვისტოს სიუჟეტში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის კომენტარი: „პარტია, რომელსაც აქვს ამბიცია, რომ იჯდეს ქვეყნის პარლამენტში და ფინანსდება ოკუპანტი სახელმწიფოსგან და ამაზე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლები რეაგირებას არ აკეთებენ, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ასეთ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ახალისებს „ქართული ოცნება“.

ასევე, რუსეთის მხრიდან არჩევნებში ჩარევის საფრთხე, რომელზეც საარჩევნო მარათონის ოფიციალურად დაწყების შესახებ სიუჟეტში აშშ-ს ელჩმა ისაუბრა; კიბერსაფრთხეები რუსეთისგან, რასაც რამდენიმე სიუჟეტი შეეხო - „მთავრობა კიბერუსაფრთხოებას გააძლიერებს“, ინტერვიუ კიბერუსაფრთხოების ექსპერტთან.

თოქშოუ „არჩევნები 2020“

აჭარის ტელევიზიის თოქშოუს „არჩევნები 2020“-ის ფორმატი განკუთვნილი იყო წინასარჩევნოდ სხვადასხვა პარტიების პროგრამის გაცნობისთვის. იწვევდნენ პარტიებს და ცდილობდნენ საზოგადოებისთვის გაეცნოთ მათი პროგრამა და წინასაარჩევნო დაპირებები.

საუბარი მხოლოდ ამ ჭრილში წარიმართებოდა და გარე აქტორების ჩაარევა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ნახსენები არ ყოფილა.

რუსთავი 2

მონიტორინგის პერიოდში, 16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე, რუსთავი 2-ის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში საარჩევნო თემის გაშუქებას სულ 54 საათი 56 წუთი დაეთმო. აქედან უცხოელი აქტორების გაშუქების წილი 15% იყო. სიუჟეტების უმრავლესობა (197 სიუჟეტი 324-დან), რომლებიც უცხოელ აქტორებზე საუბრობდა, გადაცემის პირველ ხუთ სიუჟეტს შორის გავიდა.

ძირითადი თემები, რომელთა გაშუქებისასაც არჩევნების კონტექსტში უცხოელ აქტორებზე საუბრობდნენ, შემდეგი იყო: ზაფხულის პერიოდში - წინასაარჩევნო კამპანია და საკაშვილის შესაძლო დაბრუნება საქართველოში, რუსთავი 2-ის დაკვეთით ჩატარებული წინასაარჩევნო კვლევები, NDI-ს წინასაარჩევნო ანგარიში, მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა, ოპოზიციის კოალიცია და კონფრონტაცია, რუსული ფული ქართულ პოლიტიკაში, გახარიასა და პომპეოს საუბარი, გიორგი რურუას შეწყალება, რუსული დეზინფორმაციის საფრთხეები, არჩევნები კოვიდ-19-ის პირობებში; სექტემბერ-ოქტომბერში - რუსეთის ჰიბრიდული ომი, რუსული კიბერსაფრთხე, კიბერუსაფრთხოება, სოხუმი პატრიოტთა ალიანსის ვიზიტზე, კრემლი და პატრიოტთა ალიანსი, საარჩევნო მარათონი, სანდრო ბრეგაძისა და რუსეთის ფედერაციის საბჭოს დეპუტატის სატელეფონო საუბარი, დიპლომატიური კორპუსის მიერ საარჩევნო გარემოს შეფასება, ევროპარლამენტის რეზოლუცია, წინასაარჩევნო კვლევები, საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლის საკითხი და შემდგომში საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, საარჩევნო ქცევის კოდექსი, დავით გარეჯის საქმე, ვენეციის კომისიის დასკვნა, „გრუ“-ს ჰაკერები საქმე, ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო აქცია; არჩევნების შემდგომ პერიოდში - აშშ სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს ვიზიტი, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკება ელჩების ფასილიტაციით, საკაშვილის ანტიდასავლური რიტორიკა, ოპოზიციის კრიტიკა გერმანიის ელჩის მისამართით.

უცხოელი აქტორებიდან ყველაზე მეტი დრო აშშ-ს (2 სთ), უცხოურ კვლევით ორგანიზაციებს (1 სთ 12 წთ), ევროკავშირს (52 წთ) და რუსეთს (44 წთ) დაეთმო. აშშ-ის შემთხვევაში, მაიკ პომპეოს ვიზიტის თემამ მნიშვნელოვნად გაზარდა ამ ქვეყანასთან დაკავშირებული სუბიექტების გაშუქების წილი, განსაკუთრებით ნოემბრის განმავლობაში. დადებითი ტონით გაშუქების შედარებით მეტი წილი ნატოს (26%), აშშ-ის (17%), ევროკავშირის (13%), უცხოური კვლევითი ორგანიზაციის (13%), საერთაშორისო დამკვირვებლების (9%) შემთხვევაში გამოვლინდა. გაშუქების უარყოფითი ტონით, როგორც სხვა არხებზე, რუსთავი 2-ზეც რუსეთი გამოირჩეოდა (78%). (დიაგრამა 3)

დიაგრამა 3: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი რუსთავი 2-ზე



რუსეთის უარყოფითი ტონით გაშუქება უკავშირდებოდა იმას, რომ უმეტესად ნახსენები იყო, როგორც ოკუპანტი ქვეყანა, რომელიც შიდა პოლიტიკაში ჩარევას ცდილობს პატრიოტთა ალიანსის გამოყენებით. რუსეთთან დაკავშირებით ასევე საუბარი იყო ჰიბრიდულ ომზე, ლუგარის ლაბორატორიაზე თავდასხმაზე, წინასაარჩევნო დეზინფორმაციასა და „გრუ“-ს ჰაკერებზე, რომლებიც რუსეთის ინტერესის გასატარებლად მსოფლიო მასშტაბით აწყობენ კიბერთავდასხმებს.

ზოგადად, რუსეთის მხრიდან ჩარევა და მის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომი წინასაარჩევნოდ აქტიურად გაშუქდა რუსთავი 2-ზე. იყო სიუჟეტები ლუგარის ლაბორატორიაზე კიბერთავდასხმის შესახებ (მაგალითად, 5 სექტემბრის სიუჟეტი, სადაც ჟურნალისტები ამბობდნენ: „მორიგი რუსული კიბერშეტევა საქართველოზე“, „ეჭვი არავის ეპარება, რომ ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროსა და ლუგარის ლაბორატორიის კომპიუტერულ სისტემებზე თავდასხმა სწორედ ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან განხორციელდა“). ეს საკითხები საქართველოში ჩატარებული კიბერუსაფრთხოების ფორუმის გაშუქებისასაც გაჟღერდა.

რუსეთის ჩარევაზე საუბარი პატრიოტთა ალიანსის აფხაზეთში ვიზიტისა და მათი შესაძლო რუსული დაფინანსების, ასევე ამ პარტიის ანტი-თურქული წინასაარჩევნო ბანერის გაშუქებისასაც იყო. ამ თემებთან კავშირში ამერიკელი კონგრესმენის კინზინგერის კომენტარიც გაშუქდა, რომელიც პარტიებს უცხოური ფინანსური მხარდამჭერების

გასაჯაროებისკენ მოუწოდებდა. კონგრესმენი კინზინგერი წინასაარჩევნოდაც (28 ოქტომბრის სიუჟეტში) აკეთებდა კომენტარს და იმედს გამოთქვამდა, რომ არჩევნები გარე აქტორების ჩარევის გარეშე წარიმართება.

19 სექტემბრის სიუჟეტში „კრემლი და არჩევნები“ საუბარი იყო რუსეთის მხრიდან 2020 საპარლამენტო არჩევნებში ჩარევის მცდელობებზე. ერთ-ერთი რესპონდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, არჩილ თალაკვაძე მიიჩნევდა, რომ რუსეთის საქართველოს არჩევნების ჩარევის მცდელობები ახალი არ არის, თუმცა, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დეზინფორმაცია არ გავრცელდეს: „რა თქმა უნდა, ახალი არ არის, რომ რუსეთი ცდილობს, რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევს ჩვენი ქვეყანა, მით უფრო მეტად შეუშალოს ხელი ამ წარმატებებს. ამას აკეთებს დეზინფორმაციით, ამას აკეთებს მასთან დაკავშირებული ჯგუფების გააქტიურებით, მათ შორის პოლიტიკაში, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს ჰქონდეთ ობიექტური ინფორმაცია და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

საინტერესოა, რომ რუსეთთან ასოცირება რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებებში აღიქმებოდა, როგორც უარყოფითი ფაქტი, რასაც სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში მყოფი პირები ერთმანეთის დისკრედიტაციისთვის იყენებდნენ. მაგალითად, „ევროპული საქართველოს“ ლიდერის, სერგი კაპანაძის ციტატა 19 სექტემბრის სიუჟეტიდან: „პრორუსული ძალები, რომლებიც ამ ეტაპზე ღიად არიან დეკლარირებული პრორუსული პოლიტიკის მატარებლები, არიან ‘ქართული ოცნება’ და ‘პატრიოტთა ალიანსი’, ასევე ნინო ბურჯანაძე.“ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ირაკლი ბერაია იმავე სიუჟეტში: „ბოლშევიკებისა და კომუნისტების შემდეგ ამ ქვეყანაში ყველაზე მეტი რუსული საქმე გააკეთა ‘ნაციონალური მოძრაობის’ ხელისუფლებამ“. 8 ოქტომბრის სიუჟეტში, რომელიც დავით გარეჯის საქმეს ეხებოდა, ირაკლი კობახიძე ასევე ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებდა რუსული ინტერესების გატარებაში: „2006 წელს პირდაპირ გაატარა სააკაშვილმა, ნაც. მოძრაობამ რუსული ინტერესი, როდესაც შემოხაზა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები და ეს საზღვრები საფუძვლად დაედო ოკუპაციას. აი, ეს არის ზუსტად რუსული ინტერესები“.

აშშ და ევროკავშირი სამ ყველაზე ხშირად გაშუქებულ სუბიექტებს შორის იყო. თუკი რუსეთი სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო, როგორც წინასაარჩევნოდ ჰიბრიდული ომის მწარმოებელი და დეზინფორმაციის გამავრცელებელი, დასავლელი აქტორები (აშშ და ევროპის ელჩები, ევროპარლამენტარები) წარმოჩენილნი იყვნენ, როგორ საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი დაინტერესებული პირები და ეს დაინტერესება მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოს დემოკრატიული ფასეულობებისთვის არ გადაეხვია. რიგ სიუჟეტებში დასავლელი აქტორები წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც ავტორიტეტული სუბიექტები, რომლებსაც მშვიდობიანი და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა შეუძლიათ. მაგალითად, ბოლნისსა და მარნეულში „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის მომხდარი დაპირისპირების შესახებ სიუჟეტი (4 ოქტომბრის); ასევე, წყალტუბოში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და

თავმჯდომარეებს შორის ტრენინგის დროს მომხდარი დაპირისპირება (5 ოქტომბრის სიუჟეტი). ზოგადად, აშშ ელჩი კელი დეგნანი მთელი წინასაარჩევნო პერიოდის მანძილზე აქტიურად შუქდებოდა, როგორც მისი შეხვედრები, აქტივობები, ასევე განცხადებები და კომენტარები. იგი წარმოჩენილი იყო ავტორიტეტულ ფიგურად, რომლის ჩართულობაც აშშ-ის მხარდაჭერას უსვამდა ხაზს.

ზოგადად, რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წინასაარჩევნო კვლევებს, როგორც NDI და IRI-ის, ასევე, განსაკუთრებულად რუსთავი 2-ის დაკვეთით ჩატარებულ კვლევას. კვლევითი ორგანიზაციები, გამორჩეულად ბრიტანული კომპანია Survation, რუსთავი 2-ისთვის კვლევის ჩამტარებელი, წარმოჩენილი იყვნენ, როგორც სანდო და ავტორიტეტული ორგანიზაციები. არჩევნების წინა დღეებშიც ბრიტანული ორგანიზაციის ჩატარებულ კვლევას დაეთმო მნიშვნელოვანი დრო და მის მიერ წარმოდგენილი რეიტინგები, რომლებშიც ქართული ოცნება ლიდერობდა, გადმოცემული იყო, როგორც სანდო და ავტორიტეტული. ოპოზიციამ არ გაიზიარა შედეგების სანდოობა და კომენტარებში ცდილობდა, დაეკნინებინა ეს კვლევა და შედეგები.

არჩევნების წინა პერიოდში წინ წამოიწია საერთაშორისო დამკვირვებლების საკითხმა. რუსთავი 2-ზე არჩევნების წინა დღეებში (28 ოქტომბერს) გაშუქდა, რომ კოვიდ-19 პანდემიის გამო არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებელთა შემცირებული რაოდენობა დაესწრება. თუმცა, წარმოდგენილნი იქნებიან ეუთო/ოდირის, ნატოს, ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიები და არჩევნებს დიპლომატიური კორპუსიდანაც დააკვირდებიან. სიუჟეტში აშშ ელჩიც იყო წარმოჩენილი, რომელიც იმედს გამოთქვამდა, რომ არჩევნები მშვიდობიან გარემოში ჩაივლის. კონგრესის წევრ ადამი კისინგერი კი იმედოვნებდა, რომ არჩევნები ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე და გამჭვირვალედ ჩაივლის. უშუალოდ არჩევნების წინა დღეს, 30 ოქტომბერს, კიდევ ერთი სიუჟეტი გავიდა სადამკვირვებლო მისიებზე, რომელშიც ამ მისიების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პოლარიზაცია მოსალოდნელი იყო და მთავარია, არჩევნები დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარებულიყო. საყურადღებოა კონგრესმენების წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს რუსეთის არჩევნებში ჩარევის თავიდან ასაცილებლად. არჩევნების დღესაც მომზადდა სიუჟეტი დამკვირვებლებზე, რომელშიც დამკვირვებლების განცხადებით, პროცესი უმეტესად შეუფერხებლად და უხარვეზოდ მიმდინარეობდა. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ რუსთავი 2 აქტიურად იყენებდა საერთაშორისო დამკვირვებლებს არჩევნების ლეგიტიმაციისათვის.

უცხოელი აქტორების გამოყენება არჩევნების ლეგიტიმაციისათვის შეინიშნებოდა 31 ოქტომბერს მომზადებულ კიდევ ერთ სიუჟეტში, რომელიც საერთაშორისო მედიის მიერ ქართული არჩევნების გაშუქებას მიმოიხილავდა. სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ უცხოური მედია პარლამენტის ახალ სისტემაზე გადასვლაზე ამახვილებდა ყურადღებას და სხვადასხვა პრიზმით უყურებდა არჩევნებს, როგორც მრავალფეროვანი პარლამენტისთვის გზის გამხსნელს, როგორც ყველაზე საინტერესოს და არაპროგნოზირებადს, როგორც

პატარა პარტიებისთვის პარლამენტში მოხვედრის შანსის მიმცემს. აქცენტი უმეტესად არჩევნების მოსალოდნელ დადებით მხარეებზე კეთდებოდა.

არჩევნების ლეგიტიმაციის შთაბეჭდილება 1 ნოემბრის სიუჟეტშიც გაგრძელდა, რომელიც არჩევნების საერთაშორისო გამოხმაურებასა და მილოცვებს ეხებოდა. ითქვა, რომ ილჰამ ალიევმა დაურეკა გახარიას და მიულოცა გამარჯვება, რომ თურქეთის საგარეო სამინისტრომ განაცხადა, რომ მოხარულები არიან არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარების გამო, რომ ამერიკელი გენერალი ქართველ ხალხს მნიშვნელოვან დემოკრატიულ ეტაპზე გადასვლას ულოცავდა, ბუნდესტაგის დეპუტატი კი 9 პარტიის პარლამენტში შესვლით პლურალიზმის ხარისხის გაზრდით იყო მოხარული. სიუჟეტში მხოლოდ ერთი კრიტიკული აზრი დაფიქსირდა გერმანელი ევროპარლამენტარის მიერ, რომელიც შეშფოთებას გამოთქვამდა ამომრჩეველზე ზეწოლის ფაქტების გამო და გულისყურით აკვირდებოდა პროცესებს. ზოგადად, რუსთავი 2-ზე უმეტესად ორივე მხარის პოზიცია იყო წარმოდგენილი. თუმცა, შიგადაშიგ ბალანსი ანტიოპოზიციური რიტორიკისკენ იხრებოდა.

არჩევნების შემდეგ პერიოდში უცხოელი აქტორების გაშუქების კუთხით ორი ძირითადი თემა განიხილებოდა: მაიკ პომპეოს ვიზიტი და მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტის მიმართ საინფორმაციო გამოშვებები დიდ მოლოდინსაც საინფორმაციო გამოშვებები ქმნიდნენ. თუმცა, პომპეოს ვიზიტი ძირითადად ქვეყნის გეოპოლიტიკურ საკითხებს, საქართველოს მხარდაჭერას, სამხედრო ბაზების საკითხს უკავშირდებოდა და ნაკლებად ოქტომბრის არჩევნებს. თუმცა, პომპეოს მოადგილის დარჩენა და ოპოზიციასთან შეხვედრა გაშუქდა, როგორც პოლიტიკური კრიზისის მოგვარების შანსი.

პომპეოს ვიზიტის ასეთი დიდი დოზით გაშუქება ხაზს უსვამდა ამ უცხოელი აქტორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოსთვის. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაც, რომელიც ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებდა, ავტორიტეტულად წარმოჩინდა. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ბრიფინგზე ოპოზიციის ბოიკოტზე ისაუბრეს: „იმის ყურება, რომ ისინი ისევ ბოიკოტს ითხოვენ, უკვე ნანახი ფილმის ყურებას ჰგავს. ჩვენ მოვუწოდებთ ოპოზიციას, შევიდენენ პარლამენტში, გაატარონ ის საარჩევნო ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს, რომ შემდეგი არჩევნები უკეთესი იყოს.“

რუსთავი 2-ზე ინტენსიურად შუქდებოდა მოწოდებები ოპოზიციის მიმართ, რომელიც თანდათან გამკაცრდა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს სცდებოდა უბრალო მოწოდებებს. ამის ფონზე ყველაზე დიპლომატიურად ისევ აშშ-ის ელჩი საუბრობდა. მისი თქმით, „დიპლომატიური კორპუსი მხოლოდ შუამავალია. პოლიტიკური შეთანხმება კი პოლიტიკური მხარეების მისაღწევია.“

ოპოზიციის ბოიკოტთან დაკავშირებით გერმანიის ელჩმაც გააკეთა განცხადება და მიმართა ოპოზიციას, ინსტიტუტები გამოეყენებინათ სამოქმედოდ, შესულიყვნენ პარლამენტში და იქ ემუშავათ იმისთვის, რომ ქვეყანაში სიტუაცია უკეთესი ყოფილიყო. გერმანიის ელჩი

ოპოზიციაში გააკრიტიკეს. შალვა ნათელაშვილმა გააკეთა კომენტარი ამაზე და თქვე, რომ, იგი „ივანიშვილის პირადი ცნობილი ლობისტია. ის ასევე ესწრებოდა ჩვენი შვილების თვალების დათხრას პარლამენტის ფანჯრიდან. ჩათვალა, რომ ეს იყო დემოკრატიული“. მისი აზრით, გერმანიაში რომ იგივე დატრიალებულიყო საარჩევნო დარღვევებთან და გაყალბებასთან დაკავშირებით, ის თავის დეპუტატებს იმავეს არ მოუწოდებდა და გერმანიაში რევოლუცია მოხდებოდა.

ნოემბერში კიდევ ერთი დასავლელი აქტორის მიმართ გაისმა ოპოზიციის კრიტიკა. მიხეილ სააკაშვილმა ჰოლანდიელ დეპუტატს ტიმ კოქსს, რომელიც ევროსაბჭოს სადამკვირვებლო დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოში, „ეფესბეს“ აგენტი უწოდა და ეჭვი შეიტანა მისი მეთაურობით მომზადებულ დასკვნაში. ტიმ კოქსის მისამართით გამოთქმულ კრიტიკას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდან და იგი საერთაშორისო ინსტიტუტებზე თავდასხმასთან გააიგივეს და აღნიშნეს, რომ „სააკაშვილი სერიოზულად უთხრის ძირს საქართველოში საკანონმდებლო არჩევნების მეორე ტურის ჩატარებისთვის აუცილებელ მშვიდ ატმოსფეროს.“

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების შემდეგ რუსთავი 2-ის საღამოს მთავარ საინფორმაციოში გასული სიუჟეტები აქტიურად იყენებდნენ დასავლელ უცხოელ აქტორებს არჩევნების ლეგიტიმაციისა და ოპოზიციის ბოიკოტის კრიტიკისათვის.

თოქშოუ „ღამის კურიერი“

რუსთავი 2-ზე მონიტორინგი აკვირდებოდა პოლიტიკურ თოქშოუს „ღამის კურიერი“, რომელიც საქართველოს არჩევნებში გარე აქტორების ჩარევას გადაცემის მთავარ თემად, როგორც წესი, არ წარმოგვიდგენდა. გარე აქტორთა მიერ წარმოებული ნარატივები შოუში გაჟღერებული იყო ჟურნალისტების მიერ, ძირითადად, ცალკეული კითხვებისათვის ლეგიტიმურობის მისანიჭებლად, ნაკლები პათოსითა და სიმწვავით.

ერთ-ერთ გამონაკლისად შეგვიძლია განვიხილოთ 16 ოქტომბრის გადაცემა, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკურ წარსულსა და პროგრამას ეთმობა. ჟურნალისტი პირდაპირ სვამს კითხვას, ფინანსდებოდა თუ არა ალიანსი რუსეთის მიერ, რასაც პარტიის ლიდერები ღია ეთერშივე უარყოფენ.

იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც შოუში სახელისუფლებო ფრთისა და ოპოზიციის ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი, ოპონენტები ნაკლებად ამყარებდნენ თავიან ვარაუდებსა და პოზიციებს საერთაშორისო წარმომადგენელთა მოსაზრებებით. ერთეულ შემთხვევებში, ვხვდებოდით ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობებს პრორუსულობაზე აპელირებით. მაგალითად, 28 ივლისის „ღამის კურიერში“, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, თაკო ჩარკვიანი, მმართველ პარტიაზე საუბრისას, იყენებდა ტერმინს „რუსული ვექტორი“.

იმედი

16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე პერიოდში იმედის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნების თემას 75 საათი და 27 წუთი დაეთმო. უცხოელი აქტორები ამ დროის 14%-ის განმავლობაში გაშუქდნენ. მათი გაშუქება ძირითადად (242 სიუჟეტი 409-დან) გადაცემის დასაწყისში, პირველი ხუთი სიუჟეტის განმავლობაში ხდებოდა.

ძირითადი თემები, რომლებიც არჩევნების კონტექსტში უცხოელი აქტორების გაშუქებას ეხებოდა, იყო: ზაფხულის პერიოდში - სააკაშვილის შესაძლო დაბრუნება, ქართული ოცნების საარჩევნო ინიციატივები, სოციალური დახმარება პანდემიის დროს, ოპოზიციური პარტიების დაპირისპირება, მხარდაჭერის გზავნილები ვაშინგტონიდან, ქართული ოცნების წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება და მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა, პოლიტპატიმრების ამნისტია, აშშ კონგრესის მიერ ბიუჯეტის აქტის განხილვა, აშშ კონგრესმენების წერილები საქართველოს დემოკრატიულ განვითარებასა და არჩევნებზე, გახარიასა და პომპეოს სატელეფონო საუბარი, წინასაარჩევნო კვლევები, ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო მიმართვა, ადამ კინზინგერის განცხადება; სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში - პატრიოტთა ალიანსის რუსული წყაროებით დაფინანსება, პატრიოტთა ალიანსის წინასაარჩევნო ბანერი, რომელიც თურქეთის მხრიდან მომავალ საფრთხეებზე მიუთითებდა, საერთაშორისო დამკვირვებლები არჩევნებზე, საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი, მაიკ პომპეოს წერილი და ევროპარლამენტის ანგარიში; ხშირი იყო სიუჟეტები მიხეილ სააკაშვილის შესახებ, მის კრახზე უკრაინაში და უკრაინელი პოლიტიკოსების კრიტიკაზე, ასევე, არაერთხელ გაშუქდა უცხოური გამოცემების სტატიები საქართველოზე, მაგალითად, The American Spectator-ის სტატია სააკაშვილზე, „ჰილლ“-ის სტატია, Freedom House-ის ანგარიში, Euro-latio საქართველოზე, მმართველი პარტიის წარმომადგენლის სტატია Emerging Europe-ში; გარდა ამისა, წინასაარჩევნო გარემო, პრემიერმინისტრისა და აშშ პრეზიდენტის მრჩევლის სატელეფონო საუბარი, პრემიერმინისტრის სიტყვა გაეროში, კიბერუსაფრთხოების ფორუმი, უორდროპის სტრატეგიული დიალოგი, დავით გარეჯის საქმე, ხელისუფლების მზადება არჩევნებისთვის; არჩევნების შემდეგ პერიოდში - ეუთო/ოდირის განცხადება არჩევნებთან დაკავშირებით, „ფეიკ იფსოსის“ კვლევა, არჩევნების საერთაშორისო აღიარება, მაიკ პომპეოს ვიზიტი, ოპოზიციის ბოიკოტი.

იმედის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქების სიხშირის მიხედვით ორი უცხოელი აქტორი და აქტორთა ჯგუფი გამოიკვეთა: აშშ, რომელსაც ყველაზე მეტი დრო 2 საათი და 40 წუთი დაეთმო და ევროკავშირი, რომელიც 1 საათისა და 53 წუთის განმავლობაში გაშუქდა. გაშუქების სიხშირის მიხედვით მომდევნო ორი სუბიექტია რუსეთი (40 წთ) და უკრაინა (38 წთ). სხვა არხებთან შედარებით, ამ არხზე დიდი იყო უკრაინის და მასთან დაკავშირებული აქტორების გაშუქების წილი. (დიაგრამა 4)

დიაგრამა 4: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი იმედზე



უკრაინის დიდი დოზით გაშუქება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრემიერმინისტრობის კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის შესახებ სიუჟეტებს უკავშირდება. სააკაშვილზე საუბრისას ხშირად ხდებოდა მისი გარე აქტორად წარმოჩენა და იმაზე ხაზგასმა, რომ ის უკრაინის მოქალაქეა. აგრეთვე, იყო სიუჟეტები, რომლებიც მხოლოდ უკრაინელი ჟურნალისტების, პოლიტოლოგებისა და პოლიტიკოსების განცხადებებზე იყო აგებული, მწვავედ აკრიტიკებდა მიხეილ სააკაშვილის საქმიანობას უკრაინაში და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრემიერმინისტრობის კანდიდატის დისკრედიტაციას ემსახურებოდა. ზოგადად, იმედის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებიდან რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და კონკრეტულად მისი ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაციას ცდილობდნენ, რასაც ხშირად უკრაინელი აქტორების, ზოგჯერ კი სხვა უცხოელი აქტორების გამოყენებით აკეთებდნენ.

მაგალითად, 31 აგვისტოს სიუჟეტში „უკრაინა სააკაშვილის წინააღმდეგ“ ვხვდებით პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის დიმიტრი სპივაკის კომენტარს: „ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ქვეყნის ექსპრეზიდენტს გააჩნია პოლიტიკური პარტია როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში. პირველ რიგში, ის [მიხეილ სააკაშვილი] შორს ვერ გაფრინდება, ამიტომ არ იტიროთ, ვისაც გიყვართ და არ გაგიხარდეთ, ვისაც ის არ გიყვართ, ის სამუდამოდ არ გაფრინდება, ის ისევ მოფრინდება, რადგან ის წააგებს მორიგ არჩევნებს საქართველოში და დაბრუნდება უკრაინაში.“ 18 ოქტომბრის სიუჟეტში სათაურით „სააკაშვილის ტრაგიკომედია“ უკრაინელი ჟურნალისტი ოლეგ დეინეკი

ამბობს: „საქართველოსა და უკრაინაში ოქტომბრის ბოლოს მომდგარი არჩევნების წინ მინდა, მოგმართოთ, ფრთხილად იყავით, ვისაც თქვენ ხმას მისცემთ, შემთხვევით იმან არ მოგკლათ“. ამავე სიუჟეტში უკრაინელი ჟურნალისტები სააკაშვილის მმართველობის 9 წელს იხსენებენ: „ცოცხების საქმეებთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო შოკირებული იყო სხვა გახმაურებული მკვლელობებით, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა“.

გაშუქების ტონის თვალსაზრისით, უარყოფითი ტონი რუსეთის შემთხვევაში სჭარბობს. რუსეთზე საუბრის 40 წუთის 81% უარყოფითი ტონით წარიმართა. ეს როგორც კიბერუსაფრთხოების თემის გაშუქებას, რუსეთის მხრიდან კიბერშეტევების საფრთხეზე საუბარს, ასევე ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე საქართველოს პრემიერმინისტრის საუბარს უკავშირდებოდა, ასევე რუსეთის ხსენებით პოლიტიკური სუბიექტების, უმეტესად ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და სააკაშვილის დისკრედიტაციას. მაგალითად, 9 ოქტომბრის სიუჟეტში დავით გარეჯის საკითხსა და დაწყებულ გამოძიებაზე, ირაკლი კობახიძე ამბობდა: „მე არ ვიცი, რა მოტივი ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას თავის დროზე, როდესაც შემოხაზა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები, რამაც რუსეთის ფედერაციას გაუადვილა ოკუპაცია და გაუადვილა ბორდერიზაცია, რომელიც დღემდე წარიმართება“. 15 ნოემბრის სიუჟეტში წამყვანი სააკაშვილს პრორუსულ პირად წარმოაჩენს: „ხალხმა სააკაშვილს 2020 წლის 31 ოქტომბერსაც გაუმეორა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში, პრორუსული მიშა, პრორუსული პარტიებით არავის არაფერში სჭირდება.“

რუსეთის მხრიდან 2020 საპარლამენტო არჩევნების პროცესებზე გავლენის აღქმის თვალსაზრისით, აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში იმედზე გაშუქდა პატრიოტთა ალიანსის შესაძლო რუსული დაფინანსების საკითხი და ასევე მათი საარჩევნო ბანერის თემა, რაც თურქეთის ექსპანსიას უკავშირდებოდა.[7] ასევე გაშუქდა კიბერუსაფრთხოების ფორუმი, რომლის დროსაც საუბარი იყო (მათ შორის, აშშ ელჩის მიერ) რუსეთის მხრიდან კიბერშეტევებისა და დეზინფორმაციის საფრთხეებზე.

რუსეთისგან განსხვავებით, გაშუქების დადებითი ტონი გვხვდებოდა აშშ-ს (18%), ევროკავშირის (12%), ნატოს (19%) და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების (15%) გაშუქების შემთხვევაში. ეს უცხოელი აქტორები საკმაოდ აქტიურად შუქდებოდნენ, თანაც საქართველოს მხარდაჭერის კონტექსტში, რაც ხელისუფლების მხარდაჭერასაც მოიაზრებდა. იმედზე გვხვდებოდა აშშ-სა და ევროკავშირის წარმომადგენელთა კომენტარები არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების მნიშვნელობაზე, ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიების რეკომენდაციები, თუმცა, უმეტესად ეს იყო დადებითი შეფასებები (მაგალითად, საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების დადებითად შეფასება), საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლის შესაძლებლობის შექმნა კოვიდ-19-ის გამო შექმნილ რთულ ვითარებაში. თუკი სხვა არხებზე შუქდებოდა ოპოზიციის თვალსაზრისი დასავლელი აქტორების მიერ გაკეთებულ

7 პატრიოტთა ალიანსის შესაძლო რუსულ დაფინანსებაზე სიუჟეტები სხვა არხებზე აგვისტოს ბოლო კვირის განმავლობაში აქტიურად შუქდებოდა. იმედზე ეს თემა შედარებით გვიან წარმოადგინეს.

მოწოდებებსა და გზავნილებში საქართველოსთვის გაფრთხილებისა და კრიტიკის შესახებ, ასევე არჩევნების დანახვა, როგორც მომავალი თანამშრომლობის გადაფასების ქვაკუთხედისა, იმედზე ეს ნაკლებად იყო წარმოდგენილი.

ზოგადად, იმედის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში დასავლელი აქტორები (ამერიკის შეერთებული შტატები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა უწყება თუ პირი, ხშირ შემთხვევაში ამერიკის საელჩო და ელჩი, აგრეთვე, ევროკავშირი და ევროპელი დიპლომატები: გერმანიის ელჩი, საფრანგეთის ელჩი, შვეიცარიის ელჩი და ევროკავშირის ელჩი) ხშირად ჩანდნენ, როგორც ავტორიტეტული, ანგარიშგასაწევი პირები და ამის პარალელურად ხშირად იყო ხაზგასმა იმაზე, რომ მმართველი პარტია დასავლური ღირებულებების მატარებელია და დადებითი შეფასებები და მხარდაჭერა აქვს საერთაშორისო პარტნიორებისგან. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მმართველი პარტიის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციის ვრცელი გაშუქება, რომელიც იმედმა და პოს ტვ-მ პირდაპირ ეთერში გადმოსცა და ორი დღის განმავლობაში აშუქებდა. ამ თემაზე ერთ-ერთი სიუჟეტი იყო „საქართველო-ევროკავშირი“, რომელშიც ხაზი გაესვა ქართული ოცნების ევროპულ მისწრაფებებს და კონკრეტულად იმას, რომ 2024 წელს საქართველო ევროკავშირის წევრობის სურვილს ოფიციალური განაცხადით დაადასტურებს და მომდევნო წლებში დაგეგმილი სამუშაოების შესრულების შედეგად ამისი მყარი საფუძველი ექნება. ეს თემა, 2024 წელს ევროკავშირის წევრობის სურვილის დაფიქსირება, იმედზე გაცილებით ხშირად მეორდება, ვიდრე სხვა ტელევიზიებში. ამაზე აპელირებდნენ ქართული ოცნების წარმომადგენლები წინასაარჩევნო დღეებში გასულ სიუჟეტებში, მაგალითად, 24 ოქტომბრის სიუჟეტში მამუკა მდინარაძე; 28 ოქტომბრის სიუჟეტში - გიორგი გახარია. ევროკავშირის ხსენებითა და მასთან პარტნიორობის ხაზგასმით სახელისუფლებო პარტიის წევრები დადებითი კუთხით წარმოჩინდებოდნენ.

მსგავს პათოსს იზიარებს რიგი სიუჟეტებისა იმედზე. მაგალითად, 4 ოქტომბრის სიუჟეტში „ჰილის სტატია“ ამერიკაში მოღვაწე პოლონელი მკვლევრის სტატიაა გაშუქებული, სადაც ის ქვეყანას, რეალურად კი ქვეყნის ხელისუფლებას აქებს: „ორ მთავარ მიზეზს დაგისახელებთ, თუ რატომ ვფიქრობ, რომ არჩევნები საქართველოში იქნება სამაგალითო დასავლეთისთვის: 1. შესაძლებელია არჩევნების ჩატარება გლობალური პანდემიის ეპოქაში. თუკი ქვეყანა შეძლებს პანდემიის სათანადო მართვას, რასაც სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოს მთავრობამ და ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად გაართვეს თავი. მეორე მიზეზია ის რეფორმები, რომლებიც საარჩევნო კანონმდებლობასა და კონსტიტუციაში გატარდა. როგორც სტატიაში ვწერ, ერთადერთი შემთხვევა საქართველოა, სადაც მთავრობამ დახურვის ნაცვლად ოპოზიციას სივრცე გაუხსნა. სწორედ ამ მიზეზების გამო ვთვლი, რომ საქართველო პოტენციურად იქნება ძალიან ღირებული მაგალითი სხვა ქვეყნებისთვის“.

უცხოურ გამოცემებში საქართველოს შესახებ სტატიებზე იმედის საინფორმაციო გამოშვებაში არაერთი სიუჟეტი მომზადდა, სადაც საქართველოსა და მისი ხელისუფლების ქება იყო წარმოდგენილი და ხაზი ესმებოდა მის მიღწევებს ქვეყნის შიგნით (მაგალითად, კოვიდ-19 პანდემიასთან გამკლავებას), ისე მის ევრო-ატლანტიკურ საგარეო კურსს.

მაგალითად, 27 ოქტომბრის სიუჟეტში პოლ ჯოიალი, ამერიკელი ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში გამოცემა „მაიამი ჰერალდში“ გამოქვეყნებულ საავტორო სვეტში წერს: „წელს მსოფლიო მასშტაბით არჩევნებზე ყველგან მთავარი კითხვაა, როგორ გაუმკლავდება მთავრობა პანდემიას. საქართველოს მთავრობა ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ლიდერია“.

არჩევნების შემდგომ პერიოდში იმედი აქტიურად აშუქებდა იმ გარე აქტორების განცხადებებს (მაგალითად, ეუთო/ოდირის შეფასებას), რომლებიც ჩატარებულ არჩევნებს პოზიტიურად აფასებდნენ. თუ მცირე გადაცდომებს ახსენებდნენ, ამას აუცილებლად მოჰყვებოდა ფრაზა, რომ საბოლოო ჯამში არჩევნები მაინც დემოკრატიულად ჩატარდა. ხშირად გარე აქტორის განცხადება მმართველი გუნდის პოზიტიურად წარმოსაჩენად და ოპოზიციის დისკრედიტაციისათვის გამოიყენებოდა. მაგალითად, 2 ნოემბრის სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობდა: „საერთაშორისო პარტნიორების მონიტორინგით, საქართველომ დემოკრატიის ტესტის ჩაბარება შეძლო. შემდგომი პარტნიორობის პოლიტიკური დღის წესრიგი ქართულ ოცნებასთან უკვე გაფორმებულია“. 8 ნოემბრის სიუჟეტში ასევე ჟურნალისტი ამბობდა: „საპარლამენტო არჩევნებს გამოეხმაურნენ დასავლელი ექსპერტები, ანალიტიკოსები და პოლიტიკური წრის წარმომადგენლები, რომელთა შეფასებების საერთო პათოსი ასევე კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარებული არჩევნები და კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ მოწოდებაა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის და არა ვითარების რადიკალიზაციისა და პოლიტიკური პროცესების ქუჩაში გადატანის მცდელობა. დასავლელი პარტნიორებისა და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მსგავსი შეფასებებისა და რეკომენდაციების მიუხედავად, ოპოზიციური ფლანგი მაინც რადიკალიზაციის გზას ირჩევს.“ იმავე სიუჟეტში ჟურნალისტმა შეაჯამა: „საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ოპოზიციისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს დახურულ კარს მიღმა მოწოდებით, რომ ქვეყანამ განაგრძოს დემოკრატიის განვითარება და დაუბრუნდეს მშვიდ პოლიტიკურ თანამშრომლობას ყველა პოლიტიკურ სუბიექტს შორის. თუმცა, ოპოზიცია ისევ ქუჩაშია და სანამ რადიკალიზაციაა გზა, რომელსაც ისინი ირჩევენ, დასავლელი პარტნიორების მხრიდან თანამშრომლობის პოლიტიკური დღის წესრიგი უკვე მესამე ვადით არჩეულ „ქართულ ოცნებასთან“ გაფორმებულია.“ ჟურნალისტების ეს ფრაზები შეფასებითია და მმართველი პარტიის დადებითად წარმოჩენას, ხოლო ოპოზიციის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. თანაც, ამას უცხოელი აქტორების გამოყენებით აკეთებს.

მაიკ პომპეოს ვიზიტის გაშუქებას იმედზე დიდი დრო დაეთმო. ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში მაიკ პომპეოს ვიზიტი შეფასებული იყო, როგორც საქართველოს მიმართ აშშ-ის დიდი მხარდაჭერის დადასტურება. ამ თემის გაშუქებისას დეტალურად იყო გადმოცემული როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის, ასევე აშშ-ის საელჩოს განცხადებები და პოზიციები, რაც ადასტურებდა საქართველოს მიმართ აშშ-ის მხარდაჭერას და ეს აქტორები უაღრესად მნიშვნელოვან, ავტორიტეტულ აქტორებად და სტრატეგიულ პარტნიორებად იყვნენ წარმოდგენილნი. მათთვის მინიჭებული ეს ავტორიტეტი ნაწილობრივ ოპოზიციის ბოიკოტის გასაკრიტიკებლად იყო გამოყენებული. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, აშშ-ის ელჩი საქართველოში

მასპინძლობდა მოლაპარაკებებს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ისინი ხელს უწყობდნენ ოპოზიციას, ცვლილებებისთვის პარლამენტში ებრძოლათ. „კვლავ არ მიმართონ ბოიკოტის გზას. ჩვენ მოვუწოდებთ მათ, იბრძოლონ შიგნიდან... ზაფხულში საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამ უფრო მეტად პროპორციული საარჩევნო სისტემა მოიტანა. ახალმა საარჩევნო სისტემამ რეალურად იმუშავა, მათ აქვთ ბევრად მრავალფეროვანი პარლამენტი, ვიდრე აქამდე იყო... გზავნილები ასეთია: გამოიყენონ ინსტიტუტები, ნუ გამოუცხადებთ მათ ბოიკოტს თქვენი მიზნების მისაღწევად.“ ასეთი იყო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების განცხადება. მსგავსი განცხადებები გააკეთეს ევროპარლამენტარებმაც და ამ ფონზე ძალიან კონტრასტულად იყო წარმოჩენილი ოპოზიციის მიერ ხელახალი არჩევნების მოთხოვნა და ბოიკოტის გაგრძელება, რაც არამართებული ქმედების შთაბეჭდილებას ქმნიდა.

მაიკ პომპეოს ვიზიტის შესაფასებლად იმედის საინფორმაციო გამოშვებებში უცხოელი ექსპერტებიც და მათი შეფასებები ხელისუფლების სასარგებლოდ და ოპოზიციის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა. მაგალითად, 17 ნოემბრის სიუჟეტში უსაფრთხოების საკითხებში ამერიკელი ექსპერტი პოლ ჯოიალი ამბობდა, რომ პომპეოს ვიზიტი „იმის დადასტურებაა, რომ საქართველოს მთავრობა თავისი ღირებულებათა ერთიანობით წარმოადგენს აშშ-ის საიმედო პარტნიორს როგორც დიპლომატიური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.“ იგი სააკაშვილს მოიხსენიებდა, როგორც ადამიანს, რომელმაც „არ გაითვალისწინა ამერიკის მთავრობის რჩევა, რის გამოც მოხდა 2008 წლის ომი... ამერიკის ნამდვილი მხარდამჭერი უჯერებს აშშ-ის რჩევას და არ აკრიტიკებს მას. რჩევა, რომ პომპეოს ვიზიტისას ოპოზიციამ მსვლელობა გამართოს, ნათელი დადასტურებაა საკუთარი პარტიული ინტერესების დაწინაურებისთვისა და მთავრობის დამხობისთვის“. იმავე სიუჟეტში კიდევ ერთი ამერიკელი ექსპერტი, ატლანტის საბჭოს უფროსი მკვლევარი არიელ კოენი ამბობს, რომ მსოფლიოში ბევრი ადგილია, სადაც ოპოზიციის ლიდერებს მსგავსი პროტესტის გამოხატვის უფლება არ აქვთ და ზოგან ქუჩაში თავისუფლად გადაადგილებაც არ შეუძლიათ. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ არჩევნები ჩატარდა და იგი ევროპელმა დამკვირვებლებმაც და აშშ-ს საელჩომ შეაფასეს, როგორც თავისუფალი. იყო ბარიერებიც, თუმცა, მისი აზრით, ბარიერები ყველა არჩევნებს აქვს, იგივე აშშ-ს არჩევნებს.

იმედზეც გაშუქდა სააკაშვილის მიერ ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის „ეფესბეს“ აგენტად მოხსენიება და კრიტიკა, რაც თავის მხრივ გაკრიტიკებული იყო ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდან და ძირითადი აქცენტი სწორედ ამ უკანასკნელთა კრიტიკაზე კეთდებოდა, რომელთა აზრითაც, „სააკაშვილი სერიოზულად უთხრის ძირს საქართველოში საკანონმდებლო არჩევნების მეორე ტურის ჩატარებისთვის აუცილებელ მშვიდ ატმოსფეროს“. (19 ნოემბრის სიუჟეტი, საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოს წევრი კეროლ ბიურობონარი).

თოქშოუ „ღია ეთერი“

ტელეკომპანია იმედის შემთხვევაში დაკვირვება ხდებოდა თოქშოუზე „ღია ეთერი“, რომელიც არხის ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური გადაცემაა და მთელი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აქტიურად აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს.

გასული გადაცემების მონიტორინგის შედეგად, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ არცერთი სატელევიზიო ეთერი სრულიად არ მიეძღვნა საქართველოს არჩევნებში გარე აქტორების ჩარევის თემას და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში იყო ის წამოჭრილი ერთ-ერთ საკითხად. ზოგიერთ გადაცემაში კი დისკუსიის მსვლელობისას ხდებოდა ამ საკითხის ხსენება. საინტერესოა, რომ არსებული თემით დაინტერესება უფრო მეტად თავად ჟურნალისტების მხრიდან იგრძნობოდა.

როგორც გადაცემების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, სატელევიზიო დისკურსების მიხედვით, გარე აქტორების ჩართვა 2020 წლის არჩევნებზე ძირითადად დასავლური პარტნიორების, განსაკუთრებით ამერიკის სენატორების ჭრილში განიხილებოდა, რომლებიც მზაობას გამოთქვამდნენ, ყოფილიყვნენ პოლიტიკური პროცესებისა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მხარდამჭერნი და საქართველოს ხელისუფლებას დახმარებოდნენ, თავიდან აერიდებინათ რუსეთიდან წამოსული საფრთხე, რომელიც აუცილებლად შეეცდებოდა ამ მნიშვნელოვან პროცესებში ჩარევას. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ გარე აქტორები წარმოდგენილნი იყვნენ მმართველი პარტიის მიმართ პოზიტიურ ჭრილში, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ არ ჰქონდათ რაიმე სახის შენიშვნა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით: „შეერთებული შტატები ძალიან კარგად ხედავს საქართველოს ქართული ოცნების სახელისუფლო გუნდის სწრაფვას ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის“ (დავით მათიკაშვილი, 29 ივლისი). საკითხის მსგავს კონტექსტში წარმოჩენა საკვირველი არცაა, რადგან გადაცემის სტუმრები უმეტესად ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სატელევიზიო გადაცემებზე დაკვირვებისას, ჟურნალისტების მხრიდან, შეინიშნებოდა ინტერესი იმისა, რომ აუდიტორიისთვის ეჩვენებინათ გარე აქტორების საქართველოს პოლიტიკაში ჩარევის ფაქტის მნიშვნელობა და არსებული ხელისუფლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება.

მთავარი არხი

16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე პერიოდში მთავარი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში არჩევნების თემის გაშუქებას 92 საათი და 26 წუთი დაეთმო. აქედან უცხოელი აქტორების გაშუქების წილი მეათედზე ნაკლები (8%) იყო. 302 სიუჟეტიდან, რომლებშიც უცხოელი აქტორების გაშუქდნენ, ნახევარზე მეტი (163) გადაცემის დასაწყისში, პირველ ხუთ სიუჟეტს შორის იყო.

თემები, რომელთა გაშუქებისასაც უცხოელ აქტორებზე იყო საუბარი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან კავშირში, შემდეგი იყო: ზაფხულის პერიოდში შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ სხვადასხვა თემაზე სიუჟეტები არჩევნების თემასთან იყო დაკავშირებული და მასში უცხოელი აქტორებიც ფიგურირებდა. გარდა ამისა, უცხოელი აქტორების გაშუქების მხრივ მნიშვნელოვანი იყო შემდეგი თემები: აშშ გენერლის მიერ ბელარუსის მოვლენებს საქართველოსთან დაკავშირება, საარჩევნო კანონმდებლობის სწრაფი ცვლილება, პატრიოტთა ალიანსის საიდუმლო ვიზიტი აფხაზეთში, პატრიოტთა ალიანსის დაფინანსების რუსული წყაროები, ოპოზიციის შეთანხმება, NDI-ის წინასაარჩევნო ანგარიში, მეუფე იაკობის პოლიტიკური განცხადება ქადაგების დროს, სააკაშვილის შესაძლო დაბრუნება, გაფრთხილებები ვაშინგტონიდან, კონგრესში კანონპროექტის განხილვა და შესაძლო სანქციები საქართველოსთვის, გიორგი რურუას არშეწყალებაზე დასავლეთის გამოხმაურება, კონგრესმენების წერილი მაიკ პომპეოს, წინასაარჩევნო ზეწოლა ოპოზიციურ მედიაზე; სექტემბერ-ოქტომბერში - IPSOS-ის კვლევა და პოლიტიკური რეიტინგები, სხვა წინასაარჩევნო კვლევები, სანდრო ბრეგაძის კავშირები რუსეთთან, ყოფილი ელჩების დიპლომატიური გზავნილები ვაშინგტონიდან, რუსეთის „ტროლების ქარხანა“ არჩევნებისთვის, დაპირისპირება მარნეულში, დავით გარეჯის საქმე, არჩევნები და კორონავირუსი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ონლაინ კონფერენცია დასავლეთის ყოფილ მაღალჩინოსნებთან, ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მმართველობის რვა წელი, ყურძნის ფასი, მომატებული ფასები საქართველოში, ოცნების ოცეული, ლარის გაუფასურება, დავით გარეჯის საქმე, ოპოზიციის მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა, IPSOS-ის პოლიტიკური რეიტინგები, უკრაინის დელეგაციისთვის არჩევნების დაკვირვებაზე უარის თქმა, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდა, ქართველი ჯარისკაცების წინასაარჩევნო მობილიზება; არჩევნების შემდგომ პერიოდში - ყარაბაღი - საფრთხე საქართველოსთვის, ჯო ბაიდენის პრეზიდენტად არჩევა, მზადება აქციისთვის, დასავლეთის კრიტიკა, არჩევნების შეფასება IRI-ს მიერ, მაიკ პომპეოს ვიზიტი, ინტერვიუ მეთიუ ბრაიზასთან.

მონიტორინგის მთლიანი პერიოდის განმავლობაში მთავარ არხზე სამი ძირითადი უცხოელი აქტორი გამოიკვეთა, რომელსაც საინფორმაციო გამოშვებები დიდ დროსა და ყურადღებას უთმობდნენ: აშშ და მასთან დაკავშირებული აქტორები (2 სთ 6 წთ), რომელთა გაშუქების დიდი წილიც ნოემბერში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტმა გამოიწვია, რუსეთი (1 სთ 17 წთ), რომელიც ხშირად წარმოჩენილი იყო, როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩამრევი ძალა. რუსეთთან კავშირების ხაზგასმით ხდებოდა „ქართული

ოცნების“ დისკრედიტაცია. რუსეთისა და ქართული ოცნების კავშირების ხაზგასმა სარედაქციო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ხაზს წარმოადგენდა. დიდი დოზით შუქდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩარევის მცდელობები და კვალი. ასევე, უცხოური და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები, რომლებმაც წინასაარჩევნო კვლევები ჩაატარეს. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ამ მხრივ IPSOS-ის კვლევა იყო, რომლის თანახმადაც „ქართული ოცნების“ რეიტინგი მაღალი არ არის. სხვა აქტორებთან შედარებით მეტი დრო ევროკავშირსა და მასთან დაკავშირებული აქტორების გაშუქებას დაეთმო (27 წთ). დანარჩენი უცხოელი აქტორები შედარებით ნაკლები სიხშირით იყვნენ წარმოდგენილნი საინფორმაციო გამოშვებებში. (დიაგრამა 5) საინტერესოა, რომ გაშუქება უმეტესად ნეიტრალური იყო, დადებითი ტონი იშვიათად გვხვდებოდა (ხშირად გაშუქებულ სუბიექტებს შორის ყველაზე მეტი დადებითი ტონის წილი საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებს ჰქონდათ, 22%). უარყოფითი ტონით გაშუქებაც ერთი კონკრეტული სუბიექტის შემთხვევაშია თვალშისაცემი - რუსეთი, რომლის გაშუქების დიდი წილი (79%) უარყოფით ტონში წარიმართა.

დიაგრამა 5: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი მთავარ არხზე



აღსანიშნავია, რომ „მთავარი არხის“ ჟურნალისტები შესამჩნევად მიკერძოებულად აშუქებდნენ მიმდინარე მოვლენებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, საგარეო აქტორებსაც იყენებდნენ ამ მიზნის მისაღწევად. მათი მხრიდან ხშირი იყო საუბარი „ქართული ოცნების“ კავშირებზე რუსეთის ხელისუფლებასთან და მათი მხრიდან რუსეთის ინტერესების

გატარებაზე. რუსეთის ხსენებით ხდებოდა „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია. მაგალითად, 13 სექტემბრის სიუჟეტი: „იმ დროს, როდესაც უცხოეთიდან დაბრუნებულ საკუთარ მოქალაქეებს ორკვირიან კარანტინში ვკეტავთ, რატომ შემოვუშვით ქვეყანაში ათობით ათასი ტურისტი რუსეთიდან იმ დროს, როდესაც იქ კორონას გავრცელება სწორედ ახლა უმძიმეს სტადიაშია?“ ასევე, „ქართული ოცნების“ პროპორციული სიის წარდგენის შესახებ 11 სექტემბრის სიუჟეტში, საუბარი იყო დეპუტატობის კანდიდატების კავშირზე რუსეთთან: „არც ვიქტორ სანიკიძეს კალათბურთში და არც დავით კაჭარავას რაგბში და განსაკუთრებით ეროვნულ ნაკრებებში არავინ არაფერს უკარგავს, თუმცა, სოციალურ ქსელებში ამ სპორტსმენების დამოკიდებულება ოკუპანტი რუსების მიმართ არ გამოპარვიათ. დავით კაჭარავა ჯერ კიდევ ორი თვის წინ გადაცემაში „სპორტი დიდ ქალაქში“ ამბობდა, რომ რუსეთში წასვლას და კარიერის გაგრძელებას არ გამორიცხავდა.“

ამის კიდევ ერთი მაგალითია 27 სექტემბრის ვრცელი (12-წუთიანი) სიუჟეტი „ბიძინას ღიმილი“, რომელშიც არათუ ინფორმაციის ბალანსს ვხვდებით, სულაც სიუჟეტის ავტორი თენგო გოგოტიშვილი ბიძინა ივანიშვილის სახით, პირველ პირში საუბრობს და სხვა საკითხებთან ერთად მის რუსეთთან კავშირსაც უსვამს ხაზს: „თქვენ კი გგონივართ ყველაფრის უფროსი, მაგრამ განა მართლა ჩემს თავში იხარშება ყველაფერი ის, რაც შემდეგ თქვენს თავს უნდა მოხდეს. მეც მყავს ნაჩალნიკები და კურატორები. აბა, გეშოვათ ხუთი მილიარდი 90-იანების რუსეთში და ვნახავდი, როგორ დააღწევდით იმ წარსულს თავს... ამხანაგ გავრილოვს კიდევ ერთხელ რომ დაინახავთ პარლამენტის თავმჯდომარის სკამში, იცოდეთ ეგეც ბიძინაა, უფრო სწორედ, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი, ბიძინას რევიზორად გამოგზავნილი და კარგად მოექეცით.“

ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამძაფრდა არჩევნების მოახლოებასთან ერთად და მთავარ არხზე გავიდა სიუჟეტები, სადაც, მაგალითად, საუბარი იყო, თუ როგორ შეიცვალა ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან და როგორი დამოკიდებული გახდა ქვეყანა რუსეთზე. აქვე ხაზგასმული იყო რუსეთის კეთილგანწყობა მმართველი პარტიის მიმართ. 14 ოქტომბრის სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობდა: „მაშინ, როდესაც წინ დიდი ეკონომიკური კოლაფსია და საქართველოს ისევე, როგორც სხვა დიდ ეკონომიკებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ, რუსეთზე, ასეთ არასანდო პარტნიორზე ჩამოკიდება შესაძლოა ქვეყნისთვის დამატებითი თავსატეხი გახდეს. მით უმეტეს, რომ ჯერ უცნობია, რა მოხდება არჩევნებზე და რა რეაგირებას მოახდენს მოსკოვი, თუკი ხელისუფლება შეიცვალა და მმართველობა მისთვის მისაღებმა ქართულმა ოცნებამ დაკარგა“. ასევე, სიუჟეტები, რაც, მმართველ გუნდთან კავშირების გარდა, რუსეთის მხრიდან საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევაზე მიუთითებდა. მაგალითად, 17 ოქტომბრის სიუჟეტი „სკანდალი დავით გარეჯის საქმეში“, რომლის მიზანია, დაგვანახოს, რომ საქართველოში თავისუფლად შემოდიან რუსეთის აგენტები, ესწრებიან თავდაცვის სამინისტროს დახურულ შეხვედრებს. ბოლო სამი წლის განმავლობაში 8-ჯერ ჩამოფრინდა თვითმფრინავით ვლადიმერ ევტუშენკო, რომელიც პუტინის დავალებებს ასრულებს და ბიძინა ივანიშვილს ხვდება. პუტინის ერთ-ერთ დავალებად სწორედ დავით გარეჯის საქმეა

წარმოდგენილი. დავით გარეჯის საქმეს ოქტომბრის თვეში არაერთი სიუჟეტი მიეძღვნა და ყველა მათგანში რუსეთის ინტერესების გატარება იკვეთებოდა.

ასევე, არჩევნების წინა დღეებში, მთავარი არხის ინფორმაციით, ნიკოლოზ გვარამიამ გასაიდუმლოებული წყაროსაგან მიიღო გრუ-ს კონფიდენციალური/საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც წლების წინ არის შექმნილი და ეძღვნება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს. ამ დოკუმენტში ჩამოწერილია იმ ხალხის სახელი და გვარები, რომლებიც რუსეთს საქართველოში სამოქმედოდ ხელს შეუწყობენ. 29 ოქტომბერს გასულ მე-3 სიუჟეტში მთავარი 5 წუთზე მეტს უთმობს საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულების გაშიფვრას. გრუ-ს სიაში ვხვდებით სხვადასხვა პროფესიის ხალხს, საპატრიარქოს წარმომადგენლებს, ადვოკატებს, პოლიტიკოსებს და ა.შ. საგულისხმოა, რომ სიაში ჩამოთვლილი პირები უმეტესად პროსახელისუფლებო პოზიციებზე დგანან, ან ნაციონალური მოძრაობისგან საჯარო სივრცეში მტრის ხატს ქმნიან. ამგვარად, მთავარი არჩევნების წინა დღეებში ცდილობს შექმნას განცდა, რომ ხალხი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ გამოდის, რუსეთთან ასოცირებულია, ან მისი აგენტურაა და საქართველოში ფარულად რუსეთის ინტერესების დასაცავად მოქმედებს. ამავე დღეს გასული მე-4 სიუჟეტი უკვე ამ სიის პოლიტიკურ შეფასებებს ეთმობა. აქ ვხვდებით როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს. ცხადია, ხელისუფლება ირონიულად აღიქვამს მთავარი არხის მიერ დასმულ კითხვას იმაზე, არიან თუ არა ისინი რუსეთის აგენტები. მაგალითად, გიორგი ვოლსკი მოხსენიებულია ამ სიაში, როგორც რუსეთის პოტენციური აგენტი. ვოლსკი ბრალდებას იმით პასუხობს, რომ დავით გარეჯის გამყიდველები ვერ უნდა ბედავდნენ ვინმეს რუსეთუმეობა დასწამონ, მით უმეტეს მთავარი არხის, რომელსაც ვოლსკი „გლავ კანალს“ უწოდებს, უფროსი. ვოლსკი და დანარჩენები მმართველი გუნდიდან ამბობენ, რომ, პირიქით, ქართული ოცნებაა რუსეთუმე. ოპოზიციაში კი, რა თქმა უნდა, ეთანხმებიან მთავარი არხის მიერ გამოთქმულ პათოსს და ამბობენ, რომ ოცნება მიგვაქანებს რუსეთისაკენ.

რაც შეეხება სხვა საგარეო აქტორებს, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და აშშ-ს ოფიციალური პირები, ევროკავშირის ქვეყნები და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები, ისინი, როგორც წესი, ავტორიტეტის მქონე სუბიექტებად იყვნენ წარმოჩენილნი და სიუჟეტებში მათი ჩართვის მიზანი ან მმართველი გუნდის კრიტიკა ან მათი მეშვეობით რუსეთისა და საქართველოში რუსეთთან ასოცირებული ძალების უარყოფითად წარმოჩენა იყო. მაგალითად, 23 სექტემბრის სიუჟეტი „გზავნილი ვაშინგტონიდან“, სადაც საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩების National Interest-ში გამოქვეყნებულ გზავნილზე იყო საუბარი. ამ გზავნილით დიპლომატები საქართველოს ხელისუფლებას მიუთითებდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ და გარკვეულწილად ესეც ქვეყნის წინასაარჩევნო პროცესებზე გავლენის მოხდენის მცდელობად აღიქმებოდა. თუმცა, არხი ამის გაშუქებაში უარყოფითად უფრო მმართველს გუნდს წარმოაჩენდა, ვიდრე უცხოელ აქტორებს. ამავე სიუჟეტში აშშ-ს ელჩი საუბრობდა რუსეთის მხრიდან საქართველოს წინასაარჩევნო პროცესებში ჩარევის საფრთხეზე და დეზინფორმაციაზე რუსეთის მხრიდან. ამ შემთხვევაშიც უცხოელი აქტორი წარმოჩენილი იყო, როგორც ავტორიტეტის მქონე, სანდო ინფორმაციის წყარო.

არჩევნების შემდგომ პერიოდში აქცენტი უმეტესად იმ გარე აქტორების გაშუქებაზე კეთდებოდა, ვინც ხელისუფლების მიერ ოპოზიციის მიტინგების დაშლას აკრიტიკებდნენ და ზოგადად შექმნილ ვითარებაში ხელისუფლებას აკისრებდნენ პასუხისმგებლობას. მაგალითად, 11 ნოემბრის სიუჟეტში ევროპარლამენტარი ანდრიუს კუბილიუსი საქართველოს მთავრობას აკისრებდა არსებული სიტუაციის მოგვარების პასუხისმგებლობას. ასევე დავიდ კრამერი, რომელიც ამბობდა, რომ ოპოზიციას და მოქალაქეებს აქვთ პროტესტის უფლება და მთავრობამ კორონავირუსი პოლიტიკური მიზნებით და პროტესტის შესაზღუდად არ უნდა გამოიყენოს. მან წყლის ჭავლის გამოყენებაც გააკრიტიკა.

მთავარ არხზე აქტიურად გაშუქდა პომპეოს ვიზიტის წინა პერიოდი. აშშ მოხსენიებული იყო, როგორც ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, რომლის სურვილებიც (მაგალითად, ანაკლიის პორტის აშენება) მმართველმა პარტიამ არ გაითვალისწინა და ამის გამო აუცილებლად მიიღებს საყვედურს პომპეოსგან (11 ნოემბრის სიუჟეტი „რას იტყვის მაიკ პომპეო). ასევე, 13 ნოემბრის სიუჟეტი „ისტორიული შანსი რეგიონისთვის“, სადაც ჟურნალისტი ამბობდა: „მაშინ, როდესაც 2019 წელს მაიკ პომპეოს პრინციპული მოწოდება, ააშენეთ ანაკლიის პორტი, ქართულმა ოცნებამ ჩააფლავა, რა კონკრეტული წინადადებით და გზავნილებით ჩამოვა აშშ სახელმწიფო მდივანი, ეს 17 ნოემბერს გახდება ცნობილი“. სიუჟეტებში იქმნებოდა მოლოდინი, რომ პომპეო არჩევნებთან დაკავშირებით აუცილებლად გააკრიტიკებდა მმართველ გუნდს. ეს მოლოდინი მისი ჩამოსვლის შემდგომაც გაგრძელდა. 19 ნოემბერის სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობდა: „ვიზიტის დასრულებიდან 24 საათის შემდეგ დანამდვილებით შეიძლება, ითქვას, რომ მთავარი სტრატეგიული პარტნიორი არ აღიარებს არჩევნების დემოკრატიულობას და სამართლიანობას, ვიდრე ქართული ოცნება დათმობაზე არ წავა და საქართველოში შიდა პოლიტიკური კონსენსუსი არ დამყარდება“. მთავარმა არხმა 20 ნოემბერს მეთიუ ბრაიზასთან ინტერვიუც გააშუქა, რომელიც მაიკ პომპეოს აკრიტიკებდა იმის გამო, რომ თავისი ვიზიტის ფარგლებში ოპოზიციას არ შეხვდა.

თოქშოუ „მთავარი აქცენტები“

მთავარი არხის თოქშოუ „მთავარი აქცენტები“ წინასაარჩევნოდ აქტიურად განიხილავდა პოლიტიკურ პროცესებს. მათი სტუმრები ოპოზიციის ფართო ნაწილს წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, მათ ყურადღება არ გაუმახვილებიათ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში გარე აქტორების ჩარევაზე. იმ კვირებში, როდესაც ყველაზე აქტუალური იყო ეს საკითხი, „მთავარი აქცენტები“ ეთერში არ გასულა და საკითხს ამ არხზე სხვა პოლიტიკური თოქშოუები განიხილავდნენ.

ტვ პირველი

მონიტორინგის მეორე საანგარიშო პერიოდში ტვ პირველის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში საარჩევნო თემას 71 საათი და 34 წუთი დაეთმო. აქედან უცხოელი აქტორების გაშუქების წილი მხოლოდ 6% იყო. 196 სიუჟეტიდან, რომლებიც უცხოელ აქტორებს შეეხებოდა, ნახევარზე მცირედით ნაკლები (95) გადაცემის დასაწყისში, პირველ ხუთ სიუჟეტად გავიდა.

თემები, რომელთა გაშუქებისასაც არჩევნების კონტექსტში უცხოელი აქტორები იყვნენ წარმოჩენილი, შემდეგი იყო: ზაფხულის პერიოდში - სააკაშვილის შესაძლო დაბრუნება, რუსული ფული ქართულ პოლიტიკაში და ელენე ხოშტარიას მიმართვა პროკურატურისადმი, რომ გამოიძიოს პატრიოტთა ალიანსის საქმე ამ მხრივ, ოპოზიციური პარტიების შეთანხმება, NDI-ის მიერ წინასაარჩევნო გარემოს შეფასება, აშშ-ის კონგრესმენების წერილები, პრეზიდენტის მიერ გიორგი რურუას არშეწყალება, ბიძინა ივანიშვილის ჩართვა წინასაარჩევნო კამპანიაში ძველი მეთოდებით, კრიმინალური ავტორიტეტების კავშირი ხელისუფლებასთან; სექტემბერი-ოქტომბრის პერიოდში - საერთაშორისო დამკვირვებლების დასწრება არჩევნებზე, „პატრიოტთა ალიანსის“ კავშირი რუსეთთან, რუსეთის კიბერთავდასხმა ლუგარის ლაბორატორიაზე, ივანიშვილის გარემოცვის მოსკოვური ტურნე, წინასაარჩევნო კვლევები და გადაუწყვეტელი ამომრჩევლის ფაქტორი, პარტიების პოლიტიკური რეიტინგები, ევროპარლამენტის ანგარიში და ევროპარლამენტარების განცხადებები საქართველოზე, ქართული ოცნება - ახალი დაპირებები, დაკავებების სერია დავით გარეჯის საქმეზე, პატრიოტთა ალიანსის კვლევა, რომელიც დასათაურებული იყო, როგორც „პოლიტიკური ომი ფარული ჩანაწერებით“, ხელისუფლების უარი ვენეციის კომისიას, ქართული ოცნების მმართველობის რუსული სტილი; არჩევნების შემდეგ პერიოდში - ოპოზიციის შეხვედრა ეუთო/ოდირის წარმომადგენლებთან, ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომი ვითარება, მაიკ პომპეოს ვიზიტი და ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლოდინი, აშშ-ის შუამავლობა პოზიციასა და ოპოზიციას შორის, პომპეოს მოადგილის დარჩენა ოპოზიციასთან შესახვედრად, ევროპარლამენტარის განცხადება საქართველოში საარჩევნო კრიზისზე, IRI-ს მწვავე შეფასება.

ტვ პირველზე ორი გამოკვეთილი უცხოელი აქტორია, ვისაც ყველაზე მეტი დროც ეთმობა და ვისი გაშუქებაც არხის სარედაქციო პოლიტიკას კარგად გამოხატავს. აშშ-ის შემთხვევაში მაიკ პომპეოს ვიზიტმა, რომელიც ყველა არხზე დიდი დოზით გაშუქდა (მათ შორის, უწყვეტი ლაივ გადმოცემები) რაოდენობრივ მონაცემებზე დიდი გავლენა მოახდინა. ამის მიუხედავად, ყველაზე ხშირად გაშუქებული უცხოელი აქტორი რუსეთი იყო (1 სთ 2 წთ) და მისი გაშუქების უდიდესი ნაწილი (85%) ნეგატიური ტონით გაკეთდა. სხვა უცხოელ აქტორებს შედარებით ნაკლები დრო დაეთმოთ, უცხოურ კვლევით ორგანიზაციას 23 წუთი, ევროკავშირს - 19 წუთი, IRI-ს 14 წუთი. უცხოელი აქტორების მიმართ გაშუქების დადებითი ტონის წილი მცირე იყო. ძირითადად გაშუქება ნეიტრალური ტონით ხდებოდა.

უარყოფითი ტონის შემთხვევაში რუსეთი წარმოადგენს გამორჩეულ გამონაკლისს. (დიაგრამა 6)

დიაგრამა 6: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი ტვ პირველზე



„ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებებში ხშირი იყო რუსეთის ხსენება ბიძინა ივანიშვილსა და მმართველ გუნდთან კავშირში იმ მიზნით, რომ მათი დისკრედიტაცია მომხდარიყო. მაგალითად, 14 სექტემბრის სიუჟეტი „ივანიშვილის გარემოცვის მოსკოვური ტურნე“, სადაც საუბარი იყო დოკუმენტებზე, რომელიც ადასტურებდა ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის ვიზიტებს მოსკოვში, რომ იგი თბილისიდან მოსკოვში 117-ჯერ ჩავიდა, მათ შორის, „გავრილოვის ღამის“ შემდეგ. ასევე, 24 ოქტომბრის სიუჟეტი „მინი ოლიგარქები: სერია ორი“, რომლის მიზანი იყო, ეჩვენებინა, რომ ქართული ოცნების მმართველობის პირობებში საქართველო ხორბლის მიწოდების მხრივ 100%-ით ოკუპანტი რუსეთის ბაზარზეა დამოკიდებული. თუ რუსეთს ქართული პოლიტიკა არ მოეწონება, მას შეუძლია საქართველოს მოსახლეობა მშიერი დატოვოს. ჟურნალისტი სიუჟეტში მოგვითხრობს: „ქართული ოცნების მდუმარე დეპუტატი ნოდარ ჩანქსელიანი. ამ ადამიანმა საქართველო რუსულ ბაზარზე დამოკიდებული გახადა. ის პურის ბიზნესს აკონტროლებს. რომ არა რუსული ხორბალი, მშიერი დავიხოცებოდით. ერთ მშვენიერ დღეს თუ რუსეთი გადაწყვეტს, ეკონომიკური ზეწოლა მოახდინოს საქართველოზე, მაშინ მშიერი დარჩება მოსახლეობა. ბიძინა ივანიშვილის კურთხევით, მისი ერთგულები მილიონებს შოულობენ.“

17 ოქტომბრის სიუჟეტი „ნოდარ მელაძის შაბათში“, რომელიც დავით გარეჯში არსებულ ვითარებას ეძღვნებოდა. საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ გახდა ახლა უკვე რუსეთის მოქალაქე ბეჟან მაისურაძე, ჟურნალისტის თქმით, დავით გარეჯის საქმეზე ოცნების მიერ შერჩეული მთავარი ფიგურანტი. სიუჟეტში ნათქვამია, რომ იმ დოკუმენტაციის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებამ და პროკურატურამ კარტოგრაფების წინააღმდეგ საქმე აღძრა, სწორედ ბეჟან მაისურაძის მოპოვებულია. ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, ბეჟან მაისურაძეს რუსეთის მოქალაქეობა გაყალბებული მონაცემების წყალობით ჰქონდა მოპოვებული, ასევე, მათი თქმით, მაისურაძე ადრე ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელი გახლდათ. სიუჟეტში ნაჩვენები იყო, რომ თავდაცვის მინისტრი, რომლის მეგობარიცაა ბეჟან მაისურაძე, სინქრონში ამბობდა, რომ მიწები მოღალატე სააკაშვილმა გაასხვისა. მაისურაძის დაკავშირება ოცნების წარმომადგენლებთან ტოვებდა განცდას, რომ ქართული ოცნება რუსეთის თამაშს თამაშობს დავით გარეჯის საქმეში, ან, სულ მცირე, რუსეთისგან იღებს გარკვეული სახის კონტრიბუციას ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად. ამგვარად, რუსულ კვალზე ხაზგასმა პირდაპირ უკავშირდებოდა რუსეთის მეშვეობით ხელისუფლების დემონიზების ცდას.

ხელისუფლებისა და რუსეთის კავშირზე ასევე მიანიშნებს 10 ნოემბრის სიუჟეტი ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ დამდგარ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაზე. აქ ხაზგასმული იყო, რომ სალომე ზურაბიშვილმა კონფლიქტში ჩართულ მხარეებს და ფასილიტატორებს კონფლიქტის ამგვარად დასრულება მიულოცა და შემდეგ ნახსენები იყო, რომ ერთ-ერთი ფასილიტატორი რუსეთია, რითიც გამოდიოდა, რომ ზურაბიშვილს რეგიონში რუსეთის პოზიციების გამყარებაც უხაროდა. რუსეთისა და მმართველი გუნდის დამთბარ ურთიერთობებს მიეძღვნა 11 ნოემბრის სიუჟეტი იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილმა პუტინის თხოვნით რუსებისთვის საჰაერო სივრცე გახსნა, რათა მათ სამშვიდობოები გადაეყვანათ კონფლიქტის ზონაში (ყარაბაღში). აქ ასევე საუბარი იყო სალომე ზურაბიშვილის ტვიტზე, რომელსაც უარყოფითად გამოეხმაურა ოპოზიცია და აშშ-ის ყოფილი ელჩი იან კელი, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტს რუსი სამშვიდობოების საზღვრებთან ახლოს ყოფნა არ უნდა უხაროდეს. ეს სიუჟეტი იმითაც იყო გამორჩეული, რომ აქ ზურაბიშვილის პოზიციას სხვა გარე აქტორი აკრიტიკებდა. სიუჟეტი ქმნიდა განცდას, რომ ხელისუფლება უკვე აღარ ერიდება პრორუსული პოლიტიკის გატარებას, მათ შორის იმის ფონზე, რომ ამ ყველაფერს დასავლელი პარტნიორებიც ამჩნევენ.

რუსეთის მხრიდან საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევა წინასაარჩევნო თვეებში აქტუალური გახდა. ამაზე რამდენიმე სიუჟეტი მომზადდა. ნაწილი ეხებოდა პატრიოტთა ალიანსის რუსულ დაფინანსებას (დოსიე ცენტრის ანგარიშის თანახმად), სადაც პატრიოტთა ალიანსს არამარტო რუსეთთან ახლო ურთიერთობებში ადანაშაულებდნენ, არამედ რუსეთის პოლიტიკის საქართველოში გავრცელებაში, ქვეყანაში ანტითურქული განწყობების გაღვივებაში და აქციების საშუალებით არეულობის დაწყებაში. სიუჟეტით ასევე გარკვეულწილად ხდებოდა „ქართული ოცნების“ უარყოფითად წარმოჩენა, რადგან ხაზგასმული იყო, რომ თუკი მმართველი გუნდი ამ ბრალდებების გამოსაძიებლად ნაბიჯებს არ გადადგამს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მისი პოზიცია. სიუჟეტის ერთ-

ერთი რესპონდენტი ელენე ხოშტარია ამბობდა: „აქ სიახლე არც ის არის, რომ რუსეთი ცდილობს არჩევნებში ჩარევას, არც ის არის სიახლე, რომ პატრიოტთა ალიანსი არის პრორუსული, მტრული სახელმწიფოს მიერ მართული პარტია. აქ ძალიან მნიშვნელოვანი და საგანგაშო არის ქართული სახელმწიფოს რეაქცია, რომელიც ამ ფაქტებში ვერ ხედავს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისთვის ვერანაირ პრობლემას.“ შესაბამისად, რუსეთთან ასოცირება პარტიის დისკრედიტაციისთვის იყო გამოყენებული.

რუსეთის ჩარევას ეხებოდა სიუჟეტი კიბერთავდასხმაზე ლუგარის ლაბორატორიაზე, რომლის მიხედვითაც ეს ფაქტი მთავრობამ რამდენიმე დღეში გაასაჯაროვა და არც დაუსახელებია თავდამსხმელი ქვეყანა. თუმცა, კვლევის შედეგები რუსმა ჰაკერებმა ინტერნეტში განათავსეს. სიუჟეტში მოცემული იყო ოპოზიციონერი ელენე ხოშტარიას კომენტარი: „სახელმწიფო უნდა იყოს ძალიან მკაფიო იმის შესახებ, რომ ეს არის რუსეთის გაკეთებული, რომ რუსეთი აქტიურად ერევა საქართველოს წინასაარჩევნო პერიოდში, კიბერთავდასხმით, პროპაგანდისტული იარაღით, კონკრეტული პარტიების დაფინანსებით. მთლიანობაში რუსეთი ძალიან არის გააქტიურებული საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის თვალსაზრისით.“

დასავლელი აქტორები, აშშ-ის, ევროკავშირის წარმომადგენლები, დიპლომატები „ტვ პირველზე“ საინფორმაციო გამოშვებებში წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც ავტორიტეტული პირები. განსაკუთრებული ყურადღებით შუქდებოდნენ ის უცხოელი აქტორები, რომლებიც მმართველ პარტიას აკრიტიკებდნენ. მაგალითად, 15 სექტემბრის სიუჟეტში „ევროპარლამენტი: ივანიშვილი დემოკრატიის საფრთხეა“ საუბარი იყო ევროპარლამენტარების მიერ საქართველოზე გაკეთებულ განცხადებებზე, რომელიც სიუჟეტში მოცემული იყო, როგორც გაფრთხილება არჩევნების წინ. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამერის განცხადებაზე, რომელიც ამბობდა, რომ ივანიშვილის ჩრდილოვანი მმართველობა საფრთხეს უქმნიდა დემოკრატიას. ასევე, 17 სექტემბრის სიუჟეტი „ევროპარლამენტის ანგარიში“, რომელიც ეხებოდა ევროპარლამენტის ანგარიშს საქართველოს შესახებ და რომელიც წარმოჩენილი იყო, როგორც უმკაცრესი წინასაარჩევნო გაფრთხილება. გადაცემის წამყვანის ციტატა: „552 ევროპარლამენტარი წერს, რომ საქართველოში არსებობს პოლიტიზირებული სასამართლო, პოლიტიკური იყო ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ აღძრული საქმეებიც და ქვეყანას ივანიშვილის მმართველობის პირობებში ჰყავს პოლიტპატიმრები. ეს ყველაფერი ევროპარლამენტის წლიურ ანგარიშში ჩაიწერა.“ ზოგ შემთხვევაში დასავლელი აქტორების გამოყენება მმართველი გუნდის დისკრედიტაციისთვის სიუჟეტის სათაურიდანაც ცხადი იყო. მაგალითად, 6 ოქტომბრის სიუჟეტი „ხელისუფლების უარი ვენეციის კომისიას“, რომელშიც გაშუქებული იყო მოსამართლეთა შერჩევის წესის შესახებ კანონპროექტის მიღება ვენეციის კომისიის საბოლო დასკვნის გამოქვეყნებამდე. ჟურნალისტი აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ „ქართული ოცნების წევრები იღებენ საყვედურს ევროპიდან“, „ნდობის მოპოვების დაკარგული შესაძლებლობა - ოცნების ნაბიჯი ევროკავშირში ასე შეფასდა“. სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტებიც მსგავს რიტორიკას აჟღერებდნენ. მაგალითად, ეკა ბესელია: „მე მახსოვს მათი გაკვირვებაც, როდესაც იკითხეს, რა ეტაპზეა

პროექტი და როცა ვუთხარი, რომ, აი, დღეს იღებენ უკვე მესამე მოსმენით. როდესაც დღეს ვენეციის კომისია აპირებდა ერთი კვირის შემდგომ საბოლოო დასკვნის გამოგზავნას. ეს, რა თქმა უნდა, მათთვის იყო მოულოდნელიც და გაუგებარიც. უბრალოდ უპატივცემულობა გამოხატეს ევროპული სტრუქტურის მიმართ."

„ტვ პირველზე" გაშუქდა საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩების სტატია The National Interest-ში, სადაც ყოფილი ელჩები შეშფოთებას გამოხატავდნენ რუსეთის შესაძლო ჩარევაზე საქართველოს არჩევნებში და საუბრობდნენ ქვეყანაში დემოკრატიის გაუარესებაზე, ასევე საგარეო კურსის ცვლილებაზე და საქართველოს უკან სვლაზე. მათი თქმით, ამას მოწმობდა 2018 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც აღინიშნა ძალადობითა და დაშინებით და 2019 წლის ივნისში ათასობით დემონსტრანტის დარბევა. ამავე საკითხებთან დაკავშირებით გაშუქდა ელჩების მოწოდებები საქართველოში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მნიშვნელობაზე (აშშ-ს, ევროკავშირის, გერმანიის ელჩების კომენტარები) და წლევანდელი არჩევნების სირთულეზე.

არჩევნების შემდგომ პერიოდში ტვ პირველზე ხშირი იყო საუბარი არჩევნების გაყალბებაზე და ასეთ შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა გარე აქტორების იმ განცხადებებზე, რომლებიც მმართველ პარტიას აკრიტიკებდა. ეუთო/ოდირის დასკვნის გაშუქებისას ყურადღება გამახვილდა შენიშვნებზე, რაც ორგანიზაციამ არჩევნების დღესთან დაკავშირებით აღნიშნა. არადა, ეუთო/ოდირის დასკვნა, მაგალითად, იმედზე სხვა აქცენტებით გაჟღერდა, როგორც არჩევნების მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების დასტური. ტვ პირველზე კი ამ ანგარიშის სხვა ნაწილებზე გაამახვილეს ყურადღება. 2 ნოემბრის სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობდა: „ეუთომ საპარლამენტო არჩევნების პირველადი დასკვნა უკვე გამოაქვეყნა, გაჩნდა ტერმინი დამაშინებელი გერემობა. ასე შეაფასა ოდირმა ის, რაც საარჩევნო უბნებთან ხდებოდა". ასევე, ორი მსხვილი სიუჟეტი მიეძღვნა IRI-ის კრიტიკულ დასკვნას, რომელშიც მაყურებელს გააცნეს IRI-ის ევრაზიის პროგრამის დირექტორის მიერ არჩევნების კრიტიკა (18 ნოემბრის სიუჟეტი). სიუჟეტის მიზანი მმართველი პარტიის გაკრიტიკება იყო. ამას გადაცემის წამყვანის შეფასებითი ციტატებიც ადასტურებდა: „ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტს გზად საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის უმწვავესი დასკვნა წამოეწია"; „ამ დოკუმენტში პირდაპირ არ წერია, თუმცა, მისიის ხელმძღვანელმა ტრადიციული, დიპლომატიური ხერხით თქვა არჩევნები არალეგიტიმურია".

მაიკ პომპეოს ვიზიტიც, რომელიც ფართოდ გაშუქდა, უმეტესად იმ კუთხით იყო წარმოდგენილი, რომ აშშ-ის მაღალჩინოსნის ვიზიტი არა მხოლოდ რეგიონულ პერიპეტიებს, არამედ ადგილობრივ არჩევნებსაც შეეხებოდა და, შესაბამისად, პომპეოს ჩამოსვლა საქართველოში არსებული ვითარების ახლოდან გაანალიზებას ისახავდა მიზნად (11 ნოემბრის სიუჟეტი „პომპეო ჩამოდის: რა შეიცვლება"). საინტერესოა ლეიბორისტი გიორგი გუგავას ინტერვიუ, რომელმაც განაცხადა, რომ ადრეულ წლებში ბეიკერის და კლინტონის ვიზიტი ხელისფლების ცვლილებებს იწვევდა, ამიტომ ახლაც იგივე იყო მოსალოდნელი. მმართველი გუნდიდან დავით ზალკალიანი ამ განცხადებას

არარელევანტურსა და სინამდვილეს აცდენილს უწოდებდა. ეს ორი კომენტარი კარგად გამოხატავდა ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების განსხვავებულ მოლოდინებს და მიმართებას პომპეოს ვიზიტისადმი. ერთი მხრივ, იყო ოპოზიციის მოსაზრებები, რომ პომპეომ თავისი ვიზიტით შიდა პოლიტიკური გარდატეხა უნდა მოახდინოს, ხოლო მეორე მხრივ მმართველი გუნდის მოსაზრებები, რომ პომპეო საქართველოსთვის მხარის დასაჭერად და რეგიონში არსებული მწვავე ვითარების გამო ჩამოდის. ისიც უნდა ითქვას, რომ სიუჟეტის უმეტესი ნაწილი ოპოზიციურ მოლოდინებს ეთმობოდა და ხელისუფლება მხოლოდ სიუჟეტის ბოლოს ჩანდა. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ტვ პირველს ჰქონდა მცდელობა, ეს ვიზიტი უფრო არჩევნებისთვის მიეწერა, ვიდრე რეგიონში არსებული ვითარებისთვის.

ასევე საგულისხმოა 11 ნოემბრის სიუჟეტი, რომელშიც იყო მცდელობა ვითარების ისე წარმოჩენისა, თითქოს ქართულმა ოცნებამ ოპოზიციის მიმართ აგრესიული რიტორიკა მას მერე შეცვალა, რაც პომპეოს ჩამოსვლის ამბავი გამოირკვა. ოპოზიცია აცხადებდა, რომ რახან საერთაშორისო პარტნიორებს დიალოგზე საუბარი მოსწონდათ, ოცნებაც ამიტომ ალაპარაკდა დიალოგზე, თუმცა, მათი აზრით, ეს უფრო სიმულაციური შეთავაზება იყო. აქ გამოჩნდა, რომ ტვ პირველი აგრძელებდა მსგავს დრამატურგიულ ხაზს და ცდილობდა პომპეოს ვიზიტი წარმოეჩინა, როგორც შიდა პოლიტიკაზე გავლენის მომხდენი, თანაც იმდენად, რომ ხელისუფლება იძულებული გახდებოდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. იმავე კუთხით, ტვ პირველზე განსაკუთრებული ყურადღება იმაზე გამახვილდა, რომ პომპეოს მოადგილე ოპოზიციასთან შესახვედრად დარჩა.

ტვ პირველმა სიუჟეტი ევროპარლამენტარებსა და პოსტ-საარჩევნო პერიოდის შესახებ მათ შეხედულებასაც მიუძღვნა. 12 ნოემბრის სიუჟეტში საუბარი იყო ევროპარლამენტარ კუბილიუსის განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, მნიშვნელოვანია, ცესკომ ხელახლა გადაითვალოს ხმები, რადგან შესაძლოა ერთი პროცენტიც კი ძალიან ბევრს წყვეტდეს. მისი აზრით, არსებობს ძალიან ბევრი პრეტენზიები არჩევნებთან მიმართებით და ეს პრობლემები უნდა აღმოიფხვრას დიალოგის გზით. ასევე, მან განაცხადა, რომ დაუშვებელია მმართველმა გუნდმა ძალის გამოყენებით სცადოს მომიტინგეების დაშლა. აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტარის ეს მკაცრი რიტორიკა ხელისუფლების მიმართ ტვ პირველის ჟურნალისტის ექსკლუზიურ ინტერვიუში დაფიქსირდა და არა რაიმე სესიაზე ან რეზოლუციაში. ამგვარად, აქ ტვ პირველს საგარეო აქტორი გამოყენებული ჰყავდა იმისთვის, რომ არხის პოზიცია არჩევნებთან მიმართებით ავტორიტეტით გაემყარებინა. თავის მხრივ, კუბილიუსის პოზიციას აძლიერებდა ოპოზიციური პარტიების ინტერვიუები სიუჟეტის განმავლობაში, რომლებიც ხელისუფლებას დასავლელი პარტნიორების აზრის ნიველირებაში სდებდნენ ბრალს. საბოლოოდ, სიუჟეტი ქმნიდა განცდას, რომ ოცნება არ ითვალისწინებს ევროპელთა რეკომენდაციებს და საპროტესტო ტალღას ძალადობით სცემს პასუხს.

თოქშოუ „საჯარო პოლიტიკა“

ტვ პირველის გადაცემებიდან დაკვირვების ქვეშ მოექცა თოქშოუ „საჯარო პოლიტიკა“, რომელიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად წინასაარჩევნო პროცესების გაშუქებითაც იყო დაკავებული და ვითარების სხვადასხვა ჭრილში წარმოჩენას ცდილობდა.

„საჯარო პოლიტიკამ“ 2020 წლის საარჩევნო პროცესებში გარე აქტორების ჩართვის საკითხებს არც თუ ისე დიდი რაოდენობის გადაცემები მიეძღვნა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე შემთხვევაში, ეს თოქშოუს მთავარ თემას წარმოადგენდა, რუსული გავლენების ჭრილში. არსებული საკითხი ძირითადად „პატრიოტთა ალიანსისა“ და ამ პარტიის რუსეთთან შესაძლო კავშირების და დაფინანსების მიმართ განიხილებოდა. სწორედ ამ საკითხებს ეხებოდა გადაცემის წამყვანის შეკითხვებიც და მიმართული იყო გამოევლინა პარტიის წარმომადგენლის დამოკიდებულებები რუსეთის მიმართ.

გარდა ოპოზიციური ძალისა, ანალოგიური პათოსი აღინიშნებოდა მმართველი პარტიის მიმართაც, რომლის ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს, რუსეთთან დაახლოებულ პირად მოიაზრებდნენ, რომელსაც არჩევნებთან დაკავშირებით კონკრეტული დავალებები ჰქონდა მიღებული. შესაბამისად, გარე აქტორი ამ კონკრეტული გადაცემებში, მოხსენიებული იყო, როგორც პოლიტიკური პროცესების დისკრედიტაციის მომხდენი. იმისათვის, რომ არსებული სიტუაცია მაყურებლისთვის უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო, წამყვანი პარალელებს ავლებდა დასავლეთთან, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელიც წარმოჩენილი იყო, როგორც საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ერთ-ერთი ძირითადი მხარდამჭერი: „ამერიკის ელჩი კელი დეგნანი ამბობს, რომ შესაძლოა არჩევნებში მოხდეს რუსეთის მხრიდან ჩარევა“ (ეკა მიშველაძე, 31 აგვისტო). გადაცემებში მსგავსი რიტორიკა ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ სტუმრები ოპოზიციური ძალიდან იყვნენ წარმოდგენილები და მმართველ პარტიას რუსეთთან ურთიერთობაში ღიად სდებდნენ ბრალს.

გადაცემების ნაწილში, რომელიც უცხოელი აქტორების ჩარევას არ ეძღვნებოდა, განიხილეს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი საქართველოში. ამ თემის განხილვისას წამყვანის პოზიცია და შეფასებები სჭარბობდა და მათში იკვეთბოდა, რომ აშშ მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს მთავრობას და ემიჯნებოდა ოპოზიციის ბოიკოტს.

ამგვარად, ტვ პირველის თოქშოუ „საჯარო პოლიტიკა“ გარე აქტორების არჩევნებზე გავლენის თვალსაზრისით ძირითადად რუსეთის ჩარევას უსვამდა ხაზს, რომელიც საარჩევნო პროცესზე ზეგავლენის მოხდენას სხვადასხვა პოლიტიკური აქტორების დაფინანსების გზით ცდილობდა.

ფორმულა

29 აგვისტოდან 21 ნოემბრამდე პერიოდში ფორმულას საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში არჩევნებთან დაკავშირებულ სიუჟეტებს სულ 85 საათი და 53 წუთი დაეთმო. აქედან უცხოელი აქტორების გაშუქების წილი მეათედზე ნაკლები (8%) იყო. სიუჟეტების უმრავლესობა (158 სიუჟეტი 275-დან), სადაც უცხოელი აქტორები გაშუქდნენ, გადაცემის დასაწყისში, პირველ ხუთ სიუჟეტად გავიდა.

უცხოელი აქტორების არჩევნებთან კავშირში გაშუქების თემები შემდეგი იყო: ზაფხულის პერიოდში - 2008 წლის ომი, ოპოზიციური პარტიების საარჩევნო გეგმები, საერთაშორისო დამკვირვებლების პოზიცია, აშშ-ის კონგრესის დოკუმენტი, დოსიე ცენტრის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც პატრიოტთა ალიანსი რუსეთიდან ფინანსდება; სექტემბერ-ოქტომბერში - საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლა საქართველოში, აშშ-ს ყოფილი ელჩების გზავნილები, რუსეთიდან მომავალი საფრთხეები, მაიკ პომპეოს განცხადება არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებლებზე, პრემიერმინისტრის ვიზიტი ბრიუსელში, დავით გარეჯის საკითხი, ევროპარლამენტის რეზოლუცია და მისი შეფასებები, დაპირისპირება მარნეულში, „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო კამპანია, არჩევნები და კორონავირუსი, „ოცნების“ ოცეული, სანდრო ბრეგაძის საუბრის ფარული ჩანაწერი რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრთან, ყურძნის ფასი, წინასაარჩევნო კვლევები, კიბერშეტევა ლუგარის ცენტრზე, დეზინფორმაცია კრემლიდან, პატრიოტთა ალიანსის ბანერები, ევროპარლამენტარების მიერ ქართული ოცნების კრიტიკა, საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლა, დავით გარეჯის საქმე, „გახარიას მითი“, სადაც მის რუსულ კავშირებზე იყო საუბარი, „ჰიბრიდული ოცნება“, რომელიც რუსეთის ჰიბრიდულ ომზე საუბრობდა; არჩევნების შემდგომ პერიოდში - არჩევნების შედეგების შეფასება, ევროპარლამენტარების კრიტიკა, შეხვედრები ოპოზიციასთან, მაიკ პომპეოს ვიზიტისთვის მზადება და მოლოდინები, ასევე მისი ვიზიტი, IRI-ს კრიტიკული დასკვნა.

მაიკ პომპეოს ვიზიტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რაოდენობრივ მონაცემებზე. ყველაზე ხშირად გაშუქებული უცხოელი აქტორი ფორმულაზე აშშ-ია. მას მონიტორინგის პერიოდში (29 აგვისტო-21 ნოემბერი) 1 საათი და 38 წუთი დაეთმო. მას მოყვება საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები (1 საათი და 6 წუთი), ევროკავშირი (1 საათი და 4 წუთი) და რუსეთი (49 წუთი). (დიაგრამა 7) მოვლენებიდან, რაც უცხოელი აქტორების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას უკავშირდებოდა, ფართოდ გაშუქდა ევროპარლამენტში საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების რეზოლუციის განხილვისა და მიღების პროცესი, რომელზეც ევროპარლამენტარები უმეტესად წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც ანგარიშგასაწევი პირები, ვინც დაინტერესებულია საქართველოში მიმდინარე პროცესებით, მომავალი არჩევნებით და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მის დემოკრატიულობას. ანგარიშის დადებითი ნაწილი ნაკლებად აქცენტირებული იყო, უფრო ევროპარლამენტის შეშფოთება პოლიტ.პატიმრებისა და სხვა წინასაარჩევნო ხარვეზების გამო. ასევე, მაიკ პომპეოს ვიზიტი დაწყებული მოლოდინიდან, რაც არჩევნების თემასაც აუცილებლად მოიცავდა, დასრულებული მისი ვიზიტის შემდგომი შეფასებებით,

რაც ასევე დადებითი იყო, შეფასდა, როგორც „მთავარი სტრატეგიული პარტნიორი“.

ზოგადად, გაშუქებისას ნეიტრალური ტონი ჭარბობდა. მცირე იყო სუბიექტების დადებითი ტონით გაშუქების წილი, ხოლო უარყოფითი გაშუქება რუსეთის მიმართ გამოირჩეოდა. რუსეთისათვის დათმობილი დროის 80% უარყოფითი ტონით გაშუქდა.

რუსეთის გაშუქება მოიცავდა რუსეთის მიერ საქართველოს შიდა პროცესებში ჩარევის მცდელობებს (კიბერთავდასხმა ლუგარის ლაბორატორიაზე, დეზინფორმაცია, პატრიოტთა ალიანსთან ფინანსური და არამხოლოდ ფინანსური კავშირი), დავით გარეჯის საქმე, ანაკლიის პროექტის გაჩერება. ასევე, პოლიტიკური სუბიექტების დისკრედიტაციას რუსეთთან გარკვეული ასოცირების გამო. სწორედ აქედან მომდინარეობს გაშუქების უარყოფითი ტონის დიდი წილი.

დიაგრამა 7: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი ფორმულაზე



რუსეთთან ისეთი თემების დაკავშირებაც ხდებოდა, როგორიცაა, მაგალითად, ყურძნის ფასი. 20 სექტემბერს გასულ სიუჟეტში ყურძნის ფასის გაიაფება ხელისუფლების არასწორ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული და ხაზი ესმებოდა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები რუსულ ბაზარს ანიჭებდნენ უპირატესობას, ხოლო ამერიკის და ევროპის ბაზრებს უგულებელყოფდნენ. ამით იქმნებოდა ფონი, რომ ხელისუფლება პრორუსულია.

„ფორმულაზე“ 20 სექტემბერს ასევე გავიდა სიუჟეტი რუსეთთან აფილირებულ ჯგუფებზე: „ალტ ინფო“-ზე, ვასაძესა და „პოს ტვ“-ზე. სიუჟეტის მიხედვით, სამივე ჯგუფი რუსულ

თამაშს თამაშობდა და ხაზგასმული იყო, რომ „პოს ტვ“ ბიძინა ივანიშვილისგან ფინანსდება, შესაბამისად, „ქართული ოცნება“ პრორუსულ ძალად წარმოაჩინა. სიუჟეტი ერთი შეხედვით რუსულ რბილ ძალას ეძღვნებოდა, თუმცა, საბოლოოდ ბიძინა ივანიშვილის პრორუსულობას გაესვა ხაზი.

ამასთან ერთად, ოქტომბრის პერიოდში იყო სხვა სიუჟეტებიც, სადაც ქართული ოცნება და მისი წარმომადგენლები დისკრედიტირებულები იყვნენ გარე აქტორების გამოყენებით. მაგალითად, 18 ოქტომბრის სიუჟეტი „გახარიას მიდი“, რომლის თანახმადაც, გიორგი გახარიას დასავლეთში პიროვნული ლეგიტიმაცია არ გააჩნია და ერთდერთი, სადაც მეტ-ნაკლებად იცნობენ, რუსეთია. ამ სიუჟეტში მანიპულაციის შემთხვევებიც დაფიქსირდა გახარიას რუსეთთან კავშირის ხაზგასასმელად. როცა სიუჟეტი გახარიას საგარეო პოლიტიკის თემას განიხილავდა, შესავალში წარწერას „გახარიას საგარეო პოლიტიკა“ ფონად რუსეთის ჰიმნი ედო და გახარიას ბიუსტის უკან რუსეთის დროშა ფრიალებდა. შემდეგი თემა კრიმინალი იყო, რომლის შესავალსაც რუსული სიმღერა „ვლადიმერსკი ცენტრალ“ და ხუთქიმიანი შავი ვარსკვლავები ედი ფონად. ამავე სიუჟეტში წამყვანი გახარიას დასავლელი პარტნიორების უგულებელყოფაში ადანაშაულებდა.

„ტვ პირველის“ მსგავსად, „ფორმულაზე“ დავით გარეჯის საქმე გაშუქდა, როგორც „ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნოდ დაწყებული გამოძიება, რომელიც რუსეთის ინტერესებსა და წინა ხელისუფლების დისკრედიტაციას უკავშირდებოდა (5 ოქტომბრის სიუჟეტები „კარგად ნაცნობი ‘უცნობი’ რუკა“, „ეკლესიის დღის წესრიგი“; 7 ოქტომბრის სიუჟეტები „დაკავებულების მხარდამჭერი აქცია“, „პოლიტიკური შეფასებები“). სიუჟეტებში რესპონდენტებიც უსვამდნენ ამას ხაზს, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის წევრი ხატია დეკანოიძე: „ჩვეულებრივი ბინძური კამპანიაა, რომელსაც არ ერიდება ხოლმე ბიძინა ივანიშვილი. ეს არის ჩვეულებრივად, ასე ვთქვათ, რუსული ხერხი პოლიტიკურად ზემოქმედების ადამიანებზე.“ ელენე ხოშტარია: „აქ ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონკრეტულად არის რუსეთის ინტერესი. რუსეთი მიზანმიმართულად ავრცელებს ტყუილებს დავით გარეჯთან დაკავშირებით.“ ჟურნალისტების შეჯამებებშიც ისმოდა იგივე: „მეტიც, საბოლოო ჯამში ექსპერტები შიშობენ, რომ კავკასიაში არსებული კრიზისის ფონზე დავით გარეჯის თემის გააქტიურება რუსეთის თამაშია“; „აქ მოსული ყველა პოლიტიკოსი ამბობდა ერთსა და იმავეს, რომ ეს არის რუსული კვალი და წინასაარჩევნოდ ამ საკითხის გააქტიურება სწორედ არის ბიძინა ივანიშვილის და რუსეთის გადაწყვეტილება“. დავით გარეჯის საქმეზე ხელისუფლების კომენტარებიც ისმოდა. ისინი უარყოფდნენ მის კავშირს არჩევნებთან. თუმცა, სიუჟეტებში ოპოზიციური არგუმენტები დომინირებდა. დავით გარეჯის საქმეზე ოქტომბერში სხვა სიუჟეტებიც მომზადდა და მინიშნება ყოველთვის რუსეთის ჩარევაზე ან მისი ინტერესების გატარებაზე კეთდებოდა.

საქართველოს შიდა პროცესებში რუსეთის ჩარევის საკითხი სხვა სიუჟეტებშიც გაშუქდა, მაგალითად, ლუგარის ლაბორატორიაზე კიბერთავდასხმის შესახებ სიუჟეტში, აშშ-ს ყოფილი ელჩების გზავნილების შესახებ სიუჟეტში, სადაც ამჟამინდელი ელჩი კელი დეგნანის კომენტარი იყო რუსეთის მხრიდან არჩევნებში ჩარევის საფრთხის შესახებ.

ამ თემასვე მიეძღვნა 18 ოქტომბრის სიუჟეტი „ჰიბრიდული ოცნება“, სადაც რუსეთის პროპაგანდის მიზნები იყო გამოაშკარავებული და საუბარი იმაზე, რომ ჰიბრიდული ომი, რომელსაც რუსეთი აწარმოებს, უფრო საშიშია, ვიდრე ფიზიკური ომი. ერთ-ერთი რესპონდენტის კომენტარის თანახმად, რუსეთს არ სჭირდება ტანკები და ტყვიები საქართველოს დასამონებლად, ამისთვის არის პარტიები (პატრიოტთა ალიანსის კადრები ფონად), ულტრამემარჯვენე ჯგუფები (ქართული მარშის კადრები ფონად), ფეისბუქი...“

დასავლელი აქტორები „ფორმულაზე“ ასევე „ქართული ოცნების“ მიმართ კრიტიკისა და მათი დისკრედიტაციისთვის იყო გამოყენებული. მაგალითად, 6 ოქტომბრის სიუჟეტი „ევროკავშირის მწვავე კრიტიკა“ ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნის მიღებამდე მოსამართლეთა შერჩევის წესის შესახებ. გარე აქტორები ნახსენები იყვნენ, როგორც მნიშვნელოვანი სუბიექტები, რომელთა აზრის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია და „ქართული ოცნების“ კრიტიკაც ამით ხდებოდა, რომ მათ ეს არ გააკეთეს. ამ სიუჟეტში, მაგალითად, ნინო ბურჯანაძე ამბობდა: „ამჯერად გადააგდო ვენეციის კომისია და უთხრა, რომ მერე რა, რომ თქვენ იმუშავეთ?! მერე რა, რომ მე თქვენ აზრი გკითხეთ?! ახლა აღარ მაინტერესებს თქვენი აზრი და ისეთ წესს მივიღებ, რომელიც მე მაწყობს...“

იყო შემთხვევები, როცა დასავლელი აქტორების კომენტარების ინტერპრეტაცია ხდებოდა, რასაც სხვა არხებზე განსხვავებული კუთხით ვხვდებოდით. მაგალითად, 22 სექტემბრის სიუჟეტში „ვინ დააკვირდება არჩევნებს“ გიორგი ვაშაძე ამბობდა: „ჩვენ ვნახეთ მაიკ პომპეოს განცხადება, რომელიც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ არავინ არ მისცემს საარჩევნო მოროდიორობის საშუალებას დამსხვრეული ოცნებების პარტიას“. მაგალითად, „იმედზე“ მაიკ პომპეოს კომენტარი გაშუქებული იყო, როგორც მისი მხრიდან ხელისუფლების მხარდაჭერა საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოყვანის თაობაზე. ასევე, განსხვავებული ინტერპრეტაციით გაშუქდა პრემიერმინისტრის ვიზიტი ბრიუსელში (29 სექტემბრის სიუჟეტში), სადაც ჟურნალისტი ამბობდა, რომ ოპოზიცია საგანგაშოს უწოდებს ნატოს გენერალური მდივნის გზავნილებს და რომ თუ არჩევნები დემოკრატიულად არ ჩატარდება, სანქციები ამოქმედდება. ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რადგან კონგრესის საბიუჯეტო კომიტეტმა დახმარების 15% გაყინა. „იმედზე“ ეს თემა გაშუქდა ნატოს მიერ საქართველოსა და მისი ხელისუფლების მხარდაჭერის კუთხით.

არჩევნების შემდგომ პერიოდში ფორმულაზე დიდი დოზით გაშუქდა მაიკ პომპეოს ვიზიტი. საინფორმაციო გამოშვებებში იქმნებოდა მოლოდინი, რომ მაიკ პომპეოს ჩამოსვლა მხოლოდ გეოპოლიტიკური ასპექტებით არ შემოიფარგლებოდა და მას შიდა პოლიტიკური ცვლილებებიც მოჰყვებოდა. 11 ნოემბრის სიუჟეტში „პომპეოს ვიზიტი - მოლოდინები თბილისში“ იხსენებდნენ წარსულში სახელმწიფო მდივნების ვიზიტებს, რომლებსაც ყოველთვის დიდი ცვლილებები მოჰქონდა საქართველოსთვის და ახლაც იგივე მოლოდინი ჰქონდათ. რომ ეს იქნებოდა გარკვეული გაფრთხილება ხელისუფლებისთვის, რომ არჩევნების საკითხი „ასე მარტივად არ ჩაივლის“. თავად პომპეოს განცხადებაც, 18 ნოემბრის სიუჟეტში „პომპეოს გზავნილი“ განიხილეს ისე, თითქოს გარე აქტორი მიიჩნევდა, რომ არჩევნები გაყალბდა, სასამართლო სისტემა მიკერძოებულია, სახელმწიფო დეპარტამენტი იმედგაცრუებულია საქართველოთი და ა.შ. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის

განცხადება მართლაც შეიცავდა კრიტიკის ელემენტებს, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ფორმულას ინტერპრეტაციით გადმოიცა. ფორმულამ დადებითად შეაფასა პომპეოს მოადგილის დარჩენა ოპოზიციასთან შესახვედრად და შემდგომში გააკრიტიკა ქართული ოცნება პომპეოს ვიზიტიდან მხოლოდ მათთვის სასურველი კონტექსტის ამორჩევის გამო.

ფორმულაზე ასევე გაშუქდა IRI-ს კრიტიკული დასკვნა, რომელიც მმართველი პარტიის დისკრედიტაციისათვის იყო გამოყენებული.

თოქშოუ „პოლიტმეტრი“

ტელეკომპანია ფორმულას გადაცემა „პოლიტმეტრი“ ყურადღებას საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში უცხოელი აქტორების ჩარევაზე განსაკუთრებულად არ ამახვილებდა. უცხოელი აქტორების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მხრივ აღსანიშნავია 17 ნოემბრის გადაცემა, რომლის მთავარი თემა მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოში მაიკ პომპეოს ვიზიტი იყო. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მისი ვიზიტი ძირითადად სხვა პოლიტიკური პროცესების მიმართ იყო განხილული და არჩევნებთან კავშირი მხოლოდ ზერელედ იყო ნახსენები. ხაზი გაესვა იმას, რომ ოპოზიციასთან შეხვედრა დაგეგმილი არ იყო. თუმცა, მან დატოვა თანაშემწე, რომელიც ოპოზიციას შეხვდა.

პალიტრა ნიუსი

29 აგვისტოდან 21 ნოემბრამდე პერიოდში „პალიტრა ნიუსის“ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში არჩევნების თემის გაშუქებას 14 საათი და 43 წუთი დაეთმო და აქედან უცხოელი აქტორების გაშუქების წილი 8%-ს შეადგენდა. სიუჟეტების მესამედზე მეტი (56 სიუჟეტი 142-დან), რომლებშიც უცხოელ აქტორებზე იყო საუბარი, გადაცემის პირველ ხუთ სიუჟეტს შორის იყო.

თემები, რომელთა გაშუქების დროსაც საუბარი საქართველოს არჩევნების კონტექსტში უცხოელ აქტორებზე იყო, შემდეგს ეხებოდა: ზაფხულის პერიოდში - ოპოზიციის შეთანხმება, NDI-ის წინასაარჩევნო ანგარიში, საერთაშორისო დამკვირვებლების პროტოკოლი არჩევნებზე, მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა, სოციალური დახმარება თუ წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა მოსყიდვა, აშშ-ის თავდაცვის უსაფრთხოების აქტი, სააკაშვილის შესაძლო დაბრუნება; სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში - „პატრიოტთა ალიანსის“ რუსული გავლენების საკითხი, საერთაშორისო დამკვირვებლები, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი, დავით გარეჯის საქმე, ევროკავშირის რეკომენდაციები საერთო სასამართლოებთან დაკავშირებით, სირიაში აფხაზეთის საელჩოს გახსნა, პრემიერმინისტრის

გამოსვლა გაეროში, მარნეულში მომხდარი ინციდენტის გამოხმაურება, პრემიერმინისტრის ვიზიტი ბრიუსელში, „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია, ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის რასმუსენის განცხადება ვირტუალურ კონფერენციაზე, ვენეციის კომისიის დასკვნის შეფასება, წინასაარჩევნო კვლევები; არჩევნების შემდგომ პერიოდში - მაიკ პომპეოს ვიზიტი საქართველოში, ფასილიტატორი ელჩების ხელშეწყობით გამართული მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის გამართული შეხვედრები.

ზოგადად, „პალიტრა ნიუსის“ საინფორმაციო მოკლე სიუჟეტებისგან შედგება, წამყვანი არ ჰყავს და ნაკლებად ხდება ჟურნალისტების მიერ ახალი ამბების ინტერპრეტაცია. სიუჟეტებს გრძელი სათაურები აქვთ და სათაურით თითქოს მთელი სიუჟეტის მოკლე შინაარსია გადმოცემული. ზოგადად, უცხოელი აქტორები ნაკლებად იყვნენ ინტერპრეტირებულები ან რომელიმე ჯგუფთან აფილირებულები. სიუჟეტებში თითქმის ყოველთვის საკითხის ორი ან რამდენიმე მხარე იყო წარმოდგენილი და არ ვხვდებოდით ინფორმაციის დამახინჯების მცდელობებს.

რაოდენობრივი კუთხით 29 აგვისტოდან 21 ნოემბრამდე პერიოდში, უცხოელი აქტორებიდან ყველაზე მეტი დრო (15 წუთი) ევროკავშირს და მასთან დაკავშირებულ აქტორებს დაეთმო, მსგავსი სიხშირით გაშუქდა აშშ (14 წთ). სამი ან მეტი წუთის განმავლობაში გაშუქდა კიდევ რამდენიმე უცხოელი აქტორი ან აქტორთა ჯგუფი: რუსეთი (7 წთ), IRI (4 წთ) და ნატო (4 წთ). (დიაგრამა 8) გაშუქების ტონი უმეტესად ნეიტრალური იყო ევროკავშირისა და აშშ-ს შემთხვევაში და დიდწილად უარყოფითი (88%) რუსეთის შემთხვევაში.

დიაგრამა 8: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი პალიტრა ნიუს-ზე



მონიტორინგის განმავლობაში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

რუსეთი

რუსეთი პალიტრას გამოშვებებში რამდენიმე კონტექსტში იყო ნახსენები. ზოგ შემთხვევაში პოლიტიკური აქტორები რუსეთს იყენებდნენ ერთმანეთის დემონიზებისათვის, რიგ შემთხვევებში კი, რუსეთი კრიტიკულად იყო წარმოჩენილი.

მაგალითად, რუსეთის უარყოფითი გაშუქება „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსებისა და მასზე გავლენების ქონის თემას უკავშირდებოდა. ასევე, რუსეთთან ასოცირებით ხდებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ დისკრედიტაცია სიუჟეტებში მისი შესაძლო რუსული დაფინანსების შესახებ. რუსეთთან კავშირებზე ხაზგასმას პოლიტიკოსები სხვა პოლიტიკური ძალების დისკრედიტაციისთვისაც იყენებდნენ. მაგალითად, 30 აგვისტოს სიუჟეტში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ლევან ვარშალომიძე „ქართული ოცნების“ შესახებ ამბობს: „ერთად მოვიშოროთ თავსმოხვეული რუსული ოცნება“. ამის საპირისპიროდ, მომდევნო დღის სიუჟეტში „ქართული ოცნების“ წევრი მამუკა მდინარაძე ლევან ვარშალომიძეს სდებდა ბრალს რუსული ინტერესების გატარებაში: „ის [ლევან ვარშალომიძე] არის ნაციონალური მოძრაობის ჩვეულებრივი წარმომადგენელი, ისეთივე მონაწილე იმ დანაშაულებისა და იმ რუსული საქმისა, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ლიდერი ნაც. მოძრაობიდან.“

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ცდილობდნენ საკუთარი საგარეო ორიენტაცია დასავლეთის, ევროკავშირის, აშშ-ისთვის დაეკავშირებინათ, ხოლო ოპონენტების დისკრედიტაციისთვის რუსეთის გამოყენება კვლავ აქტუალური დარჩა არჩევნების მეორე ტურის დროსაც. მაგალითად, 21 ნოემბრის სიუჟეტი „ბრიფინგი ქართული ოცნების ოფისში“, სადაც ირკალი კობახიძე ამბობს, რომ ოპოზიციამ რუსეთის ჰიმნი/საბჭოთა ჰიმნი ერთხელ უკვე მოგვასმენინა. შეიძლება თბილისოც წარმოადგინონ ქართულ-რუსულ ენებზე. ეს არის მათი არჩევანი. ქართველი ხალხის არჩევანი არის დასავლეთი, ევროპა, ნატო და შესაბამისად ამას დაუჭირა მხარი ქართველმა ხალხმა (ქართულ ოცნებას გულისხმობს).

ამავდროულად, ვხვდებით ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციას რუსეთის გამოყენებით, მაგალითად: 21 ნოემბრის სიუჟეტში „ხმების ქურდი რუსი ოლიგარქი“, “გამყალბებელი” - ამ სლოგანებით სამოქალაქო აქტივისტებმა ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს ცენტრთან აქცია გამართეს“. ასევე, 21 ნოემბრის სიუჟეტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ლეიბორისტული პარტიის წევრების აქცია-პერფორმანსზე. მათ საბჭოთა კავშირთან ასოცირებული პოსტერები გააკრეს და რუსეთის ჰიმნი ჩართეს. ამბობდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ არჩევნებით საბჭოთა დროში გვაბრუნებდა.

რუსეთის გამოყენებით ხდებოდა ასევე სააკაშვილის დისკრედიტაცია მმართველი პარტიის მხრიდანაც. 19 ნოემბრის სიუჟეტი, „მამუკა მდინარაძე: სააკაშვილის როლი არის იმ ოპოზიციური პარტიების ბულინგი, რომლებიც, ვიმედოვნებ, კონსტრუქციულ დიალოგში და ასევე პარლამენტშიც შემოვლენ“. მამუკა მდინარაძე: სააკაშვილი ებრძვის დასავლურ

ღირებულებებს და დასავლელებს. ეს არის იმ რუსული საქმის გაგრძელება, რასაც ის ხელისუფლების ყოფნის პერიოდში აკეთებდა.

დასავლეთი

დასავლელი პარტნიორები რიგ შემთხვევებში გამოყენებულნი იყვნენ ოპოზიციისა და მმართველი პარტიის მიერ არგუმენტის გასამყარებლად. ასევე, ხშირად ვხვდებოდით დასავლელი პარტნიორების დადებით კონტექსტში მოხსენიებასაც.

ევროკავშირი და აშშ (ასევე, ზოგადად, დასავლეთი) ნახსენები იყო საარჩევნო სუბიექტების მიერ საკუთარი პარტიის საგარეო ორიენტაციის ხაზგასასმელად. ამავდროულად, ევროკავშირისა და აშშ-ს წარმომადგენლების კომენტარები სიუჟეტებში წარმოჩენილი იყო, როგორც ავტორიტეტული და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე. ზოგ სიუჟეტში ეს აქტორები გამოყენებულნი იყვნენ „ქართული ოცნების“ გასაკრიტიკებლად, ძირითადად ოპოზიციის წარმომადგენლების კომენტარებისა და შეფასებების გზით. მაგალითად, 6 ოქტომბრის სიუჟეტში საერთო სასამართლოების შესახებ საკანონმდებლო ცვლილების ვენეციის კომისიის დასკვნის გარეშე მიღების შესახებ. ოპოზიცია აკრიტიკებდა მთავრობას ამ კანონპროექტისთვის და აცხადებდა, რომ ევროკავშირისა და საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციების უგულებელყოფა დააზიანებს ქვეყნის ურთიერთობას საერთაშორისო პარტნიორებთან. ეკა ბესელიას კომენტარი: „მთლიანობაში, აი, ეს უპატივცემულო დამოკიდებულება და ძალიან გაუაზრებელი ქმედება ქართული ოცნების მხრიდან იწვევს, ერთის მხრივ, ნდობის კიდევ უფრო მეტად დაზიანებას მართლმსაჯულების და საერთაშორისო პარტნიორების იმედგაცრუებას. შინ და გარეთ იღებს ორივე თვალსაზრისით ზიანს, რაზეც ზუსტად ვეუბნებოდი, რომ, აი, ნდობასაც დააზიანებს და პარტნიორებსაც გავანაწყენებთ იმიტომ, რომ ეუბნები, არ მაინტერესებს, შენ რას დაწერ, მე მაინც მივიღებ იმ წესებს, რაც მინდა.“

9 ნოემბერს გასული მე-9 სიუჟეტი, რომელშიც გახარიას განცხადება იყო წარმოდგენილი, ხაზს უსვამდა იმას, რომ ხელისუფლებამ დასავლელ პარტნიორებთან ერთად ოპოზიცია ნორმალურ კალაპოტს უნდა დაუბრუნოს: გახარიამ განაცხადა, რომ პოლიტიკურმა პროცესებმა ქუჩიდან ლეგიტიმურ პლატფორმებზე უნდა გადაინაცვლოს, მისი თქმით, ამაში საერთაშორისო პარტნიორებიც ჩაერთვებიან და ეს მათი დახმარებით მოხდება. იმავე რიტორიკას იმეორებს კალაძის განცხადებაც (9 ნოემბრის მე-10 სიუჟეტი): კალაძის განცხადებით, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით პროცესებმა ქუჩიდან მრგვალ მაგიდასთან უნდა გადაინაცვლოს.

პალიტრა ტვ საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებებს, ასევე, დადებით კონტექსტში აშუქებს, მეტიც, დამკვირვებლებთან შეხვედრის შემდეგ თალაკვაძის მეშვეობით ხდება მათი შეფასების ინტერპრეტაცია (10 ნოემბრის, მე-7 სიუჟეტი): შეხვედრიდან გამოსულმა თალაკვაძემ განაცხადა, რომ ეუთოს სადამკვირვებლო მისია არჩევნებს დემოკრატიულად და კონკურენტულად აფასებს, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნები შედგა.

პალიტრა, ასევე, საინტერესოდ აშუქებს პომპეოს ვიზიტსაც. ამ მოვლენაზე საუბრისას ორივე მხარის მოლოდინებზეა აქცენტი. 11 ნოემბრის მე-4 სიუჟეტში გახარიას თქმით, პომპეოს ვიზიტი კიდევ ერთხელ ადასტურებს აშშ-საქართველოს შორის კარგ ურთიერთობებს. კანდელაკი კი აცხადებს, რომ აშშ ყოველთვის უჭერდა მხარს საქართველოს დემოკრატიას და ახლაც ასე იქნება, თუმცა, არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდა და ამიტომ ეს საკითხი აუცილებელი განხილვის თემა იქნება. ამას ებმის მე-5 სიუჟეტი, რომელშიც ზალკალიანი შემდეგ რამეს ამბობს: მან განაცხადა, რომ პომპეო აქ ჩამოდის აშშ-საქართველოს ურთიერთობების განსამტკიცებლად და არა კრიტიკისათვის. საბოლოო ჯამში, ამ გამოშვებიდან ისე ჩანს, რომ ოპოზიციას არაკორექტული მოლოდინები აქვს პომპეოს ვიზიტის შესახებ და სახელმწიფო მდივანი უფრო საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე ისაუბრებს ვიზიტისას.

პალიტრა ნიუსის საინფორმაციოებში, გარე აქტორების მხრიდან შიდა პოლიტიკური პროცესში ჩარევა დიპლომატიური მოწოდებით შემოიფარგლებოდა, რომელიც არსებული პოლიტიკური კრიზისის გამოსავლად გვევლინებოდა. მაგალითად, 18 ნოემბრის მე-8 სიუჟეტში: „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი-ოპოზიციას მოვუწოდებთ, შევიდნენ პარლამენტში“; „თქვენ ამომრჩეველმა იმისთვის აგირჩიათ, რომ შეხვიდეთ პარლამენტში და მოახდინოთ ცვლილება.“ ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა პირებმა თბილისში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადეს, რომელზეც საქართველოს შესახებ ისაუბრეს. დეპარტამენტის მაღალი რანგის წარმომადგენლები ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებენ. ბრიფინგზე აღინიშნა, რომ შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ელჩები მხარეების დახმარებას ცდილობენ. ასევე, 18 ნოემბრის მე-3 სიუჟეტი: „სახელმწიფო დეპარტამენტი - ის, რისი ხაზგასმაც სახელმწიფო მდივანს სურს, საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერაა“. მაიკ პომპეოს მდივანი შეხვდება ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც არჩევნებში იყვნენ ჩართული. კიდევ ერთხელ გაესმევა ხაზი დასავლეთისა და ევროატლანტიკური საზოგადოების მხარდაჭერას ამ ინსტიტუტების განვითარებაში და კიდევ ერთხელ გაჟღერდება გზავნილი - გამოიყენეთ ინსტიტუტები და თქვენს მიზანს ნუ აღწევთ მათი ბოიკოტირების გზით.

თოქშოუ „360 გრადუსი“

პალიტრა ნიუსის ეთერში დაკვირვების ქვეშ მოექცა თოქშოუ „360 გრადუსი“ და ყურადღება გამახვილდა, თუ რამდენად ინტერესდებოდა ის 2020 წლის არჩევნებში გარე აქტორების ჩარევის საკითხის გაშუქებით.

თოქშოუს არცერთი გადაცემა უშუალოდ ამ თემას არ მიეძღვნა და არსებულ საკითხზე სხვადასხვა გადაცემაში დაფიქსირდა გარკვეული მოსაზრებები სტუმრებისა და წამყვანის მიერ. ამ მხრივ აქცენტი გაკეთდა რუსეთის ფინანსურ დახმარებაზე „პატრიოტთა ალიანსისა“ და „ქართული ოცნების“ მიმართ, რაც განაპირობებდა კიდეც მათ ჩარევას

ქართულ პოლიტიკასა და არჩევნების პროცესში. ეს ჩარევა ფასდებოდა უარყოფითად, ვინაიდან პირდაპირ გულისხმობდა რუსეთის გავლენებს ქვეყნის საშინაო საქმეებში. ამ საკითხთან დაკავშირებით, იგრძნობოდა ჟურნალისტის ინტერესიც, რაც გამოიხატებოდა დამატებითი კითხვების დასმის საშუალებით ინფორმაციის მოპოვებაში.

გარე ძალებზე მსჯელობისას, დასავლელ პარტნიორებზეც იყო ხაზგასმა და მათ რუსეთისგან განსხვავებით ძირითადად დადებით კონტექსტში განიხილავდნენ. აქ უკვე გამოჩნდა მოლოდინი, რომ ისინი ჩართულიყვნენ საარჩევნო პროცესებში და აღმოეჩინათ საჭირო დახმარება. ამ მხრივ, ძირითადი იყო ეუთოსა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების სადამკვირვებლო საქმიანობები წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დღეს. გარდა უშუალოდ პოლიტიკოსებისა, გადაცემის წამყვანიც პოზიტიურ ჭრილში განიხილავდა დასავლეთის ნებისმიერი სახით ჩართვას:

„წარმომადგენელთა პალატის დემოკრატი კონგრესმენი დევიდ პრაისი აღნიშნავს, რომ ის იმედოვნებს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იქნება, საბოლოო შედეგი კი ლეგიტიმურად აღიარებული. კონგრესმენის აზრით, პარტიები კონკურენტულ არჩევნებს ჩაატარებენ, რომლის შედეგადაც შესაძლოა პარლამენტში ძალები ახლო პროპორციით გადანაწილდეს. საქართველოში აკრედიტირებულ ელჩებსაც სამართლიანი არჩევნების ჩატარების იმედი აქვთ.“ (ემა ტუხიაშვილი, 27 ოქტომბერი)

აქედან გამომდინარე, გადაცემების მონიტორინგის შედეგად გამოჩნდა, რომ არჩევნებში გარე აქტორების ჩარევა ცალკე გადაცემის თემა არ ყოფილა. თუმცა, მაშინ, როდესად დისკუსია ამ თემაზე მიმდინარეობდა, ცალსახა იყო რუსეთის უარყოფით კონტექსტში განხილვა და მისი ნებისმიერი ნაბიჯის საქართველოზე გავლენების მოპოვების მცდელობად აღქმა. ხოლო დასავლეთის მონაწილეობა ქვეყნის საშინაო საქმეებში პოზიტიურად აღიქმებოდა და დემოკრატიული პროცესების გაღრმავების გარანტს წარმოადგენდა.

მაესტრო

29 აგვისტოდან 21 ნოემბრამდე[8] პერიოდში მაესტროს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნების თემას 36 საათი და 22 წუთი დაეთმო და ამ დროის 7% უცხოელი აქტორების გაშუქებას მოიცავდა. 182 სიუჟეტიდან, რომლებშიც ამ პერიოდში უცხოელი აქტორები გაშუქდნენ, ნახევარზე მეტი (99) გადაცემის დასაწყისში, სიუჟეტების პირველ ხუთეულში მოექცა.

თემები, რომელთა გაშუქებისას უცხოელ აქტორებზე იყო საუბარი, ეხებოდა შემდეგს: ზაფხულის პერიოდში - ევროპა - „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გეზი; IRI-ს და NDI-ს

8 მაესტროზე რაოდენობრივი მონიტორინგი 29 აგვისტოდან დაიწყო, თვისებრივი - 1 აგვისტოდან.

წინასაარჩევნო კვლევები; სექტემბერ- ნოემბრის პერიოდში - „პატრიოტთა ალიანსის“ ბანერი და მისი დაფინანსების საკითხი, კიბერთავდასხმა ლუგარის ლაბორატორიაზე, საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლის საკითხი, მედია მონიტორინგის შუალედური ანგარიში, პრემიერმინისტრის მიმართვა გაეროში, კიბერუსაფრთხოების ფორუმი, Facebook-ზე ყალბი ანგარიშების წაშლა, წინასაარჩევნო გარემო - ელჩების შუალედური ანგარიში, პარტიების ქცევის კოდექსი, Freedom House-ის ანგარიში, პრემიერმინისტრის ვიზიტი ბრიუსელში, წინასაარჩევნო პროვოკაციები, დავით გარეჯის საქმე, ვენეციის კომისიის დასკვნა სასამართლო სისტემის რეფორმაზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა/ სამომავლო გეგმები, საარჩევნო ეგზიტპოლები, დამკვირვებლები 2020 წლის საპარლმენტო არჩევნებზე; არჩევნების შემდეგ პერიოდში - ოპოზიციის საპროტესტო აქციები, მოლაპარაკებები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის ვიზიტი, მიხეილ სააკაშვილის ანტიდასავლური რიტორიკა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორების შეფასებები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

უცხოელი აქტორებიდან ყველაზე მეტი დრო (42წთ) ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირს (35 წთ) და მათთან დაკავშირებულ აქტორებს დაეთმოთ. მომდევნო ყველაზე ხშირად გაშუქებული აქტორი რუსეთი (13 წთ), საერთაშორისო პარტნიორები (11წთ) და ნატო (10 წთ) იყო. (დიაგრამა 9) გაშუქება უმეტესად ნეიტრალური იყო, დადებითი ტონი შეინიშნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების, საერთაშორისო დამკვირვებლებისა და პარტნიორების მიმართ. უარყოფითი ტონით გაშუქების დიდი წილი (72%) კი, რუსეთის შემთხვევაში.

დიაგრამა 9: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი მაესტროზე



„მაესტროს“ სარედაქციო პოლიტიკა გარკვეულწილად „იმედის“ მსგავსი იყო იმ თვალსაზრისით, რომ საკმაოდ ბევრ სიუჟეტში მმართველი გუნდის პროევროპულობას ესმებოდა ხაზი და ეს დასავლელ აქტორებთან მჭიდრო თანამშრომლობის წარმოჩენით ხდებოდა. სიუჟეტებში პრემიერმინისტრის ბრიუსელში ვიზიტის შესახებ, არჩილ თალაკვაძის მონაწილეობაზე არჩევნებთან დაკავშირებულ დისკუსიაში, სიუჟეტში საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ დასავლელი აქტორები წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც პარტნიორები, მეგობრები და შუქდებოდა მმართველი პარტიის შეხვედრები და დისკუსიები მათთან. დიდი დრო დაეთმო „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციას, რომელიც სრულად გაუშვეს პირდაპირ ეთერში. მმართველი პარტიის წარმომადგენლები საკუთარ გამოსვლებში ახსენებდნენ დასავლელ აქტორებს და ხაზს უსვამდნენ საქართველოს მიღწევებს ევროკავშირთან ურთიერთობის გზაზე, ასევე, იმ ფაქტს, რომ 2024 წელს საქართველო ევროკავშირის წევრობაზე შეიტანს განაცხადს.

რუსეთის ხსენება ხშირად უარყოფით კონტექსტში ხდებოდა. მაგალითად, სიუჟეტებში „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსების შესახებ, მათი ბანერის შესახებ, სადაც რუსეთს უკავშირებდნენ საქართველოში პროვოკაციების მოწყობასა და შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევას. 29 აგვისტოს სიუჟეტში მოცემული იყო მამუკა მდინარაძის კომენტარი: „პატრიოტთა ალიანსზეც რჩება ნეგატიური განწყობა მისი ბანერის უკან რუსეთის შესაძლო ინტერესების დგომის გამო. ეს არის რუსული პროვოკაცია, რუსული დაკვეთა...“

რუსეთის მხრიდან ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარევის თემა წამოჭრილი იყო საქართველოში აკრედიტებული ელჩების წინასაარჩევნო გარემოს შეფასებაში. 24 სექტემბრის სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ „საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები წინასაარჩევნო გარემოს აქტიურად აკვირდებიან. ელჩების განცხადებით, წინასაარჩევნო პროცესი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. თუმცა, მათი თქმით, გასათვალისწინებელია რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები, რაც ხშირ შემთხვევაში ყალბი ამბების გავრცელებაში გამოიხატება“. ასევე, სიუჟეტი ლუგარის ლაბორატორიაზე კიბერთავდასხმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ცნობილი არ იყო ამ თავდასხმის უკან ვინ იდგა, ოპოზიციასა და მმართველი პარტიას ეჭვი რუსეთზე ჰქონდათ. დასახელებული იყო ამ თავდასხმის ორი მიზეზი: ანტიდასავლური განწყობების შექმნა და რუსი ოპოზიციონერის, ნავალნის მოწამლვის მცდელობის კვალის დაკავშირება საქართველოსთან. რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომი და დეზინფორმაციის გავრცელება პრემიერმინისტრის სიტყვაშიც გაჟღერდა, რომელიც მან გაეროს ასამბლეაზე გააკეთა და რასაც 25 სექტემბრის სიუჟეტი შეეხებოდა. რუსეთისაგან კიბერთავდასხმების საფრთხე საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმის გაშუქებისასაც ხაზგასმული იყო, როგორც პრემიერმინისტრ გახარიას, ასევე საგარე საქმეთა მინისტრ ზალკალიანისა და აშშ-ს ელჩის კელი დეგნანის კომენტარებში. კელი დეგნანმა მოუწოდა საქართველოს ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის მიღებისკენ: „აშშ საქართველოს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ მიიღოს ყოვლისმომცველი ეროვნული კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და მოახდინოს მისი რატიფიცირება.“

პოლიტიკური პარტიების წევრების მხრიდან რუსეთის გამოყენებით ოპონენტების დისკრედიტაცია ხდებოდა დავით გარეჯის საქმის გაშუქებისას, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლები, „ქართული ოცნების“ საქმიანობის რუსეთის ინტერესებთან დაკავშირებას ცდილობდნენ. მაგალითად, 8 ოქტომბრის მე-2 სიუჟეტი „კარტოგრაფების საქმე - სასამართლო მსჯელობს“ , სადაც ევროპული საქართველოს წევრი ელენე ხოშტარია ამბობდა: „ჩვენ ვხედავთ ძალიან მკაფიო პოლიტიკურ დაკვეთას, პოლიტიკურ წინა საარჩევნო დაკვეთას, რომ ადამიანებს მოატყუონ, თითქოს, საქართველომ რაღაცა ტერიტორია დაკარგა. ეს არის ტყუილი, ეს არის მხოლოდ რუსეთის ინტერესში დაგვაპირისპიროს ისედაც არსებული ომის პირობებში, ჩვენ მეზობლებთან.“ ასევე, 8 ოქტომბრის მომდევნო სიუჟეტში „დამალული რუკების ამბავი - პოლიტიკური შეფასებები გრიგოლ ვაშაძის ციტატა: „ვიღაც ნაძირალა ფეესბეშნიკებთან შეთახნმებით შეთითხნილი რუკა ჩამოაქვთ, რომელიც თითიდან არის გამოწოვილი და ისეა გაკეთებული, რომ უამრავი უზუსტობა არის ზედ, ამითი უშვებენ ივერის და ადანაშაულებენ ოპოზიციას, რატომ იცით? პამპერსების გამოცვლას ვერ ასწრებენ.“

მაესტროს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გარე აქტორები განსაკუთრებით აქტიურად შუქდებოდა არჩევნების შემდგომ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში. ისინი წარმოჩენილი იყვნენ, როგორც ობიექტური, ავტორიტეტული სუბიექტები, რომელთაც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური კრიზისის ფონზე ოპოზიციაც და ხელისუფლების წარმომადგენლებიც მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ. ორივე მხარე მხოლოდ მათი ჩართულობით იყო თანახმა დიალოგზე (მაგალითად, 11 ნოემბრის სიუჟეტი „ქუჩის პროტესტი თუ დიალოგი ხელისუფლებასთან“).

საერთაშორისო ორგანიზაციების, პარტნიორებისა და სადამკვირვებლო მისიის მოწოდებები გამოყენებული იყო მმართველი პარტიის პოზიციის გასამყარებლად, რომ არჩევნები ჩატარდა მცირე ხარვეზებით, მაგრამ სამართლიანად და ოპოზიცია პარლამენტში უნდა შევიდეს, რათა ქვეყანა პოლიტიკური ჩიხიდან გამოვიდეს. მაგალითად, 18 ნოემბრის სიუჟეტში „ეუთოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის მოწოდებები ოპოზიციას“, სადაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ეუთოს სადამკვირვებლო მისიის წევრების მოწოდებები იყო გაშუქებული. ეუთო ყველა პარტიას არჩევნებში შესვლისკენ მოუწოდებდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაც მსგავსი შინაარსის იყო: „როგორც ეუთომ, ისე სხვებმა არჩევნები შეაფასეს, როგორც კონკურენტული და წინა წლებთან შედარებით რამდენიმე მიმართულებით შეინიშნებოდა გაუმჯობესებაც. ნაკლები სიძულვილის ენა და ნაკლები აგრესიული თავდასხმა წინასაარჩევნო პერიოდში. ასევე, დაცული იყო გამოხატვის თავისუფლება, თუმცა, დამკვირვებლებმა აღრიცხეს ხმების მოსყიდვის, დაშინების ფაქტები. ოპოზიციის მხრიდან ბოიკოტის გამოცხადება იგივეა, რაც უკვე ნანახი ფილმის ხელახლა ნახვა. ჩვენ მოვუწოდებთ მათ, შევიდნენ პარლამენტში, განახორციელონ საარჩევნო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც შემდეგი არჩევნები უკეთესი იქნება.“

მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ხელისუფლებაში საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების მოწოდებებს სრულად იზიარებენ, ხოლო ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი თავს ესხმის თავს ესხმის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელს და ანტიდასავლურ განცხადებებს ავრცელებს. (მაგალითად, სიუჟეტი 17 ნოემბრის სიუჟეტი „სააკაშვილის ანტიდასავლური რიტორიკა“)

მაესტროზე გასული სიუჟეტებიდან განსაკუთრებულად დადებით კონტექსტში წარმოჩინდა მაიკ პომპეოს ვიზიტი, რომელსაც ისტორიულ ვიზიტად მოიხსენიებდნენ (18 ნოემბრის სიუჟეტი „ისტორიული ვიზიტი - რა გზავნილები დატოვა მაიკ პომპეომ“). ოპოზიციაც და ქართული ოცნებაც მის ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მმართველი პარტიის წევრები აქცენტს აკეთებდნენ აშშ-სა და საქართველოს შორის პარტნიორობის გაღრმავებაზე, აშშ-ის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე, ხოლო ოპოზიცია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ვიზიტს არჩევნების კონტექსტში განიხილავდა და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლისთვის გზავნილებს ელოდებოდა და ცდილობდა ხმა მიეწვდინათ საერთაშორისო მედიისთვის, პარტნიორებისთვის და აშშ-სთვის „ივანიშვილის მიერ მიტაცებული“ არჩევნების შესახებ, რომელსაც მათი თქმით, ქართველი ხალხი არ შეგუებოდა (11 ნოემბრის სიუჟეტი „აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი“).

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის წევრები ამერიკელი პარტნიორებისგან პოლიტიკური კრიზისის დაძლევის გზებს ელოდნენ და საერთაშორისო პარტნიორების დახმარებაზე აკეთებდნენ აქცენტს, მათ მაინც გააკეთეს კომენტარი, რომ კონსულტაციების მიუხედავად, საბოლოო ჯამში ეს არის ქართული პოლიტიკური სპექტრის და ქართველი მოსახლეობის გადასაწყვეტი (18 ნოემბრის სიუჟეტი „ოპოზიცია მაიკლ პომპეოს მოადგილეს შეხვდა“).

თოქშოუ „არჩეულთა დრო“

ტელეკომპანია მაესტრო „არჩეულთა დრო“-ის საეთერო პლატფორმას, საქართველოს არჩევნებში გარე აქტორების ჩარევის თემას არ უთმობს. პოლიტიკური თოქშოუ, ერთი მხრივ, გარე აქტორებს არ წარმოგვიდგენს რომელიმე პარტიისა თუ კანდიდატის მხარდამჭერ მექანიზმად, ხოლო მეორე მხრივ, ამ ფორმით არც რომელიმეს დისკრედიტაციას ცდილობს.

აღსანიშნავია, რომ 1 ოქტომბერის, „არჩეულთა დრო“ გარე აქტორს მოიხსენიებს, როგორც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მხარდამჭერს. ეთერის მთავარი თემები „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია და ცესკოს ბრიფინგი იყო, სადაც თოქშოუს წამყვანი ჟურნალისტი საფრანგეთის ელჩს ციტირებდა. უკანასკნელის განცხადებით, „წინასაარჩევნო გარემო მაქსიმალურად დემოკრატიულ დებატებში უნდა გაიმართოს”.

კავკასია

29 აგვისტოდან 21 ნოემბრამდე[9] პერიოდში კავკასიაზე საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნების გაშუქებას 25 საათი და 25 წუთი დაეთმო და უცხოელი აქტორების წილი აქედან 8% იყო. 140 სიუჟეტიდან, რომლებშიც უცხოელი აქტორები გაშუქდნენ, უმრავლესობა (87) გადაცემის პირველ ხუთ სიუჟეტში იყო წარმოდგენილი.

ის თემები, რომელთან კავშირშიც უცხოელი აქტორები გაშუქდნენ, შემდეგი იყო: ზაფხულის პერიოდში - „პატრიოტთა ალიანსის“ რუსული დაფინანსების საკითხი; საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოყვანა არჩევნებზე; სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში - „პატრიოტთა ალიანსის“ რუსული დაფინანსების საკითხი, საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლა არჩევნებზე, ლეიბორისტული პარტიის ლიდერის განცხადება რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების დაბრუნების შესახებ, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევა, სამოქალაქო აქტივისტების მოთხოვნა გიორგი რურუას გათავისუფლებაზე, NDI-სა და IRI-ს წინასაარჩევნო კვლევები, საარჩევნო ქცევის კოდექსი, ევროპარლამენტის რეზოლუცია, ევროპარლამენტარები საქართველოს შესახებ, ვენეციის კომისიის დასკვნის გარეშე მიღებული კანონპროექტი, დავით გარეჯის საქმე, ივანიშვილის სიტყვა, კელი დეგნანის განცხადებები, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის საარჩევნო მედია მონიტორინგის შუალედური შედეგები, შერილ ფერნანდესის განცხადება; არჩევნების შემდგომ პერიოდში - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ არჩევნების ჩატარების შეფასება, საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასება, NDI-ს განცხადება არჩევნების ჩატარებაზე, მაიკ პომპეოს ვიზიტი საქართველოში; ევროპარლამენტარების მიერ არჩევნების შეფასება.

„კავკასიაზე“ უმეტესად მშრალი ინფორმაცია და ფაქტები იყო გადმოცემული. ნაკლებად ხდებოდა ინტერპრეტაცია ჟურნალისტების მხრიდან. უცხოელი აქტორების გაშუქებას დიდი დრო არ დაეთმო. ყველაზე ხშირად გაშუქებულ აქტორს, აშშ-ს (და მასთან დაკავშირებულ აქტორებს) 37 წუთი დაეთმო, ევროკავშირს - 19 წუთი, რუსეთს - 11 წუთი, NDI-ს და IRI-ს - 9-9 წუთი. (დიაგრამა 10) აქტორების გაშუქების ტონი უმეტესად ნეიტრალური იყო, რუსეთის გარდა, რომლის შემთხვევაშიც გაშუქების დიდი წილი (86%) უარყოფითი ტონით შეფასდა და მათთან ასოციაციით ხდებოდა პარტიების დისკრედიტაცია.

9 კავკასიაზე რაოდენობრივი მონიტორინგი 29 აგვისტოდან დაიწყო, თვისებრივი - 1 აგვისტოდან.

დიაგრამა 10: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი კავკასიაზე



აგვისტოს პერიოდში ნაკლებად ვხვდებოდით სიუჟეტებს არჩევნებთან დაკავშირებით. თუმცა, იყო სიუჟეტები, სადაც რუსეთის საშუალებით ხდებოდა პარტიების დისკრედიტაცია („პატრიოტთა ალიანსი“ და „ქართული ოცნება“). ამასთან, დასავლეთი და საერთაშორისო დამკვირვებლები ავტორიტეტად იყვნენ წარმოჩენილები.

აღსანიშნავია, რომ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების (აშშ-ის ელჩი, კელი დეგნანი და გერმანიის ელჩი, ჰუბერტ ქნირში) კომენტარები 2020 საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით შუქდებოდა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, ავტორიტეტული. მაგალითად, საარჩევნო ქცევის კოდექსზე ხელმოწერასთან დაკავშირებით 14 სექტემბრის სიუჟეტში ხაზგასმული იყო საერთაშორისო აქტორების როლი ქცევის კოდექსის მიღების საქმეში.

გვხვდება ასევე 20 ოქტომბრის სიუჟეტი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, შერილ ფერნანდესის განცხადებით, რომელიც გამოთქვამს შეშფოთებას წინასაარჩევნოდ არსებული დარღვევების გამო და ამასთან ხაზს უსვამს ამერიკის დიდ ინტერესს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით: „ეს იქნება არჩევნები, რომლებიც განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ იქნება ამერიკის ხელისუფლების, ასევე ჩვენი კონგრესის მხრიდანაც, რომელიც საკანონმდებლო საფინანსო გადაწყვეტილებებს იღებს.“

ამ განცხადების საფუძველზე ხდება ოპოზიციის მიერ მმართველი პარტიის დისკედიტაცია და ზოგადად ამერიკისა და ევროპის ავტორიტეტებად წარმოჩენა, რომლებიც მოუწოდებენ

ქვეყანას ჩაატარონ არჩევნები სამართლიანად: „პრაქტიკულად ეს არის წითელი ბარათის ჩვენება და ასევე მითითებულია, რომ ეპიდემიოლოგიური სიმძიმის გამო ნაკლები დამკვირვებელი არ ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ არჩევნებს არ აკვირდება, ეს არის აბსოლუტურად მკაფიო გზავნილი, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს სრულიად სამართლიანად," - უგულავას განცხადება (20 ოქტომბრის მე-2 სიუჟეტი).

საერთაშორისო დამკვირვებლები (მათ შორის ეუთო/ოდირის, NDI-ისა და IRI-ის წარმომადგენლები) წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც მნიშვნელოვანი როლის შემსრულებლები 2020 საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარებაში. მაგალითად, 31 აგვისტოს სიუჟეტში „ნაციონალური მოძრაობის" წევრი რომან გოცირიძე მიიჩნევდა, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლებას სწორედ იმიტომ არ სურს მათი ჩამოსვლა, რომ ისინი არჩევნების გაყალბებაში შეუშლიდნენ ხელს: „ხელისუფლებას ძალიან უნდა, რომ არ ჩამოვიდნენ დამკვირვებლები და წინასწარ თესავს ჭორებს, რომ თითქოს საქართველოში სხვადასხვა მიზეზით დამკვირვებლებს არ უნდათ ჩამოსვლა."

ამასთან არჩევნების შემდგომ პერიოდში მათ მიერ გაკეთებული შეფასებები მნიშვნელოვნად, ავტორიტეტულად იქნა წარმოჩენილი. ამ არხზე ძირითადი ყურადღება გამახვილდა დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებულ დარღვევებზე და მათ კრიტიკულ რიტორიკაზე, რომელთა გამოსწორებისკენაც დამკვირვებლები მეორე ტურში მოუწოდებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია 6 ნოემბერს NDI-ს მიერ გაკეთებული განცხადება, რითიც ორგანიზაცია ხელისუფლებას თავისუფალი მეორე ტურის ჩატარებისკენ მოუწოდებს: „ჩვენ გვსურს ვიხილოთ პროგრესი საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე. ამ ეტაპზე იმას ვიტყოდით, რომ მთავრობამ დამატებითი ძალისხმევა უნდა გაწიოს იმისთვის, რომ სწრაფად და სწორად განიხილოს საჩივრები, ჩაატაროს ხელახალი დათვლა და გამართოს განმეორებითი არჩევნები, სადაც ეს საჭიროა. ასევე გამოიძიოს ძალადობისა და დაშინების ცნობები და კანონის სრული ძალით გაასამართლოს დამრღვევები და მიიღოს ყველა ზომა მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. სანამ არ გვეცოდინება საჩივრების განხილვის პროცესის შედეგი, ნაადრევია იმის თქმა, უნდა გაუქმდეს თუ არა ამ არჩევნების ნებისმიერი ნაწილი. შემდეგი გამოცდა მეორე ტურია, რომელიც უნდა გაიმართოს მშვიდობიან, გამჭვირვალე, სამართლიან გარემოში," - გილანის განცხადება.

რაც შეეხება რუსეთს, მისი ხსენება ხშირი იყო იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სუბიექტებს სურდათ, მკვეთრად გაემიჯნათ საკუთარი საგარეო ორიენტაცია რუსეთისაგან ან ოპონენტი პარტიების ასოცირება მოეხდინათ რუსეთთან, მათი დისკრედიტაციის მიზნით. მაგალითად, 1 სექტემბრის სიუჟეტში „პატრიოტთა ალიანსის" დაფინანსების საკითხზე საუბრისას, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი რუსეთთან ასოცირებით ახდენდა „პატრიოტთა ალიანსისა" და „ქართული ოცნების" დისკრედიტაციას: „არის საფუძველი, რომ აღიძრას საქმე სახელმწიფო ღალატის მუხლით, მაგრამ თავის კუდს ხომ არ მოიჭრის ივანიშვილი? ეს არის ერთიანი, პუტინ-ივანიშვილ-რუსული და ქართული

სპეცსამსახურების ერთიანი პროდუქტი, წარმოჩენილი, ამ შემთხვევაში, „პატრიოტთა ალიანსის“ სახით.“

ამასთან, დავით გარეჯის გამოძიებასთან დაკავშირებით, ოპოზიცია ამ გამოძიების დაწყებას პუტინის სცენარის ნაწილად თვლიდა, რომელსაც ხელისუფლება ატარებდა ქვეყანაში აზერბაიჯანთან ურთიერთობის გასაფუჭებლად: „კარტოგრაფების საქმეში დაკავებულ პირებს მხარდაჭერას უცხადებენ პოლიტიკოსებიც. მათი აზრით, ქვეყნის სათავეში მყოფი, პრორუსული ხელისუფლება, პუტინის სცენარით მოქმედებს, რომლის მთავარი მიზანი მეზობელ აზერბაიჯანთან ურთიერთობის გაფუჭებაა.“ ამ განცხადებით კი, რასაკვირველია, მმართველი პარტიის დისკრედიტაცია ხდებოდა.

ამავე საკითხზე 1 სექტემბრის სიუჟეტში „ევროპული საქართველოს“ წევრი ელენე ხოშტარია საუბრობდა რუსეთის მხრიდან საქართველოს არჩევნებში ჩარევის მცდელობებზე: „ძალიან სერიოზულად უნდა მოეკიდოს სახელმწიფო ამ საკითხს და დაიწყოს გამოძიება სუს-მა და პროკურატურამ უცხო ქვეყნის, მტრული ქვეყნის, ოკუპანტის მხრიდან საქართველოს საარჩევნო პერიოდში ჩარევის ფაქტზე.“

რუსეთის მხრიდან საპარლამენტო არჩევნებში ჩარევაზე 22 სექტემბერს გავიდა სიუჟეტი, რომელიც ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებას ეფუძნებოდა. იგი ამტკიცებდა, რომ პუტინის ყოფილი თანაშემწე სურკოვი საქართველოში პრორუსული ძალების მობილიზებას ახდენდა გადატრიალების მიზნით და ამაში ქვეყნის შიგნით პრორუსული ძალები ეხმარებოდნენ, მის მთავარ დასაყრდენს ბიძინა ივანიშვილი და მისი პარტია წარმოადგენდა. ნათელაშვილი: „პუტინმა უკან დააბრუნა საქართველოს მიმართულებაზე ჩვენი ქვეყნის უბოროტესი მტერი და დამშლელი ვლადისლავ სურკოვი, რომელსაც დაევალა ორგანიზება ყველა პრორუსული ძალისა საარჩევნო გადატრიალების მიზნებისათვის. ამ ჯგუფებში შედიან პოლიტიკურ პარტიებად დარეგისტრირებული სპეცსამსახურები, ექსტრემისტული ორგანიზაციები, საქართველოს უმაღლესი მღვდელმთავარნი.“ სიუჟეტში ასევე ნახსენები იყო საერთაშორისო პარტნიორები, რომლებსაც ნათელაშვილი დახმარებას სთხოვდა სურკოვზე სანქციების დაწესებით. ამ შემთხვევაში საერთაშორისო პარტნიორები ავტორიტეტულ პირებად წარმოჩინდებოდნენ, რადგან შეეძლოთ, წინ აღდგომოდნენ რუსეთის მიერ დაგეგმილ დესტაბილიზაციას.

არჩევნების შემდგომ პერიოდში ვხვდებოდით სიუჟეტებს პომპეოს ვიზიტზე და მისი ვიზიტის დროს განხილულ თემებზე. ძირითადად სიუჟეტებში საუბარი იყო თვითონ ვიზიტის თემებზე. პოლიტიკური სპექტრის პოზიციები ამ შემთხვევაში გახლეჩილი იყო, მმართველი პარტია ცდილობდა ვიზიტის მიზეზად მხოლოდ რეგიონალური საკითხები წარმოეჩინა, ხოლო ოპოზიცია ამ ვიზიტის არჩევნებთან კავშირს უსვამდა ხაზს. საბოლოოდ, კავკასიაზე პომპეოს ვიზიტი უფრო რეგიონალურ კონტექსტში იქნა წარმოჩენილი და არა შიდა პოლიტიკურში. თუმცა, აღსანიშნავია ამ მხრივ Washington Examiner-ის სტატია, სადაც ნათქვამია რომ პომპეომ თბილისში მკაცრი მესიჯი უნდა ჩაიტანოს, რაც საქართველოს ხელისუფლებას ნათლად დაანახებს ვაშინგტონის ხელისუფლების შეშფოთებას მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. სტატიის ავტორი არჩევნების შედეგებს სადაოს უწოდებდა

და წერდა, რომ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ წყლის ჭავლისა და სხვა იარაღის გამოყენება ადამიანის უფლებების უგულვებელყოფის მასშტაბს გამოხატავდა. ეს სიუჟეტიც საგულისხმოა, რადგან კავკასია კიდევ ერთხელ იხრება იმ აზრისკენ, რომ პომპეო აქ არამარტო რეგიონალური კრიზისის გამოისობით, არამედ არჩევნების საკითხის შესახებაც ჩამოდის.

თოქშოუ „ბარიერი“

მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვება თოქშოუ „ბარიაერზე“ ხდებოდა. წინასაარჩევნო პერიოდში თოქშოუ აშუქებდა გარე აქტორების საკითხებს და ის წარმოდგენილი იყო როგორც მთავარ თემებად, ისე არამთავარ, თუმცა, აქტიურად განხილულ თემად. იმის გათვალისწინებით, რომ კავკასია ოპოზიციურად განწყობილი არხია, გადაცემების სტუმრები უმეტესად ოპოზიციური ძალის წარმომადგენლები იყვნენ. გადაცემაში მმართველი პარტიის წევრს მონაწილეობა არ მიუღია.

გარე აქტორების საარჩევნო პროცესებში ჩართულობა ძირითადად დასავლელი პარტნიორების ჭრილში განიხილებოდა. რესპონდენტები და გადაცემის წამყვანი მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ დასავლეთი აღარ ენდობა არსებულ ხელისუფლებას და მზად არის დაეხმაროს ქვეყანას დემოკრატიული კურსის შენარჩუნებაში. ეს პათოსი განსაკუთრებით გაძლიერდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, პომპეოს საქართველოში ჩამოსვლისას, რასაც, რა თქმა უნდა, სპეციალურად მიეძღვნა გადაცემები. ამ მოვლენას და გარე აქტორის ვიზიტს რესპონდენტები მიიჩნევდნენ პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერის მკაფიო გამოხატულებად. თუმცა, ამის პარალელურად ფიქრობდნენ, რომ დასავლეთის მხრიდან ნებისმიერი სახის დახმარება ვერ იქნება არჩევნებში ჩარევის შესაძლებლობა: „ხელისუფლებას ირჩევს ქართველი ხალხი, სხვა ვერ ჩაერევა ამ არჩევანში“ (გიორგი მარგველაშვილი, 6 ოქტომბერი).

გარე აქტორებზე საუბრისას, დასავლელი პარტნიორების პარალელურად, გადაცემებში დისკუსია მიმდინარეობდა რუსეთის მცდელობაზეც, გავლენა მოეხდინა საარჩევნო პროცესებზე. ამ მხრივ ძირითად თემას წარმოადგენდა „პატრიოტთა ალიანსისა“ და „ქართული ოცნების“ რუსეთთან შესაძლო ურთიერთობები, რომელიც გულისხმობდა ფინანსური დახმარებების აღმოჩენას ამ ორი პარტიისათვის. ეს გარე ძალა ამ შემთხვევაში განხილული იყო მმართველი პარტიის მხარდამჭერად, რომლის საშუალებითაც ის საქართველოზე გავლენას ინარჩუნებდა და სწორედ ამ მიზნით ფარულად გულშემატკივრობდა მას არჩევნებზე:

„როგორი იქნება რუსეთის ჩართულობა ჩვენს საპარლამენტო არჩევნებში? რუსეთი არ არის გულგრილი იმის მიმართ თუ ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში, ღიად არ გამოხატავს, მაგრამ ის აშკარად გულშემატკივრობს დღევანდელ ხელისუფლებას. მსუბუქად რომ ვთქვათ, წინა ხელისუფლებას ურჩევნია.“ (ნინო ჯანგირაშვილი, 3 სექტემბერი)

საბოლოო ჯამში, ნათელია, გადაცემის ინტერესი გარე აქტორების არჩევნებში ჩართულობასა თუ ჩარევასთნ დაკავშირებით. ის წინასაარჩევნო პერიოდში ყურადღებას უთმობდა არსებულ თემას და ცდილობდა სტუმრებთან ერთად გაეანალიზებინა ამ მხრივ განვითარებული მოვლენები.

ობიექტივი

16 ივლისიდან 21 ნოემბრამდე პერიოდში ობიექტივის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნების თემას 46 საათი და 4 წუთი დაეთმო და ამ დროის 6% წარმოადგენდა უცხოელი აქტორების გაშუქების წილს. სიუჟეტების დიდი უმრავლესობა (149 სიუჟეტი 165-დან), რომლებშიც უცხოელ აქტორებზე იყო საუბარი, გადაცემის პირველ ხუთ სიუჟეტს შორის მოხვდა.

ობიექტივი ძირითადად პატრიოტთა ალიანსის ჩატარებულ პოლიტიკურ კამპანიებს აშუქებდა, ასევე, ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ ვითარებას. იგი განსაკუთრებულ დროს არც რომელიმე სხვა პარტიის წარმომადგენლებს და არც გარე აქტორებს უთმობდა. მათზე საუბარი ცალკეულ შემთხვევებში იყო და ისიც, სხვა არხებთან შედარებით, ძალიან მოკლედ. ის თემები, რომელთან კავშირშიც მონიტორინგის პერიოდში უცხოელ აქტორებზე იყო საუბარი, შემდეგია: ზაფხულის პერიოდში - აშშ-ის კონგრესმენებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების განცხადებები და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის მიმართ, პომპეოსა და გახარიას სატელეფონო საუბარი, წინასაარჩევნო კვლევა, რომლის მიხედვითაც „პატრიოტთა ალიანსის“ კვლევა ერთადერთი სანდო კვლევაა, დოსიე ცენტრის ბრალდებების გაბათილება; სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში - „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარობის კანდიდატები მთელი ქვეყნის მასშტაბით ამომრჩევლებს ხვდებიან, პრემიერმინისტრის ოფიციალური ვიზიტი ბრიუსელში, „პატრიოტთა ალიანსი“ თავისუფლების მოედანს გაავსებს, ევროკავშირი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევას აკრიტიკებს, სიუჟეტები „დოსიე ცენტრის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის გასაბათილებლად, წინასაარჩევნო კვლევები „IRI-ს მორიგი რეალობას აცდენილი ე.წ. კვლევები“, პროცესი საქალაქო სასამართლოში, სადაც „პატრიოტთა ალიანსს“ ანტითურქული რეკლამების განთავსებასა და ეროვნული შუღლის გაღვივებაში ედავებიან, დავით გარეჯის საქმე, ეუთო/ოდირის წარმომადგენლებთან შეხვედრა. არჩევნების შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანია ფასილიტატორი ელჩების ჩართულობით წარმართული შეხვედრები მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს, ვიზიტი საქართველოში.

უცხოელი აქტორებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო აშშ-ს და ძირითად შემთხვევაში ტონი იყო ნეიტრალური (67%), ასევე უმეტესად გარე აქტორებიდან გვხვდებოდა რუსეთი

(35 წთ), ევროკავშირი (11 წთ). რუსეთის შემთხვევაში ხშირად ნახსენებია დიალოგისა და ურთიერთობების ნორმალიზების საჭიროება.

საინტერესოა, რომ უცხოურ კვლევით ორგანიზაციებს 8 წთ დაეთმო და უმეტესად უარყოფითად წარმოჩინდა (70%). IRI-ს (6 წთ) და NDI-ს (3 წთ) კვლევებს კი „ობიექტივზე“ უნდობლობას უცხადებდნენ და „რეალობას აცდენილს“ უწოდებდნენ.

დიაგრამა 11: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი ობიექტივზე



მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ:

რუსეთთან მიმართების საკითხი

ობიექტივზე ვხვდებით რუსეთის რამდენიმე კონტექსტში ხსენებას, ზოგჯერ რუსეთი წარმოჩენილია დადებითად, რა დროსაც აღნიშნულია ხოლმე რუსეთთან დიალოგის აუცილებლობა, არის შემთხვევები, როდესაც რუსეთი გამოყენებულია იმისთვის, რომ სხვა ოპოზიციური პარტიების, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის, დემონიზება მოხდეს.

მაგალითად, 7 ოქტომბრის სიუჟეტში „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარობის კანდიდატი რუსეთს ახსენებდა დადებით კონტექსტში. ჯუმბერ ტაკიძე, ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატი: „მოთხოვნა არის თითქმის მთელი ბაზრობიდან, მოთხოვნაა, რომ კავშირი გაიხსნას იმ ქვეყნებთან და აქცენტს აკეთებენ რუსეთთან, რომ დიდი იმედი აქვთ, რომ, აი, იქიდან, აი, ვაჭრობის და ჩვენი ეკონომიკის ზრდა დაიწყება.“

რუსეთზე საუბრისას ხშირი იყო სამხედრო ნეიტრალიტეტისა და „ჩატეხილი ხიდების“ აღდგენის რიტორიკა. 1 ოქტომბრის სიუჟეტში, მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსის მზადება 3 ოქტომბრის აქციისთვის“, ჟურნალისტი მოქალაქეს ეკითხება: „როგორ უნდა მოხდეს ტერიტორიების დაბრუნება?“ და მოქალაქე პასუხობს: „ალბათ, მოლაპარაკებების გზით, დიალოგი რუსეთთან, მეტი არაფერი, არანაირი კონფლიქტი.“

საინტერესოა ის, თუ როგორ ეხმაურება ობიექტივი ნიკოლოზ გვარამიას მიერ მთავარზე გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ საიდუმლო წყარომ მას გრუ-ს საიდუმლო ფაილი გადასცა, რომელშიც მოხსენიებულნი არიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, პროფესიის ადამიანები. 30 ოქტომბერ გასული პირველივე სიუჟეტის სათაური „ვინც მიშას და ნიკას არ უყვარს“, უკვე გამოხატავს სიუჟეტის პათოსს, შესაბამისად, ვინც ნიკას და მიშას არ უყვარს ყველა რუსეთის აგენტია. ობიექტივის ჟურნალისტი ესაუბრა ამ სიაში მყოფ პირებს, რომლებიც ამბობენ, რომ თვითონ ნაციონალური მოძრაობაა რუსეთის აგენტი და არა ისინი. მათი აზრით, სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ გადასცა რუსეთს მიწები და სწორედ ისინი ემსახურებიან რუსულ ინტერესებს. ამგვარად, ერთი მხრივ, ნაციონალური მოძრაობის წევრები თითს იშვერენ ოპონენტებისკენ და მათ რუსეთუმეობას სწამებენ, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ოპონენტები აბრალებენ ნაციონალებს პრორუსულობას და მოჰყავთ დავით გარეჯის, ციხის კადრების და სხვა მაგალითები.

იმავე პათოსს იზიარებს 23 ოქტომბრის სიუჟეტი. სიუჟეტის მიზანია, ნაციონალური მოძრაობა „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ მიმართულ ანტიპიარში დაადანაშაულოს. სიუჟეტში ნათქვამია, რომ ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც რუსეთს საქართველოს ტერიტორიები ჩააბარა, პატრიოტთა ალიანსს ადანაშაულებს რუსეთუმეობაში. დავით თარნხან-მოურავი ხაზს უსვამს, რომ ისინი მხოლოდ იმიტომ მოიხსენიებიან რუსეთის აგენტებად, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის დასაბრუნებლად რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობენ. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტში რუსეთი ერთი შეხედვით გაკრიტიკებულია, მის წინააღმდეგ გამოყენებულია სიტყვები „მოწინააღმდეგე“, „ოკუპანტი“, სიუჟეტი რუსეთისადმი კრიტიკულად მაინც ვერ ჩაითვლება. ხაზი უფრო მეტად გასმული ნაციონალური მოძრაობის დისკრედიტაციაზეა და ნახსენებია, რომ მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო ომი და რუსეთმა საპასუხო ცეცხლი გახსნა. ამის დასასაბუთებლად კი ნიკოლა სარკოზის მემუარებია მოყვანილი.

დასავლეთი

ობიექტივის დასავლეთთან მიმართება წინააღმდეგობრივია, რიგ შემთხვევებში ვხვდებით ზოგიერთი დასავლელი პარტნიორის კრიტიკას და უარყოფითად წარმოჩენას. თუმცა, არის მომენტები, როდესაც ობიექტივს დასავლელი პარტნიორების მოშველიება საკუთარი პოზიციები გასამყარებლად სჭირდება.

ნატო და აშშ ერთ-ერთ სიუჟეტში (26 სექტემბრის სიუჟეტი „30 ათასზე მეტი მოქალაქე თავისუფლების მოედანზე“) ამომრჩევლებთან შეხვედრის შესახებ მოქალაქის კომენტარში ნახსენები იყო უარყოფითად: „არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანაში იყოს ნატოს ჯარები, სასტიკად

არ მინდა. 20 წელია, მეტია, რაც ნატო მესმის და ნატოსგან და ამერიკისგან მე გარყვნილი პროპაგანდის მეტი არაფერი მომისმენია.“ ზოგადად, დასავლელი აქტორების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება „ობიექტივზე“ ხშირი არ იყო და როცა გვხვდებოდა, ეს სიუჟეტის რესპონდენტების კომენტარებში ჩანდა.

საინტერესოა, რომ დასავლელი პარტნიორების ხსენება „ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვებებში ხშირი არ იყო. თუმცა, მათზე იყო სიუჟეტები, როცა ისინი მნიშვნელოვან ფიგურებად წარმოჩინდნენ. მაგალითად, 5 ოქტომბერს გავიდა სიუჟეტი ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან „პატრიოტთა ალიანსის“ შეხვედრაზე. სიუჟეტი უმეტესად ირმა ინაშვილის კრიტიკას მოიცავდა პოლიტიკური კვლევების, ბოკერია-სააკაშვილისა და კობახიძის მიმართ, მაგრამ გარე აქტორებზეც გაკეთდა კომენტარი მის მიერ: „ჩვენი ამოცანა არის, რომ საერთაშორისო სტრუქტურებს, პარტნიორებს დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ ამის თაობაზე, რაც გავაკეთეთ კიდეც დღეს.“

ციხის კადრებს და ნაციონალური მოძრაობის პერიოდს ეთმობა 27 ოქტომბერს გასული პირველივე სიუჟეტი, რომელიც ინაშვილის ბრიფინგით იწყება. ინაშვილმა გამართა ბრიფინგი, რომლის მთავარი საკითხიც ციხის კადრები იყო. მისი განცხადებით, 2012 წელს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია აცხადებდა, რომ ციხის კადრები უმძიმესი დანაშაული იყო და, მისი აზრით, ამას უნდა მოჰყოლოდა დამნაშავეების დასჯაც. აქ საერთაშორისო ორგანიზაციებს ერთგვარად ავტორიტეტი აქვთ მინიჭებული, რადგან ისინი ამყარებენ ინაშვილის პოზიციებს.

რაც შეეხება მაიკ პომპეოს ვიზიტს, ამ შემთხვევაში აშშ და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი დადებით კონტექსტში წარმოჩინდა, როგორც დაინტერესებული მხარე, რომელსაც სურს საქართველოში პოლიტიკური პროცესები სამართლებრივ ჩარჩოებში წარიმართოს და სტაბილურობა იყოს. ამიტომ ექსპერტების შეფასებით, სასურველია მათი მოწოდებების შესრულება (18 ნოემბერი, „აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი დასრულდა“). გარდა ამისა, მაიკ პომპეოს მოადგილე ფილიპ რიკერი დადებითად წარმოჩინდა პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივნის მხრიდან, როგორც მაღალი კლასის დიპლომატი, რომელთანაც ოპოზიციის შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო (18 ნოემბერი, „ოპოზიციის ლიდერები ფილიპ რიკერს შეხვდნენ“). ზოგადად, ობიექტივმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ვიზიტის გაშუქებას დიდი დრო დაუთმო, მაგრამ ძირითადად განხილული იყო რეგიონში მიმდინარე მოვლენების, სტრატეგიული პარტნიორობისა და უსაფრთხოების კონტექსტში.

საინტერესოა, თუ როგორ წარმოჩინდნენ დასავლელი აქტორები დავით გარეჯთან მიმართებით. გარეჯის საკითხთან დაკავშირებით ვხვდებით სიუჟეტს ანდრიუს კუბილიუსის ტვიტზეც, რომელიც საქართველოს მთავრობას ამ თემის წინასაარჩევნოდ წამოჭრის გამო აკრიტიკებს: „ქართულმა უწყებებმა დააკავეს 2 საჯარო მოხელე „აზერბაიჯანისთვის ტერიტორიის უკანონო გადაცემის“ ბრალდებით. აღსანიშნავია, რომ სადავო მოვლენები 2007 წელს უკავშირდება. სასაცილოა, ქართული ოცნება პოლიტიკურ ოპონენტებს ადანაშაულებს რეალური პრობლემებიდან ყურადღების გადასატანად - სუსტი პასუხი პანდემიაზე და გაყინული ეკონომიკა“, - კუბილიუსის ტვიტი (14 ოქტომბერი).

თვითონ კუბილიუსი მმართველმა პარტიამ მკაცრად გააკრიტიკა. „მინდა, გამოვეხმაურო ბატონი კუბილიუსის განცხადებას. მან, როგორც მე ვნახე, თქვა, რომ დავით გარეჯის თემა, რომელიც დღეს არის საინტერესო საზოგადოებისთვის, სასაცილოაო. ჩვენთვის დავით გარეჯი ნამდვილად არ არის სასაცილო და მე, პირადად, გაოცებული ვარ ამ კომენტარით. ადამიანი, რომელიც ევროსტრუქტურებს წარმოადგენს, საუბრობს ასეთი დამოკიდებულებით ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან, ეროვნული მნიშვნელობის საკითხზე. ეს არის ჩვენთვის მიუღებელი. დავით გარეჯი არასოდეს და ვერასოდეს ვერ იქნება სასაცილო," - თალაკვაძის განცხადება (14 ოქტომბერი).

საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები

ობიექტივი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წინასაარჩევნოდ ჩატარებულ კვლევებსაც ეხმაურება. ობიექტივს მიზანში ჰყავს ამოღებული: იფსოსი, ედისონ რიზერჩი, გორბი, IRI, NDI და ა.შ. 30 ოქტომბრის სიუჟეტში ნათქვამია, რომ ის სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლებიც არჩევნებს ეხება, ნდობას არ იმსახურებს, რადგან ეს ორგანიზაციები ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების დაკვეთას ასრულებენ და ამომრჩეველზე მანიპულირებენ. ინაშვილის განცხადებით, პატრიოტთა ალიანსი უალტერნატივო ძალაა და სწორედ ისინი გაიმარჯვებენ. აქაც ვხვდებით სახასიათო შემთხვევას, როდესაც ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც დაბალი რეიტინგი აქვს კვლევებში, ამ უკანასკნელს აკნინებს და არ ენდობა.

თოქშოუ „ღამის სტუდია"

ტელეკომპანია ობიექტივის პოლიტიკური თოქშოუ „ღამის სტუდია" საქართველოს არჩევნებში გარე აქტორების ჩარევას აქტიურად განიხილავდა. იგი ცალმხრივ მსჯელობას ავითარებდა. როგორც წესი, საეთერო დრო იმ გავრცელებული მოსაზრების გაბათილებას ეთმობოდა, რომლის მიხედვითაც პარტია „პატრიოტთა ალიანსი" რუსეთის მიერ ფინანსდება.

„ღამის სტუდიის" პლატფორმა უმეტესად „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერებსა და წარმომადგენლებს ეთმობოდა. ისინი ღიად ან ირიბად, ალიანსისა და რუსეთის კავშირის აბსურდულობას სკანდირებდნენ. თოქშოუში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა აქტორის მიერ ცხადდებოდა, რომ ალიანსის პრორუსული კონტექსტი ცილისმწამებლურია.

გარკვეულ შემთხვევებში „ღამის სტუდიას" სიმძიმის ღერძი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დისკრედიტაციისკენ გადააქვს. 6 ოქტომბრის ეთერში პატრიოტთა ალიანსის მთაწმინდა-კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, მალხაზ თოფურია, განაცხადებს: „ნაციონალური მოძრაობის ყველა ლიდერი მოღვაწეობს მოსკოვში". მაგალითი ცხადჰყოფს, რომ ალიანსი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრორუსულ განწყობებზე ობიექტივის მხარდაჭერით აპელირებს.

პოს ტვ

29 აგვისტოდან 21 ნოემბრამდე[10] პერიოდში პოს ტვ-ს საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში არჩევნების თემის გაშუქებას 54 საათი და 18 წუთი დაეთმო. აქედან უცხოელი აქტორების გაშუქების წილი მეათედზე ოდნავ მეტი (11%) იყო. სიუჟეტების უმეტესობა (232 სიუჟეტი 340-დან) გადაცემის დასაწყისში, პირველ ხუთ სიუჟეტად გადიოდა.

ძირითადი თემები, რომლებზე საუბრისასაც უცხოელი აქტორების გაშუქება ხდებოდა, მოიცავდა შემდეგს: ზაფხულის პერიოდში - IRI-ის წინასაარჩევნო კვლევა და NDI-ის წინასაარჩევნო ანგარიში, ევროპა - „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გეზი, საერთაშორისო დამკვირვებლები არჩევნებზე, მმართველი პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა, ოპოზიციის შიდა ომები გავლენებისთვის, პანდემიის გავლენა არჩევნებზე, სააკაშვილის ვირტუალური გეგმები, სააკაშვილის ჯალათები; სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში - ევროპარლამენტის რეზოლუცია, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით შექმნილი საარჩევნო ქცევის კოდექსი, წინასაარჩევნო კვლევები, არჩევნები 2020, სიუჟეტები მიხეილ სააკაშვილზე, ევროკომისიის პრეზიდენტის კომენტარი საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივაზე, მილი მეჯლისის დეპუტატის წერილი, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, ევროკავშირისა და გაეროს საარჩევნო მედიამონიტორინგის ანგარიში, პრემიერის გამოსვლა გაეროში, სადამკვირვებლო მისიები, კიბერუსაფრთხოების ფორუმი, კიბერშეტევა ლუგარის ლაბორატორიაზე, ირმა ინაშვილის განმარტება, „პატრიოტების“ ხმაურიანი ბანერი, კოვიდ არჩევნები 2020, კონგრესმენ დევიდ პრაისის განცხადება, ყალბი რეიტინგები, სააკაშვილის სპეცჯუფები უკრაინიდან, ერთი დღე კოვიდარჩევნებამდე, კელი დეგნანის განცხადება; არჩევნების შემდგომ პერიოდში - სააკაშვილი ევროსაბჭოს დეპუტატის წინააღმდეგ, გზავნილები დასავლეთიდან, მაიკ პომპეოს ვიზიტი, „შოუ - ბოიკოტი“, ქუჩის პოლიტიკა, „ნაცბულინგი“, საერთაშორისო გამოხმაურება, არჩევნების მილოცვები, დიალოგი მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის, განხეთქილება ოპოზიციაში, სადამკვირვებლო მისიების დასკვნა.

უცხოელი აქტორებიდან ყველაზე მეტი დრო აშშ-ს და მასთან დაკავშირებულ აქტორებს დაეთმო (1 საათი და 35 წუთი). ამ აქტორის ხშირი გაშუქება ნოემბერში მაიკ პომპეოს ვიზიტს უკავშირდება. აშშ-ს გაშუქების მეოთხედი დადებითი ტონით განხორციელდა. მეორე ყველაზე ხშირად გაშუქებული აქტორი ევროკავშირი იყო და მისი გაშუქების თითქმის მეოთხედიც (24%) დადებითი ტონი იყო. დანარჩენ უცხოელ აქტორებს შედარებით ნაკლები დრო, 20 წუთი და ნაკლები დაეთმოთ. უარყოფითი ტონი ზოგადად არხზე უცხოელი აქტორების მიმართ არ შეინიშნებოდა. გამონაკლისი რუსეთი იყო, რომელიც 18 წუთის განმავლობაში გაშუქდა და მისი 69% უარყოფით ტონს წარმოადგენდა. (დიაგრამა 12) ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ გაშუქდა, როგორც უპრეცედენტო მხარდაჭერა საქართველოს მიმართ, რაშიც ნაგულისხმევი იყო მმართველი გუნდის დიდი წვლილი. ასევე დიდი დოზით გაშუქდა

10 პოს ტვ-ზე რაოდენობრივი მონიტორინგი 29 აგვისტოს დაიწყო, თვისებრივი - 1 აგვისტოს.

მაიკ პომპეოს ვიზიტი და აქაც ხაზგასმული იყო მხარდაჭერის გამოხატულება ქვეყნისა და მისი ხელისუფლებისადმი.

გარდა ამისა, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა რუსეთზე, რომელიც ნეგატიურად და ხშირად მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მოკავშირედ იყო წარმოჩენილი. „პოს ტვ“ თითქოს სხვა არხების საპასუხოდ იქცეოდა, რომლებიც „ქართული ოცნების“ პრორუსულ ძალად წარმოჩენას ცდილობდნენ და, თავის მხრივ, ცდილობდა, პრორუსული ძალის იარლიყი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიეკრა. ამ პარტიას „პოს ტვ“-ზე ხშირად „პროდასავლურად მონათლულ პრორუსულ ძალას“ უწოდებდნენ.

დიაგრამა 12: უცხოელი აქტორების გაშუქების ტონი პოს ტვ-ზე



„პოს ტვ“-ზე აშშ-ს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეს, აგრეთვე, ზოგადად, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებს საარჩევნო სუბიექტები ახსენებდნენ იმისთვის, რომ დადებითი კუთხით წარმოეჩინათ საკუთარი პარტიის საგარეო ორიენტაცია. დასავლელი აქტორები ყოველთვის წარმოჩენილნი არიან, როგორც ავტორიტეტული და პატივსაცემი პირები/ინსტიტუტები, რომლებთან აფილირებაც დადებითად წარმოაჩენს მათ. მაგალითად, 18 სექტემბრის სიუჟეტში გიორგი გახარია ევროპაზე საუბრობდა „ქართული ოცნების“ საგარეო კურსის ხაზგასასმელად: „ჩვენ საბოლოოდ უნდა გავხდეთ ძლიერი ეკონომიკურად, სამართლიანი, ევროპული და განათლებული სახელმწიფო და ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ გამოწვევებს

ყველანი ერთად ვუპასუხებთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ყველანი ერთად, მას შემდგომ, რაც მივაღწევთ ამ მიზანს, მივაკაკუნებთ და შევაღწევთ იმ დიდ ევროპულ ოჯახში, სადაც ჩვენი ადგილი ყოველთვის იყო ისტორიულად."

ევროპარლამენტის რეზოლუციის გაშუქებისას 15 სექტემბრის სიუჟეტში „ევროპის უპრეცედენტო მხარდაჭერა / საქართველო იმსახურებს, გახდეს ევროკავშირის წევრი" ევროპარლამენტი წარმოჩენილი იყო ავტორიტეტულ სტრუქტურად, რომელიც საქართველოს უჭერდა მხარს. მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული ევროპარლამენტარების დისკრედიტაციის მცდელობა იყო გაშუქებისას, მათი, ვინც ქართული ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერი კომენტარები გააკეთეს. ჟურნალისტების ციტატები სიუჟეტიდან: „მიუხედავად იმისა, რომ 18-გვერდიან ანგარიშში არ წერია კრიმინალური წარსულის მქონე, მსჯავრდებული გიორგი რურუას სახელი, ამოღებულია ტერმინი პოლიტიკური პატიმარი და შესულია კიდევ არაერთი შესწორება, რადიკალმა ოპოზიციონერებმა დოკუმენტში კრიმინალი მეგობრის სახელი მაინც ამოიკითხეს. მათი მისამართით გაჟღერებული კრიტიკის გადაფარვა ორი დეპუტატის მიერ გაკეთებული მწვავე განცხადებებით სცადეს და თქვეს, რომ დასავლეთის შეფასებები მძიმეა. გუშინდელ დებატებზე 700-დან მხოლოდ ორმა დეპუტატმა გააჟღერა შენიშვნა და ორივე მათგანი მწვანეთა პარტიას წარმოადგენს. პარტიას, რომელიც ევროპარლამენტში «ნაციონალური მოძრაობის» ინტერესების გამტარებელია. ეს არაერთხელ დადასტურდა."

არჩევნებთან დაკავშირებით ხშირად შუქდებოდა აშშ-ს ელჩის, გერმანიის ელჩის კომენტარები. ისინი ანგარიშგასაწევ პირებად იყვნენ წარმოჩენილნი. სიუჟეტებში ჟურნალისტების დასკვნები მათ კომენტარებში მმართველი გუნდისთვის მხოლოდ დადებით გზავნილებს უსვამდნენ ხაზს. მაგალითად 1 სექტემბრის სიუჟეტში „კელი დეგნანის განცხადება" აშშ-ს ელჩი ამბობდა: „მმართველ პარტიას აქვს დამატებითი პასუხისმგებლობა, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად და გამჭვირვალე გარემოში". ჟურნალისტის შეჯამება კი ასეთი იყო: „ამერიკის ელჩი საქართველოში არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ დღეს გაჟღერებულ გზავნილს ეხმაურება და დადებითად აფასებს".

რუსეთის ხსენება, პირიქით, ხშირად ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სუბიექტებს სურდათ, მკვეთრად გაემიჯნათ საკუთარი საგარეო ორიენტაცია რუსეთისაგან ან ოპონენტი პარტიების ასოცირება მოეხდინათ რუსეთთან, მათი დისკრედიტაციის მიზნით. მაგალითად, 15 სექტემბრის სიუჟეტში „ქართული ოცნების" წარმომადგენელი რატი იონათამიშვილი „ძალა ერთობაშია"-ს წარმომადგენლებზე საუბრობდა და მათი დისკრედიტაციისთვის ხაზს უსვამდა მათ ასოცირებას რუსეთთან: „ეს არის პოლიტიკური აჯაფსანდალი, რომელიც გაერთიანებულია უპრინციპობის, ყოველგვარი იდეოლოგიისა და ღირებულებების გარეშე. ეს ადამიანები სულ რამდენიმე წლის წინ ერთმანეთს უწოდებდნენ რუსეთის აგენტებს, რუსეთის საელჩოზე ტელეფონით მიბმულ ადამიანებს, მკვლელებს და ჯალათებს."

25 სექტემრის სიუჟეტში, გაეროში გამოსვლის დროს პრემიერმინისტრმაც ახსენა რუსეთი და მისგან წამოსული საფრთხეები, მათ შორის, უკანონო ბორდერიზაცია, პროვოკაციები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დეზინფომაციული შეტევები. კიბერსაფრთხეებმა რუსეთიდან ლუგარის ლაბორატორიაზე კიბერთავდასხმისა და საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმის გაშუქებისასაც წინ წამოიწია და ამ კონტექსტში რუსეთი ძალიან ნეგატიურად იყო გაშუქებული, ხოლო ნატო და აშშ პარტნიორ ქვეყნებად, რომლებიც ქვეყანას კიბერუსაფრთხოების გაზრდაში ეხმარებიან.

აგვისტოს ბოლო დღეებსა და სექტემბრის დასაწყისში „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებითაც გაშუქდა რუსეთის მიერ საქართველოს შიდა პროცესებში ჩარევის მცდელობები, მათ შორის რამდენიმე სიუჟეტი მიეძღვნა „პატრიოტთა ალიანსის“ ბანერს. შესამჩნევი იყო, რომ ცალკე სიუჟეტად გავიდა, თუ როგორ აკრიტიკებდა მმართველი პარტია „პატრიოტთა ალიანსს“. „ქართული ოცნების“ წევრმა მამუკა მდინარაძემ სოციალურ ქსელშიც დაწერა, რომ ეს რუსული დაკვეთა იყო.

გარდა ამისა, „პოს ტვ“-ზე ხშირი იყო მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაციისკენ მიმართული სიუჟეტები, რომლებშიც გაჟღერებული იყო სხვადასხვა საგარეო აქტორის კომენტარი, რომლებიც ნეგატიურად აფასებდნენ მას. ეს აქტორები იყო საერთაშორისო გამოცემა Eurasianet, ბრაიან მაკნიკოლი The American Spectator-თვის, ასევე უკრაინული მედიის მიერ გადაღებული საგამოძიებო ფილმი სააკაშვილის პოლიტიკურ საქმიანობაზე რუსეთში. ამ უკანასკნელში, 14 სექტემბრის სიუჟეტში „სააკაშვილს წითელი აუნთეს / ექსპრეზიდენტის მდიდრული ცხოვრება და ფუფუნების საგნები“, უკრაინის ხსენებითა და უკრაინულ წყაროებზე დაყრდნობით ჟურნალისტი მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაციას ახდენდა: „როგორც თბილისში, ისე უკრაინაში, გაქცეულმა პრეზიდენტმა წითელი ხაზები გადაკვეთა და მას როგორც საქართველოში, ისე უკრაინში წითელი აუნთეს. რა ამოუჩხრიკეს უკრაინელმა ჟურნალისტებმა სააკაშვილს და რატომ ითხოვენ მის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას?“

არჩევნების შემდეგომ პერიოდში „პოსტ ტვ“-ის სიუჟეტებში გარე აქტორების ხსენება ხშირად უკავშირდებოდა თავად არჩვენების შედეგების ვალიდურობას, რომ არჩევნები წესების დაცვით ჩატარდა და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების გამოხმაურება დადებითი იყო. მაგალითად, 9 ნოემბრის სიუჟეტის მიხედვით, ბუნდესტაგის წევრი, გერმანია-სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე, ალბერტ ვაილერი საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს სოციალურ ქსელში ეხმიანება და აღნიშნავს, რომ მოხარულია სადამკვირვებლო მისიების მიერ გაკეთებული პოზიტიური შეფასებებით - „მოხარული ვარ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მიერ გაკეთებული პოზიტიური შეფასებებით. კვლავ მიზნად რჩება უფრო მეტი დემოკრატიისა და პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფა. ჩვენ მზად ვართ, საქართველოს ამაში მხარი დავუჭიროთ“.

გარდა ამისა, არჩევნების შედეგების გამო გამართული საპროტესტო აქციების ლეგიტიმურობის საკითხის ეჭვქვეშ დასაყენებლად სიუჟეტებში გამოიყენებოდა საერთაშორისო პარტინიორების (საქართველოში ბრიტანეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, კლერ ოლბლესი, საფრანგეთის ელჩი დიეგო კოლასი) განცხადებები შემდეგი მიზნით - „ცესკოს შენობაზე წარუმატებელი შტურმის შემდეგ, ოპოზიცია დასავლეთის მოწოდებების შტურმის ქვეშ თავად აღმოჩნდა.“, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პარტნიორების განცხადებებიდან არ იკვეთება, რომ ამ განცხადებებით ისინი ოპოზიციურ ძალებს მიმართავდნენ.

რაც შეეხება უშუალოდ მოლაპარაკებების პროცესებს ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის, აქ გარე აქტორებად აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი და ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც ფასილიტატორები, რომლებიც ცდილობენ შუამავლის როლის შესრულებასა ოპოზიციასა და პოზიციას შორის. თუმცა, აქვე ოპოზიცია წარმოჩნდებოდა, როგორც სიტუაციის განმუხტვის არამოსურნე. „მიუხედავად იმისა, რომ ფასილიტატორი ელჩების დახმარებით მოლაპარაკება გაიმართა, ოპოზიციისთვის ქუჩა მაინც უალტერნატივოა. მათი თქმით, ქუჩის პროტესტია აუცილებელია მიზნის მისაღწევად.“

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საარჩევნო პერიოდის შემდგომ მაიკ პომპეოს - აშშ-ის სახელმწიფო მდივნის საქართველოში ვიზიტს. სიუჟეტებში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოში აშშ სახელმწიფო მდივნის ვიზიტი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს აშშ-სა და საქართველოს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის სიმტკიცეს. მაგალითად, 12 ნოემბრის სიუჟეტში გადმოცემული იყო, რომ მაიკ პომპეოს ვიზიტის წინ, აშშ-ის სენატის ასიგნების კომიტეტმა საქართველოს უპრეცედენტოდ მაღალი დახმარება დაუმტკიცა. გაზრდილი დახმარება არის პირდაპირი პოლიტიკური გზავნილი, რომ საქართველოსა და აშშ-ის პოლიტიკური პარტნიორობა ვითარდება. ასევე, ხაზგასმული იყო ოპოზიციის მხრიდან ძალისხმევა, რომ აშშ-დან საქართველოს განკუთვნილი დახმარება დროებით შეჩერებულიყო. გარდა ამისა, სიუჟეტეებში ოპოზიციის ხედვა პომპეოს ჩამოსვლასთან დაკავშირებით განსხვავებული იყო ხელისუფლების ხედვისგან და, სიუჟეტების თანახმად, ოპოზიცია ვიზიტს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ დაძაბულობას უკავშირებდა. აქვე ხაზგასმული იყო, რომ პომპეოს შეხვედრა ოპოზიციის წარმომადგენელებთან დღის წესრიგში არ იდგა.

თოქშოუ - „პოლიტიკური ინტერვიუ შალვა რამიშვილთან ერთად“

„პოს ტვ“-ზე დაკვირვების ქვეშ მოექცა თოქშოუ „პოლიტიკური ინტერვიუ შალვა რამიშვილთან ერთად“, რომელიც არხის ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური თოქშოუა და აქტიურად აშუქებს სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენას. ამ მხრივ, გამონაკლისი არც 2020 წლის არჩევნები ყოფილა.

მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში არსებულ თოქშოუში ბევრი გადაცემა მიეძღვნა არჩევნების თემატიკას. თუმცა, არჩევნებში უცხოელი აქტორების ჩარევა გადაცემის თემა არ ყოფილა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში წამოიჭრა ეს საკითხი წამყვანის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ეთერის სტუმრები მმართველი პარტიის წევრები იყვნენ. განხილვა მიეძღვნა კონკურენტი არხის, ჟურნალისტი ნოდარ მელაძის, გადაცემის კრიტიკას, სადაც საუბარი იყო რუსეთის სპეცსამსახურებთან ბიძინა ივანიშვილის კავშირზე. შალვა რამიშვილი და მისი სტუმრები კი ნოდარ მელაძეს ბრალს სდებდნენ მცდარი ინფორმაციის გავრცელებაში და უარყოფდნენ ამ კონკრეტული გარე ძალის კავშირს „ქართულ ოცნებასთან“.